

ISSN 1512 - 4649

# ეკონომისტი

საერთაშორისო ტვიზნირებადი და რეგულირებადი  
სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

1591  
2011

№2 2011 წელი

ეკონომიკური პოლიტიკა (მთავრობის,  
ბიზნესმენტა და მეცნიერთა პოზიციები)

ბადასახადები, ბუღალტრული აღრიცხვა,  
სუდიტი

ბიზნესი და მენეჯმენტი

ბაბანკო საქმე (ბანკირი, ბიზნესმენი,  
მენაბრე)

საკანონმდებლო სიასლენი (სამეწარმეო  
სმართაღი), კომენტარები

მეწარმეთა კითხვები და პროფესიონალთა  
ასუბები

ლ

**ქურნალი "ახალი ეკონომისტი"  
რეჟიმირება:**

სსიპ ინსტიტუტ ტექნიფორმის ელექტრონულ  
გამოცემებში "ქართულ რეფერატულ  
ქურნალში".

**ადირაბუღია რეჟიმირებად:**

- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;
- გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი;
- თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი, ESM ბიზნესის სკოლა;
- კაკაბისის უნივერსიტეტი;
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი;
- შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი;
- ოდესის მეჩნიკოვის სახელობის ეროვნული უნივერსიტეტი (ქ. ოდესა, უკრაინა);
- კაკაბისის სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტი (ქ. ბაქო, აზერბაიჯანი);
- ბელორუსიის სახელმწიფო უნივერსიტეტი. (ქ. მინსკი, ბელორუსია);
- ყაზახეთის ეკონომიკის, ფინანსებისა და საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ასტანა, ყაზახეთი).

**ტექნიკური პერსონალი:**

მარკეტინგი: **რუსუდანი მასისურაძე**  
კორექტორი: **ხათუნა ბურჯულაძე**

**მისამართი:** 0105, საქართველო, თბილისი  
ჯორჯაძის ქ. №5  
ტელ.: +995 (32) 422 771; +995 (32) 990 576;  
მობ.: +995 (55) 277 554; +995 (95) 32 30 34;  
ელ ფოსტა: info@economisti.ge; info@loi.ge  
ვებ-გვერდი: www.economisti.ge; www.loi.ge

**The Magazine "Akhali Ekonomisti" (New  
Economist) IS REVIEWED:**

In "Georgian Reviewed Magazine" –  
P.L.L.E. Institute of Techninform

**IS KNOWN AS REVIEW BY:**

- I. Javakhishvili Tbilisi State University;
- Ilia State University;
- Georgian Technical University;
- Grigol Robaqidze University;
- Tbilisi Free University, ESM Business School;
- Caucasus University;
- Sukhumi State University;
- Shota Rustaveli State University;
- Akhaltsikhe State University;
- Shota Meskhia State University of Zugdidi;
- Akaki Tsereteli State University;
- Saint Andrew the First Called Georgian University of the Patriarchate of Georgia;
- Odessa Mechnikov National University (Odessa, Ukraine);
- Institute of Strategic Studies of the Caucasus (Baku, Azerbaijan);
- State University of Byelorussia;
- (Minsk, Byelorussia);
- University of Kazakhstan of Economy, Finances and International Trade (Astana, Kazakhstan).

**TECHNICAL PERSONS:**

Marketing: **RUSUDAN MAISURADZE**  
Corrections: **KHATUNA BURCHULADZE**

**ADDRESS:** 5 Jorjadze str., Tbilisi, Georgia, 0105  
tel.: +995 (32) 422 771; +995 (32) 990 576;  
mob.: +995 55 277 554; +995 (95) 32 30 34;  
e-mail: info@economisti.ge; info@loi.ge  
web-site: www.economisti.ge; www.loi.ge

# ეკონომისტი

ქოველკვარტალური საერთაშორისო რეზერირებადი და რევენირებადი  
სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი №2(21), 2011

მთავარი რედაქტორი და სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე:  
ლოივ ძარჩავა - ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი

## სარედაქციო კოლეგია:

მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები:

### თინა ბელაშვილი - ნომრის რედაქტორი

(ეკონომიკის დოქტორი, ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი)

რამაზ აბუსაძე, ანსორ აბრამაძე; იური ანანიაშვილი, ოუზაბტა ასათიანი; ვახან ბარათაშვილი; ოსტონ ბერიძე (შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის დირექტორი); ბიძინა ბაშინაშვილი; თამარ ბაშინაშვილი; სიმონ ბელაშვილი; რევაზ ბეჟინაშვილი (ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკური განათლების ქართულ-გერმანული ინსტიტუტის დირექტორი); მიხეილ გობატიშვილი; ვლადიმერ გრიგოლიანი (მოსკოვი, რუსეთის ფედერაცია); ალექსი დანილჩენკო (ბელარუსის სახელმწიფო უნივერსიტეტი); ვოლფგანგ ვინკლ (ბერლინი, გერმანია); შოთა ვეჟინაძე, ნუზარ თოღუა; გოჩა თუთუაშვილი; სერგეი იაკუბოვიჩი (ოფსის პროფესორი უნივერსიტეტი, უკრაინა); ივანე ივანიშვილი (კავკასიის სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტის დირექტორი, აზერბაიჯანის ბანკების ასოციაციის პრეზიდენტი); რევაზ კაკულიანი; მიტანა კაკულიანი; ბიძინა კვათაძე; მურთაზ კვიციანი (სამეცნიერო ნაწილის რედაქტორი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესისა და მართვის სკოლის დეკანი); ვასილ კიკუაძე; ირაკლი კოჭანაძე; პაატა კოჭიაშვილი (საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრი); პირაღ კვიციანი (ბრანდენბურგი, გერმანია); ვიქტორ ლაგოშვილი; ძაბილ მანაშვილი (აზერბაიჯანის სახელმწიფო ეკონომიკური უნივერსიტეტის კომერციული ფაკულტეტის დეკანი); იოსებ მასურაშვილი; შალვა მახარაძე (კავკასიის უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი სამეცნიერო დარგში); იაკობ მისხია; ივანე მამუკაშვილი; თეა მუხაშვილი; დავით ნარსიაძე; თეიმურაზ ნინიძე; იური ორბელიანი (ოფსა, უკრაინა); ვახტანგ საბინაძე (საქართველოს საპატენტო სისტემების დირექტორი)

პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის ფაკულტეტის დეკანი); შოთა სარჯველაძე; ანთონი სილაგაძე (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი); ბელა სვირიძე; დამირიან ტურქუმანოვი (ყაზახეთის რესპუბლიკის ესთეტიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი; ყაზახეთის ეკონომიკის, ფინანსებისა და საერთაშორისო ვაჭრობის უნივერსიტეტი, ყაზახეთის რესპუბლიკა); მიტანა ტუსაშვილი; სლავა ფეშინაძე; რუსუდან შათაშვილი (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი); ლარსა შორაძე (საქართველო); თეიმურაზ შინელიანი; ბიორგი შინაშვილი (თბილისის სახელმწიფო აკადემიისა და ხეიმარიის დეპარტამენტი); შანი შულენბერგი (ყაზახეთის რესპუბლიკა); დანილ ჩაბელიანი (გერმანია, თავრთქობის სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი); მიხეილ ჩიქვიანი; დეივიდ ჩიქვაძე (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პაატა გუგუშვილის სახელობის უნივერსიტეტის რექტორი); ნიკო ჩიხლაძე; ანთონი რუთაშვილი (ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე); პაპი ციციანი; ნოდარ ხალვაში; ივანე ხარაბაძე (ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი); შოთა ხარაბაძე; რევაზ ხარაბაძე; ნოდარ ხასიაძე; მერაბ ხეილაძე; დავით ჯალალანი (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი); შალვა ჯანაშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე); მხარა ჯინაშვილი (ეკონომიკის, საქართველოს ეკონომიკისა და მთავარი რედაქტორი); მიხეილ ჯინაშვილი, ნანა ჯარბაძე.


ახალი ეკონომისტი

შემდეგ რედაქცია ყოველთვის არ იზიარებდეს ავტორის აზრს.

© ჟურნალი „ახალი ეკონომისტი“, 2011 წ.  
© გამომცემლობა „ლოი“  
№2(21), 2011 წელი

გვ. 5 ლ. 0





# akhali EKONOMISTI

QUARTELY INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL MAGAZINE,  
PRECISED AND REVIEWED №2(21), 2011

**Editor-in-Chief and Head of Editorial board:**  
**LOID KARCHAVA** - Doctor of Business Administration

**EDITORIAL BOARD**  
Doctors of science, Professors:


**TINA GELASHVILI** - Editor

*(Doctor of Economic Sciences, Professor, Rector of Akhaltsikhe State University)*

**RAMAZ ABESADZE; ANZOR ABRALAVA; IURI ANANIASHVILI; ROZETA ASATIANI; EVGENI BARATASHVILI; ROSTOM BERIDZE**(Director of Business School of Shota Rustaveli State University); **GIVI GAMSAKHURDIA; TAMAR GAMSAKHURDIA; SIMON GELASHVILI; REVAZ GVELESIANI**(Director of Georgian-German Institute of Economic Policy and Economic Education); **MICHAEL GOGATISHVILI; VLADIMIR GRIGOLAIA** (Moscow, Russian Federation); **ALEKSEY DANILCHENKO** ( State University of Byelorussia, Minsk); **WOLFGANG WENG** (Berlin, Germany); **SHOTA VESHAPIDZE; NUGZAR TODUA; GOCHA TUTBERIDZE; SERGEY YAKUBOVSKIY** (Odessa I.I.Mechnikov Odessa National University, Ukraine); **ELDAR ISMAILOV** (Director of Institute of Strategic Studies of the Caucasus, President of Azerbaijan Banks Association); **REVAZ KAKULIA; MERAB KAKULIA; GIAKVASHILAVA; MURTAZ KVIRKVAIA** (Editor of the Scientific part, Dean of Business and Management School of G. Robakidze University); **VASIL KIKUTADZE; IRAKLI KOVZANADZE; PAATA KOGUASHVILI** (member of Georgian Academy of Agriculture); **HARALD KUNZ** (Brandenburg, Germany); **ENVER LAGVILAVA; QABIL MANAFOV** (Dean of Commerce Faculty of Azerbaijan State Economical University); **IOSEB MASURASHVILI; SHALVA MACHAVARIANI** (Vice-President of Caucasus University in sciences field); **IAKOB MESKHIA; ELGUJAMEQVABISHVILI; TEAMUNJISHVILI; DAVID NARMANIA; TEDO NINIDZE; YURTY ROBUL**(Odessa I.I.Mechnikov Odessa National University, Ukraine); **VAKHTANG SARTANIA**(Dean of Economics and

Business Administration Faculty of Saint Andrew the First Called Georgian University of the Patriarchate of Georgia); **ETER SARJVELADZE; AVTANDIL SILAGADZE** (Corresponding-member of Georgian National Academy of Science); **GELA SVIRAVA; DAMETKEN TUREKULOVA**(Academician of Aesthetical Science Academy of Kazakhstan, University of Kazakhstan of Economy, Finances and International Trade); **MIRIAN TUKHASHVILI; SLAVA FETELAVA; RUSUDAN KUTATELADZE** (Dean of Business-engineering Faculty of Georgian Technical University); **LARISA KORGANASHVILI; TEMURSHENGELIA; GIORGI SHIKHASHVILI** (Lecturer of Tbilisi Academy and Seminary); **FAIA SHULENBAYEVA**(University of Kazakhstan of Economy, Finances and International Trade); **LALI CHAGELISHVILI** (Head of Department of Degree of Guram Tavartkiladze University); **MICHAEL CHIKVILADZE; LEO CHIKAVA** (Corresponding-member of Georgian National Academy of Science, Rector of Paata Gugushvili University); **NIKO CHIKHLADZE; AVTANDIL CHUTLASHVILI** (Deputy of Rector of Iv. Javakhashvili Tbilisi State University); **AKAKI TSOMAIA; NODAR KHADURI; ELENE KHARABADZE** (Dean of Economics and Business Faculty of I. Javakhashvili Tbilisi State University); **ETER KHARASHVILI; REVAZ KHAREBAVA; NODAR KHASAIA; MERAB KHMALADZE; DAVID JALAGONIA** (Dean of Economics and Business Faculty of Suxumi State University); **JAMLET JANJGAVA** (Deputy of Editor-in-Chief); **EMZAR JGERENAIA** (Editor-in-Chief of magazine „Economy of Georgia“); **MICHAEL JIBUTI.**

სახელი ეკონომისტი



**ეკონომიკური მართვა** 8

**სააღმართო მართვა** 8

**მეცნიერება**

თემატიკა შენახვა - აღქმის კულტურათმშობის განსხვავებები საერთაშორისო მენეჯმენტში ..... 13

სლავა ვებელავა, თამარ გამსახურია - ენერგო კონომდებლობა და მარეგულირებელი დოკუმენტები საქართველოში ..... 21

რევაზ ხარბავა - ოჯახური (ფერმერული) მეურნეობა ვერ გამოკვებავს ქვეყანას ..... 31

მეზარ ჯულაყიძე, შალვა ჯულაყიძე - საწარმოო პერსონალი - ეკონომიკური სისტემის უმნიშვნელოვანესი რესურსი ..... 41

რევაზ ლორთქიფანიძე - ეკონომიკური კონკურენციის ძალის შეფასებისათვის ..... 45

შოთა ვეშაყიძე, მანანა ნანიტაშვილი, მარიამ მათიაშვილი - დავით სარაჯიშვილი უოველმხრივ სამაგალითო პროფესიონალი ..... 48

რუსუდან პაპასიძე - კომპანიის ფინანსური მენეჯერი: სტატუსი, უფლებები, მოვალეობები, გლობალიზაციის გამოწვევები ..... 52

ნიკოლოზ ბონდარიაშვილი - ფინანსური მენეჯმენტის ფუნდამენტალური კონცეფციები ..... 56

NINO ABESADZE - DIE STATISTISCHE ANALYSE DER ENTWICKLUNG DES KLEIN UND MITTLERER UNTERNEHMEN IN GEORGIEN ..... 60

Фая Шуленбаева, Кулянда Ахметова, Мазкен Каменова - ПРОБЛЕМЫ ГОСУДАРСТВЕННОГО РЕГУЛИРОВАНИЯ АГРАРНОГО СЕКТОРА ЭКОНОМИКИ КАЗАХСТАНА В УСЛОВИЯХ РЫНКА ..... 65

Етери Сарджвеладзе - РОЛЬ АГРОМАРКЕТИНГА В РАЗВИТИИ АГРОПРОМЫШЛЕННОГО ПРОИЗВОДСТВА В ГРУЗИИ ..... 70

**ეროვნული ეკონომიკა: დემონსტრაცია და პერსპექტივები**

ელბარ ბატიაშვილი - ეროვნული ეკონომიკა და ეროვნული სახელმწიფო: მექანიზმები და თანამედროვეობა ..... 74

**სტრუქტურული ხელვა**

ოთარ მუმლაძე - ნიკო ნიკოლაძის ეკონომიკური შეხედულებანი და თანამედროვეობა ..... 78

**რეფორმები** 80

**უცხოეთის ეკონომიკური სიანსლენი** 85

ფონდის მართვა



**ECO-DIGEST**

**MAIN PAGE**

**EASTER EPISTLE** ..... 9

**SCIENCE**

**TEIMURAZ SHENGELIA – DIFFERENCES IN CROSS CULTURES PERCEPTION IN INTERNATIONAL MANAGEMENT** ..... 13

**SLAVA FETELAVA, TAMAT GAMSAKHURDIA – ENERGETIC LEGISLATION AND REGULATORY DOCUMENTS IN GEORGIA** ..... 21

**REVAZ KHAREBAVA – THE ORGANIZATIONAL FORMS OF REVIVAL OF AGRICULTURAL PRODUCTION** . 31

**EMZAR JULAKIDZE, SHALVA JULAKIDZE – PERSONAL – MAJOR RESOURCE OF ECONOMIC SYSTEM** . 41

**REVAZ LORDKIPANIDZE – FOR ESTIMATE OF THE FORCE OF ECONOMIC COMPETITION** ..... 45

**SHOTAVESHAPIDZE, MANANA NANITASHVILI, MARIAM MATIASHVILI - DAVID SARAJISHVILI – MODEL PROFESSIONAL IN ALL ASPECTS** ..... 48

**RUSUDAN PAPASKIRI - FINANCIAL MANAGER OF THE COMPANY: STATUS, RIGHTS, LIABILITIES, GLOBALIZATIONS CHALLENGES** ..... 52

**NIKOLOZ GONGLIASHVILI - BASIC CONCEPT OF FINANSIAL MANAGEMENT** ..... 56

**NINO ABESADZE – THE STATISTICAL ANALYSIS OF THE DEVELOPMENT OF THE SMALL AND MIDDLE-SIZE ENTERPRISE IN GEORGIA** ..... 60

**FAIASHULENBAEVA, KULIANDA AKHMETOVA, MAZKEN KAMENOVA - PROBLEMS OF STATE REGULATION OF AGRARIAN SECTOR OF ECONOMY OF KAZAKHSTAN IN CONDITIONS OF THE MARKET** ..... 65

**ETER SARJVELADZE – ROLE OF AGROMARKETING IN GEORGIA IN THE AGROPRODUCTION'S DEVELOPMENT** ..... 70

**NATIONAL ECONOMY: TODAY'S SITUATION AND PERSPECTIVES**

**ELBERD BATIASHVILI - NATIONAL ECONOMY AND NATIONAL STATE: INHERITANCE AND CONTEMPORANEITY** ..... 74

**STUDENT'S LOOK**

**DAVOD MUMLADZE - THE ECONOMICAL OPINION OF NIKO NIKOLADZE AND CONTEMPORANEITY** ..... 78

**SUMMARIES** ..... 80

**FOREING ECONOMIC NEWS** ..... 85

საქსტატი

# ემკო-ლაიჯუსტი

## სამშენებლო კომპანიებს ჯარიმები ჩამოწმებათა

საქართველოს მთავრობა სამშენებლო კომპანიებისათვის ფინანსურ ამინსტიას აცხადებს. „ტექნიკური ზედამხედველობის შესახებ“ კანონში ცვლილებების თანახმად, მშენებლებს ჩამოწმებათ დაუმთავრებელი მშენებლობების გამო დაკისრებული ჯარიმები. შაუბარია კომპანიებზე, რომელთაც ამ მიზეზით საჯარიმო სანქციები ყოველდღიურად ეზრდებათ. სანაცვლოდ მთავრობა კომპანიებისაგან მშენებლობის განახლების ახალი ვადების წარდგენას ითხოვს. ვინც კანონის ამოქმედებიდან სამ თვეში ახალ ვადებს არ წარადგენს, არც ჯარიმები გაუქმდება დამ ის მიმართ გამკაცრებული სანქციებიც ამოქმედდება. სიახლეები შეეხება მხოლოდ საცხოვრებელი კორპუსების მშენებლებს.

## მთავრობას ინფლაციის მოთოკვა რეალურად ეჩვენება

ფულადი ერთეულის გაუფასურება, მისი მსყიდველობითი უნარის შემცირება ქარაღის ფულის მიმოქცევის ერთგვარი „აქადმყოფობა“ - ამგვარად ახასიათებენ სპეციალისტები ინფლაციას. ეს ხენი კარგა ხანია შემოეწვია საქართველოს ეკონომიკას. მთავრობა კი იმედს არ კარგავს, რომ ინფლაციის ორნისნა მანევენებელი სავაისოდ 5-6%-მდე დადაეკვმა, პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური კი ინფლაციის 8%-მდე შემცირებას სექტემბერში ვარაუდობს. არადა, ინფლაციის მანევენებლმა წლევანდელ მაისში ბოლო წლების სარეკორდო ნიშნულს - 14,3%-ს მიაღწია.

## ტურიზმის რაოდენობა წინა წელთან შედარებით გაიზარდა

აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის ინფორმაციით, 2011 წლის იანვარ-მაისში აჭარაში 103360 ვიზიტორი ჩავიდა, რაც წინა წლის იანვარ-მაისთან შედარებით 84%-ით მეტია.

## დასუფთავების ბაზასახად ელემტრონეარზიას მიება

თბილისის მოსახლეობას დასუფთავების გადასახადის გადახდა გახარჯული ელექტროენერჯის პროპორციულად მოუწევს. დედაქალაქის შერმა იენისის ბოლო კვირას საკრებულში წარადგინა პროექტი, რომლის თანახმადაც, 1-ლი იელისიდან დედაქალაქის დაგე-დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის მომსახურების ახალი ტარიფი ამოქმედდება. მისი დაანგარიშება აბონენტის მიერ გახარჯული ელექტროენერჯის მიხედვით მოხდება - 1 კვტ.სთ-ზე 0,05 ლარის ოდენობით, დღგ-ს ჩათვლით. აღნიშნულთან დაკეშირებით, თბილისის საკრებულმ დადებითი გადაწყვეტილება მიიღო.

## საბანკო სექტორში მოგება 98 მილიონს მიაღწია

საქართველოს საბანკო სექტორმა 2011 წლის იანვარ-მაისი 98,204 მილიონი ლარის წმინდა მოგებით დაასრულა. ეს მაჩვენებელი ერთი თვით ადრე, 1-ლი მაისისათვის 81,368 მილიონი ლარი იყო. მოგება მაისში 20,7%-ით გაიზარდა, ხოლო წლიურმა ზრდამ კი 241% შეადგინა.

საქართველოში მოქმედი 19 კომერციული ბანკიდან ოთხმა იანვარ-მაისი ზარალით დაასრულა (ჯამური ზარალი - 9,4 მილიონი ლარი). ამასთან, 1-ლი მაისისათვის ხუთი ზარალიანი ბანკის ზარალის ჯამი 8,6 მილიონი ლარი იყო. მაისში მათ რიცხვს „პროგრესბანკი“ გამოაკლდა. 1-ლი იენისის ჯამურ მაჩვენებელში „რესპუბლიკის“ ზარალის წილი 93,5%-ია.

## ავტომანქანათა პარკირება ბათუმშიც ფასიანი ხდება

ბათუმში ავტომანქანათა პარკირების ახალი წესი შემოდის, რომლის თანახმადაც ის ფასიანი ხდება. კერძოდ, ბათუმის საკრებულოს 2011 წლის 21 იენისის გადაწყვეტილებით, მინიმალური საფასური 4 ლარია (7 დღისათვის), მაქსიმალური 40 ლარი (365 დღისათვის). 30 დღე 10 ლარი

საქართველოში



# ექო-დაიჯესტი

ვიღრება, ხოლო 182 დღე – 20 ღარი. ტაქსებისთვის პარკირების ადგილი ცალკე გამიყოფა და 30 დღით 20 ღარი ვღირება. პარკირების საფასურს შპს „ბათუმი პარკინგი“ ამოიღებს.

## „მუშტაიძის პარკში“ 1 მილიონ ლარს ინვესტიცია ჩაიღება

თბილისის მერიის ქონების მართვის სააგენტომ „წითელ ბაღსა“ და „მუშტაიძის პარკში“ ინვესტორი შეიყვანა. კომპანია „ჯეო გოლდს“ ობიექტები, შესაბამისად, 35-წლიანი და 49-წლიანი მართვის უფლებით გადაეცა. კომპანიამ „მუშტაიძის პარკში“ ხუთი წლის განმავლობაში 1 მილიონი ღარი უნდა დააბანდოს, „წითელ ბაღში“ კი სპორტული ინფრასტრუქტურა მოაწვოს. ინვესტორების შეყვანა ასევე იგეგმება „ეპტრანთა პარკში“, „ჟარკეთილის გასართობ ცენტრსა“ და „ვაკის პარკში“.

## თბილისი ბოზირდის აბანოს აღიარება

ქურნალმა „ფორბსმა“ 14 ქვეყნის ცნობილი საუნების, აბანოებისა და თერმული წყლების რეიტინგი გამოაქვეყნა. თბილისის გოგირდის აბანო პირველ ათეულში, მეცხრე ადგილზე მოხდა. პირველ ადგილზე გავიდა ბუდაპეშტის, „ბანი გელერტის“ აბანო. მეორეზე ტამპერეს „რაუპანიუმის აბანოა“, რომელიც 1906 წელს არის აშენებული, მესამეზე – ტოკიოს „დაიკოკუუს აბანო“, რომელიც 1927 წლიდან მოქმედებს.

## „ახალი ძაღვები“ და „სილქნები“ მორიბდნენ

„ახალ ქსელებსა“ და „სილქნებს“ შორის ხუთ წლიანი ქონებრივი დაეა მორიგებით დასრულდა. კომუნიკაციების კომისიის ცნობით, მხარებმა მორიგების აქტი წარმოადგინეს, რომლის თანახმად, „ახალ ქსელებს“ „სილქნებს“ კუთვნილ საკომუნიკაციო ზაპსი განთავსებული სადავო სპილენძის კაბელის დემონტაჟის უფლებას აძლევს. ამ საკითხზე მხარეები 2006 წლიდან დავობდნენ.

## 2010 წლის ბანანვლობაში მყვანაწი 8 მილიონ ლიტრი მსხმილი დაილია

საქართველოში ღვინის მოხმარებამ 2010 წელს დაახლოებით 66 მილიონი ლიტრი შეადგინა. IWSR-ის (International Wine and Spirit Research) მონაცემებით, მოხმარებულია თითქმის 99% ადგილობრივი ღვინოა, იმპორტირებული ღვინო

კი 1%-ზე ნაკლებია. ბოთლებში ღვინო დაახლოებით 1,5 მლნ ცალი იყიდება. დანარჩენს კი წარმოდგენილია ტიკებში, პლატმასის ჭურჭელში ან ჩამოსასხმელი. სხვა სახეობის მოხმარება ასეთია: ლუდი 65 მლნ ლიტრად, არაყი – 13 მლნ ლიტრად და ბრენდი – 2 მლნ ლიტრად. ღვინის მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე წელიწადში დაახლოებით 15-20 ლიტრია.

## საოჯახო მარნები 50-80 მლნ ლიტრ ღვინოს აწარმოებენ

საქართველოში ყველაზე დიდი რაოდენობით ღვინო საოჯახო მარნებში მზადდება. ასოციაცია „ქართული ღვინის“, სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და ღვინის მწარმოებლების მიერ შედგენილ, ღვინის სექტორის საქსტეოლო ბაზების განვითარების სამოქმედო დოკუმენტში მითითებულია, რომ ღვინოს ასოციაციის ქართული ოჯახი აყენებს. მცირე ზომების მიუხედავად, საოჯახო მარნებში სულ დაახლოებით 50-80 მლნ ლიტრი ღვინო მზადდება და ეს ღვინო არ აღირიცხება. მეწარმე სუბიექტების მიერ დამზადებული ღვინო კი აღრიცხავდა. საქართველოდან ღვინის ექსპორტმა 2010 წელს \$40 მლნ-მდე შეადგინა (12 მლნ ლიტრი). ქართული ღვინის ყველაზე დიდი მომხმარებელი უკრაინაა 52%-იანი წილით (\$17,979 მლნ; 6.288.645 ლიტრი), მეორე ყახახეთია (\$5,918 მლნ; 1.634.963 ლიტრი), მესამე, ბელორუსია (\$3,914 მლნ; 1.099.368 ლიტრი). საქართველოში წარმოებული ღვინის 80% თეთრი ღვინოა, ექსპორტზე კი უმეტესად (70%-მდე) წითელი ღვინო გადის.

## საქართველოში ინტერნეტმა შურნალ-ბაზეთებს ბადაუსწრო

საქართველოში ინფორმაციის ძირითად წყაროდ კვლავ ტელევიზორი რჩება, თუმცა ინტერნეტმა, როგორც ინფორმაციის წყარომ, შურნალ-გაზეთებს გადაუსწრო. „აკაკასიის კვლევები რესურსების ცენტრმა“ (CRRC) 2011 წლის აპრილში კვლევა მოაწყო. გამოკითხულთა 83%-სათვის ინფორმაციის ძირითად წყაროდ ტელევიზიაა, ხოლო 5%-სათვის – ინტერნეტ-მხოლოდ 2% ამბობს, რომ მათთვის ინფორმაციის მიღების ძირითადი საშუალება შურნალ-გაზეთებია. აღსანიშნავია, რომ ინტერნეტს ზირითადად (70%) სოციალური ქსელებისათვის იყენებს და ინფორმაციის მისაღებად ვებ-გვერდებს გამოკითხულთა 45% აკითხავს. ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს დაფინანსებული კვლევა „სახოგადობის აზრი ქართული მედიის შესახებ“,

ასალი მარნების



რომელშიც 2009 რესპოდენტის მონაწილეობდა, ა.წ. 20 ივნისის გამოქვეყნდა.

**საბარეო ვალი ბაიზარდა**

საქართველოს სახელმწიფო საბარეო ვალი 2011 წლის 31 მაისის მდგომარეობით \$4176,172 მლნ-ია, რაც შარშანდელ იმავე დროისთან შედარებით 21%-ით მეტია. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გაყიდვიდან მიღებული საბარეო ვალი \$564 მლნ-ია, ხოლო საერთაშორისო ინსტიტუტების მიმართ ვალის ნაშთი \$3,001 მლრდ-ს შეადგენს.

**საოჯახო სატუმროს მფლობელები მოქმედებენ ბაზასახადს ბაზაიხიანი**

საოჯახო სატუმროები ფიქსირებულ გადასახადს გადაიხდიან. „საგადასახადო კოდექსში“ შესატანი ცვლილებების თანახმად, კერძო საოჯახო სასტუმროების მფლობელები შემოსავლების სამსახურში საკურორტო სეზონის პერიოდს დაარეგისტრირებენ, რომლის განმავლობაშიც ფიქსირებულ გადასახადს მხოლოდ გაქირავებული ფართის მიხედვით 1 კვ.მ-ზე 10 ლარს გადაიხდიან. მოქმედი კანონმდებლობით, კერძო საოჯახო სასტუმროების მფლობელები გადასახადს ვიზიტორების რაოდენობის მიხედვით იხდიან. ეს იქნება ალტერნატიული გადასახადის ფორმა და სასტუმროებს შეეძლებათ, სურვილის შემთხვევაში ძველი სისტემით ისარგებლონ.

**შარშანდელი კომპანიების ინფორმაციის წარდგენა დაგეგმვა**

შარშანდელი კომპანიები ინფორმაციას წარმოადგენენ და ფსიქოლოგიური მდგომარეობების გაყიდვის შესახებ სამედიცინო რეგულირების სააგენტოს წლებულს 2011 წლის 15 ივლისიდან წარუდგენენ. ჯანდაცვის მინისტრის ა.წ. 15 ივნისის ბრძანებით, კომპანიებს ინფორმაციის წარდგენა ყოველთვიურად ევალებათ. ის საჯარო იქნება და ყოველთვიურად სააგენტოს ვებ-გვერზე გამოქვეყნდება.

**საბარეო მინიმუმი იტრდება**

საქართველოში 2011 წლის მასიში, შარშანდელ მასთან შედარებით, შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის ხარისხი მინიმუმი 29,1%-ით

გაიზარდა და „საქსტატის“ ცნობით, 166,4 ლარი შეადგინა. ერთი წლის წინ ის 128,9 ლარს შეადგენდა, წლებულს აპრილში კი - 163,2 ლარს. მაქვენებელი 2010 წლის სექტემბერიდან იზრდება, თუმცა ასეთი მაღალი ის ჯერ არ ყოფილა. საშუალო მომხმარებლის ხარისხი მინიმუმი 147,4 ლარი გახდა, საშუალო ოჯახის ხარისხი მინიმუმი - 279,1 ლარი.

**სადაზღვევო ბიზნესში მოგება ბაიზარდა**

სადაზღვევო ბაზარზე მოქმედმა 16-მა კომპანიამ 2010 წელს 361,457 მლნ ლარის სადაზღვევო პრემია მიიზიდა. საქართველოს ეროვნული ბანკის (სეპ) ცნობით, 2009 წელს მიზიდულმა პრემიუმ 360,449 მლნ ლარი შეადგინა. 188,764 მლნ ლარამდე შემცირდა (0,447 მლნ ლარით) კომპანიების მიერ ანაზღაურებული ზარალი. ბაზრის ლიდერი „იმედი International-ია“ 22%-იანი წილით. მეორეზე „აღდაგი ბისიაია“ (18,55%), მესამეზე კი „ჯიპიაი პოლიცი“ (15%). სადაზღვევო ბაზრის წმინდა მოგება 2010 წელს 34 მილიონ ლარს მიაღწია. ამ მაქვენებელმა 2009 წელს 17,863 მილიონი ლარი შეადგინა.

**მსპორტში ავტომობილები ლიდერობს**

საქართველოს უმსხვილეს საექსპორტო სასაქონლო ათეულში, 2011 წლის იანვარ-აპრილში მსუბუქ ავტომობილებს ლიდერის პოზიცია 21,4%-იანი წილით უკავია. „საქსტატის“ ცნობით, ამ პერიოდში ქვეყნიდან \$140,324 მლნ-ის ავტომობილების ექსპორტი განხორციელდა, რაც ერთი წლით აღრინდელზე 2,27-ჯერ მეტია. მეორეზე ფეროშენადნობების ექსპორტია \$77,862 მლნ-ით (საბაზრო წილი 11,9%), მესამეზე - აზოტოვანი სასუქებია \$54,766 მლნ-ის ექსპორტით (წილი 8,3%), ხოლო შარშანდელთან შედარებით მისი ზრდა 94%-ია. შავი ლითონების ჯართი კი მეოთხე ადგილზეა აღმოჩნდა (\$54,639 მლნ).

**„ეკო-დაიჯესტი“ ქართულ ჟურნალ-გაზეთებსა და სხვა წყაროებზე დაყრდნობით მოამზადა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის მენეჯერის II კურსის სტუდენტმა თამაზა შვებლაძემ**

# სააღდგომო ეპისტოლე



**უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად  
სამართველოს კათოლიკოს-პატრიარქის,  
მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის,  
ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის  
მიტროპოლიტის**

**ილია II.**

ყოვლადსამღვდელწილად მღვდელმთავარსო,  
ღირსსო მოძღვარსო, დიაკონსო, ბერ-მონაზონსო,  
ყოველნი მკვიდრნი ღვთაოებრივი იერების  
მიწისა და დროებით ჩვენი ქვეყნის სახლურებს  
გარეთ მცხოვრებნი ჩვენი ძვირფასო  
თანამემამულენო!

ქრისტე აღდგა!

გუგუნებენ ეკლესიათა ზარები და მსოფლიოს  
ამცნობენ, რომ დადგა დღე დღესასწაულთა  
დღესასწაულისა.

„დაემხო ძალი, პირველ სისხლითა მთრვალი“;

შეიმუსრა ჯოჯოხეთი, განქარდა ბნელეთის  
ძლიერება და კაცობრიობა გაათავისუფლდა ეშმაკის  
ტყვეობისაგან.

„სადა არს, ჯოჯოხეთო, ძლევა შენი? სადა  
არს, სიკვდილო, საწურტელი შენი?“

ქრისტე აღდგა!

ეს საოცარი სიტყვები ანგელოზის მიერ  
პირველად მენელსაცხებლედ დედებს ეხარათ,  
დედებმა მსწრაფლ აუწყეს მოციქულებს,  
მოციქულებმა – თავიანთ სამწყსოებს და, აი, უკვე  
მრავალი საუკუნეა, მილიონობით ადამიანი ხმობს:

ქრისტე აღდგა! ჭეშმარიტად აღდგა!

მანც რას ნიშნავს უდიდესი საიდუმლოებით  
მოცული ეს სასწაული, ანუ რა არის მიზეზი  
ჩვენი ასეთი ბედნიერებისა?

სამყაროს აქვს მხოლოდ ერთი საწყისი –  
ყოვლადძლიერი, ყოვლადეკეთილი, ყოვლადბრძენი,  
ყოვლისშემომქმედი ღმერთი – ყოვლადწმიდა სამება,  
რომელიც ყველგან არის და ყოველივეს ადევსებს  
მადლითა თვისითა. იგი თავისი მარადიული  
ნეტარების წიაღისაქენ იზიდავს მთელ სამყაროს  
და ყოველივე ქმნულს, რომელიც, თავის მხრივ,  
მისწრაფვის მისკენ და ადიდებს მას.

ფსალმუნში ეკითხულობთ „აქებდით უფალსა  
ცათაგან, აქებდით მას მალალთა შინა; აქებდით  
მას ყოველნი ანგელოზნი მისნი, აქებდით მას

ყოველნი ძალნი მისნი; აქებდით მას მზე და  
მთოვარე, აქებდით მას ვარსკულაენი და ნათუნნი;  
აქებდით მას ცანი ცათანი და წყალნი ზესკენელს  
ცათანი... აქებდით უფალსა ქუეყანით ვეშანი და  
ყოველნი უფსკრულნი; ცეცხლი, სეტყუაი, თოვლი,  
მყინვარი, სული ნიაქარისა, რომელნი ჰყოფენ  
სიტყუასა მისსა; მთანი და ყოველნი ბორცუნნი,  
ხენი ნაყოფიერი და ყოველნი ნაძუნი; მხეცნი და  
ყოველნი პირუტყვნი, ქუეყარმაკალნი და  
მფრინველნი ფრთოვანი“ (ფს. 148, 1-4,7-11).

ამ ღვათაებრივ პარმონიას ურწობისა და  
ამპარტაუნების გამო თავისი ნებით განეშორა  
პირველქმნილი ადამიანი; თუმცა შემოქმედს მასზე  
ზრუნვა არ მიუტოვებია. ეს მდგომარეობა ბასილი  
დიდმა ასე გამოხატა: „შენ მარადის მწყალობ და  
მე განგარისხებ, შენ სინანულად მომიწოდებ და  
მე ურნ გექმნები, შენ მხადი და მე გულტვი, ესრეთ  
ყოვლითურთ წინააღმდეგო შენდა არს ცხოვრებაი  
ჩემი“.

და აი, თითქმის 2000 წლის წინ მოხდა ის,  
რასაც ვერავინ წარმოიდგენდა:  
ყოვლადღაუტყვენელმა განკაცება ინება და  
კაცობრივი ბუნებით სიკვდილს დაექვემდებარა,  
ჯოჯოხეთში შთავიდა, რათა მართალთა სულნი  
ეხსნა და კაცობრიობისათვის დახშული ზეციური  
კარიბჭენი აღეხენა.

რა შეედრება იმ განმს, რაც მან ამ  
წუთისოფელში დროებით მყოფ თითოეულ  
ჩვენგანს გვიბოძა?! როგორ გამოვხატოთ ჩვენი  
მადლიერება ამ გამოგანებელი თავგანწირვის,  
სიყვარულისა და მოწყალებისადმი?!

უფალი ჩვენგან არაფერს ითხოვს, ოღონდ  
ჩვენივე გადაჩენისთვის გვთავაზობს, ჩავეცილოთ  
ხელი მის მხსნელ მარჯვენას და ჩვენი გული და  
სული მისკენ მივმართოთ, რათა ღვთის მადლით  
ცოდვის ჭაობს განეწმორთო და შიგ არ დაეინთქათ.

ახალი ეპონიმიტი

ამ სასწაულთა სასწაულს კუთვნილობთ ახლა. ამიტომაც სიხარულითაა მოცული დედამიწა; ჩვენს გამო ხარობს ყოველადწმიდა სამება და ანგელოზთა დასი, რადგან ხორციელი სიკვდილი აღარ არის მხოლოდ ჯოჯოხეთის კარიბჭე, არამედ იგი მორწმუნეთათვის წარუყვალ ნეტარებაში აღმგვირგებელ საშუალებად იქცა.

ამიერიდან ესა თუ ის პიროვნება ან ეშმაკის და მისი ანგელოზების ხეგერი შეიქმნება და მარადიული ტანჯვისათვის გაიწირება, როგორც ეს ადრეც იყო, ანდა უფლისა და ანგელოზთა წილში დამკვიდრდება.

სხვა არჩევანი არ არსებობს.

ბუნებრივია, ყველას სამოთხეში დამკვიდრება სურს, მაგრამ ეს უშრომლად არ მიიღწევა; მთავარია, ჩვენი ცხოვრების მიზნად სხვისთვის მსახურება დაეხსნას, რომ ქრისტეს მიმბაძველნი გავხდეთ.

პაიხი ათონელი წერს: „თუ ადამიანი არ ფიქრობს მეორე ადამიანზე, არ გამოდის თავისი 'მე'-დან და გამუდმებით თავისი თავის გარშემო ტრიალებს, ... ის იმ ღერძს მიღმაა, რომელიც ქრისტეა“.

წმიდა მამები იმასაც გვასწავლიან, რომ აბსოლუტურად ბოროტი და ცოდვილი კაცი არ არსებობს და რომ ყველაზე უარეს მათგანშიც კი არის რაღაც ნაწილი სიკეთისა. მაგ., თუ მას გულწრფელად უყვარს შევიდეთ, მშობლები ან ოჯახის სხვა წევრები, უყვარს თუნდაც ცხოველები ან ბუნება, ე.ი. მასში არის ის ღვთაებრივი ნაპერწკალი, რომელიც ათბობს და ანათებს მის დაბნელებულ სულს; ყველას ვაღია, ეს ნაპერწკალი საკუთარ თავში გააღვიოს და ღვთაებრივ ცეცხლად აქცოს.

საერთოდ, ქრისტიანის ცხოვრება საკუთარ თავთან ბრძოლაა, გულის სრწმინდისათვის ზრუნვა; ეს არის სინანული და მცდელობა იმისა, რომ ღმერთი მოვიძიოთ და ჩვენს გულეში გავაშფოთო.

გული არის სულის საგანე, სული კი - ერთგვარი ჭურჭელი, რომელშიც ღვთის მადლი იფრქვება. მადლის სიდიდე ჩვენს პიროვნულ დეაწლზე და ძალისხმევაზეა დამოკიდებული.

ბოროტისაგან ჩვენი გულისა და სულის მთავარი დამცველი ჩვენი სინდისია.

სინდისი არის ღვთის ხმა და იგი ყოველთვის გვიბიძგებს სწორი ქმედებებისაკენ. მთავარია, ყური დაეუფლოთ მას. მაგრამ ადამიანთა ნაწილი სწორედაც რომ საპირისპიროდ იქცევა, - ცდილობს ჩაახშოს იგი; სხვის დასანახად ვითომ ემსახურება უფალს, გული კი განშორებული აქვს ღვთისაგან. მაცხოვარი ბრძანებს: „არა ყოველმან, რომელმან მრქუას მე: უფალო, უფალო! შევიდეც იგი

სასუფეველს ცათსა, არამედ რომელმან ყოხნები მამისა ჩემისა ზეცათისა. მრავალთა მრქუან მე მას დღესა შინა: უფალო, უფალო, არა სახელითა შენითა ეწინაისწარმეტყველებდითა?... და სახელითა შენითა ძალნი მრავალნი ექმნით? მას ვამა ვრქუა მათ, ვითარამედ: არა გიცნით თქვენ, განმეშორეთნი ჩემგან ყოველნი მოქმედნი უსჯულთებისანი (მათე 7,20-23).

ღმერთმა გვისხსნას ამ მდგომარეობისაგან. და მაინც როგორ მივხედეთ, ჩვენს გულში ვის უფვას ტახტი?

ამის პასუხს სახარება იძლევა: გულში, სადაც ცოდეა და ეგოიზმი ბატონობს, ბოხოქრობს ღვარძლი, ავსიტყვაობა, შური, შუღლი, ამპარტანება და სხვა ენებანი, იქ უფლის მადლი არ მკვიდრობს. მაგრამ არის გული სიყვარულითა და სიკეთით სავსე, მიმტყვევლი, სამართლიანი, მოწყალეების გამცემი, სხვაზე მზრუნველი...“.

ასე რომ, ძნელი არ არის გავერკვეთ, ვისი მსახურნი ვართ და, ვიდრე ჯერ კიდევ დრო გვაქვს, გადავდგათ გადამჩრენელი ნაბიჯები.

საერთოდ, უფალი იმდენად სხვადასხვა ნივს და, აქედან გამომდინარე, სხვადასხვაგვარ პასუხისმგებლობებს აკისრებს. ზოგს ერთ ტალანტს აძლევს, ზოგს - ორს, ზოგს - ხუთს ან ათს; პასუხისმგებლობაც შესაბამისია: ვისაც ერთი ტალანტი ებოძა, მას ათი ტალანტისა არ მოუხოვებია; მსუბუქია მისი ჯვარი და უფლის წინაშე მისი ვალდებულებაც, ხოლო ვისაც მეტი მიეცა, მას მეტიც მოუხოვებია.

მაგალითად, ზოგიერთს მხოლოდ ოჯახზე ზრუნვა მართებს, ესაა მისი პასუხისმგებლობა; ნაწილს, - ადამიანთა გარკვეული ჯგუფის, სოფლის ან ქალაქის ხელმძღვანელობა; სხვებს კი მთელი ქვეყნის ტვირთი აწევთ და ამ ღონის მსახურება ევალებათ.

იერარქიის არსი ქრისტიანობაში, სხვებთან შედარებით, აბსოლუტურად განსხვავებულია და იგი ქვედგომებისადმი უანგარო სიყვარულსა და მათთვის ზრუნვას გულისხმობს.

უფალი ბრძანებს: „ვინც თქვენს შორის მოისურვებს უფროსობას, ის იქნება თქვენი მსახური, ხოლო ვინც მოინდომებს პირველობას, - ყველას მოსა“; და ამის უფიდეისი და უთვალისაჩინოისი მადლითი, პირველ რიგში, თვითონ მოვეცა.

ასეთი დამოკიდებულება მოუხოვებია ყველას, ვინც თავს ქრისტიანად მიიჩნევს.

მსოფლიოში დღეს საყოველთაოდ აღიარებული ადამიანის უფლებების და დემოკრატიული მმართველობის ერთ-ერთი

ინტერვიუ



# მთავარი გვერდი

ბ

ძირითადი პრინციპი პიროვნებათა თანასწორობისა და ღირსების დაცვისა სწორედ ქრისტიანულ სწავლებას ყვრდნობა, მაგრამ ზოგიერთთათვის ეს ცნებები უკვე განსხვავებულ შინაარსს ატარებს.

რა თქმა უნდა, არსებობს არაქრისტიანული იერარქიული ურთიერთობაც, რასაც წმინდა მამკიშე აღმსარებელი ტირანიას უწოდებს და რაც ზემდგომთა ბატონობას და ძალადობასუ და ქვეშეუდლომთა მონურ ყოფასუა დამყარებული.

ჩვენ გარშემო, სამწუხაროდ, ურთიერთმიმართების არაქრისტიანული წესი სჭარბობს.

მაკალითად, ავიღოთ ქრისტიანული ოჯახი; ეს არის მცირე ეკლესია, რომელიც დაფუძნებული უნდა იყოს, პირველ რიგში, ღვთისადმი და შემდეგ ერთმანეთისადმი გამოკვლილ ჭეშმარიტ სიყვარულსა და პატივისცემასზე, ხოლო, თუ მათ ეს საფუძველი გამოკვლიათ, თავს იჩენს ტირანია, რაც ხშირი კონფლიქტის საფუძველი ხდება.

ნაცვლად იმისა, რომ თანამედროვე საზოგადოებას ეზრუნა ოჯახში ქრისტიანული ღირებულების დასამკვიდრებლად, დაიწყეს უკვე დანებებული ურთიერთობების ხელყოფრად მოგვარება, რაც შედეგს ვერ გამოიღებს და ცოლის და ქმრის ურთიერთობას კიდევ უფრო არასწორი გზით წარმართავს.

ოჯახის სიმტკიცისთვის ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს თუნდაც ელემენტარული სოციალური პირობებისა და ზნეობრივი გარემოს შექმნას. პირველ ფაქტორს ძირითადად ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა განსაზღვრავს. ვფიქრობთ, სახელმწიფოსთვისაც და ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვისაც სასარგებლო იქნება სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის ზრუნვა. მე ადრეც მითქვამს და კვლავაც გავიმეორებ, ყოვლადუცილებელია ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის წარმოება, ადგილობრივი ჯიშების შენარჩუნება და, რა თქმა უნდა, მიწისადმი ხალხისათვის ინტერესის დამრუნება. კარგი იქნება, თუ ამ პროცესს მთავრობა მხარს დაუჭერს და დოტაციური და მრავალწლიანი შეღავათიანი კრედიტებით გაამარებს, რაც დასავლეთის ქვეყნებში (მიუხედავად განვითარებისა) დღესაც ხორციელდება.

რაც შეეხება ზნეობრივ გარემოს, ეს ხელისუფლების პოლიტიკურ ნებაზე, მის ორიენტაციაზე დამოკიდებული.

საკვებით ნათელია, რომ ძალადობრივი, ნიპილისტური და უხამსი ფილმებითა და გადაცემებით აღზრდილი თაობა ჯანსაღ

ატმოსფეროს ვერ შექმნის და ოჯახსაც მნიშვნელოვნად დააზიანებს. არადა, როგორი მონღოლებაა, რომ უძლიერესი ფსიქოლოგიური საშუალებით – მასმედითობროტებაც ცოდვითი ცხოვრება აღუკვდეც, ვულგარიზებული, ტექნოლოიური საზოგადოება ჩამოყალიბდეს და მის ბატონპატრონად ყული იქცეს, რომ ადამიანებმა, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებმა, სწორი ორიენტრები დაკარგონ და ქრისტეს მცნებები წარსულის გადმონაშთად მიიჩნიონ.

რა თქმა უნდა, ეს ყოველივე მოქმედებს ხალხზე, დღეს უკვე ადამიანებს ბაცილებით უადვილდებათ ოჯახის დანგრევა, თავისუფალი ურთიერთობების დამყარება, მამათმაცლობის ჩვეულებრივ მდგომარეობად წარმოიქმნა, ოჯახური ანიმალეების განხმარება... არავინ ასწავლის თუნდაც იმას, რომ აბორტის გაკეთება და საკუთარი შვილის სიცოცხლის ხელყოფა ან ე.წ. „სუროგატ დედებს“ ინსტიტუტის შექმნა“ უშიძმის დანაშაულია, რომლის გამოსყიდვა ადვილი არ არის.

ძალიან სამწუხაროა, რომ ხდება ეკოისტური აზროვნების წახლისება. ასეთი ადამიანები მოყვასს მოიაზრებენ მხოლოდ თავისი თავისი მიზნების განხორციელების საშუალებად, რაც მადლიერების გრძნობასაც გამორიცხავს და, ამასთან, აყალიბებს ისეთ დამოკიდებულებას, როცა სხვისი გამტევა და სიცოცხლის ხელყოფა ეადვილებათ. თუქცა ცოდვითი ცხოვრების მიმდევართა და პროპაგანდისტთა შორისაც ვხვდევ ბევრს ისეთს, რომელნიც, უფლის წყალობით, შეცვლიან თავის ცხოვრების წესს და ჭეშმარიტი სიკეთის მოთველნი გახდებიან.

ასეთი ზეწოლის მიუხედავად, ჩვენი საზოგადოებისა და ახალგაზრდების დიდი ნაწილი, მათ სასახლოდ უნდა ვთქვა, რომ მაინც ინარჩუნებს ტრადიციულ ღირებულებებს და ქართული იდეის მატარებელნი არიან.

საერთოდ, ვველა ვრს თავისი იდეა აქვს. რა არის ჩვენი იდეა და რაში ვინდებთ იგი? ეს შეიცვლება ვამოეთქვათ ერთი ყოვლისმომცველი სიტყვა – ჭეშმარიტების მსახურება, რაც, პირველ რიგში, გამოიხატა უფლისადმი ჩვენს უდიდეს სიყვარულში, მისდამი ერთგულებასა და თავგანწირვასში.

ღიახ, უზუნაესი ჭეშმარიტებისადმი თავდადება არის ქართული იდეა, ამიტომაც ვგანდვრბა წმიდა მეფე ვახტანგ გორგასალმა: „ეძიებდით ქრისტესთვის სიკვდილსა!“ და მართლაც, ჩვენი ვრი ჯვარს ეცვა ჯვარცმული ღვთისთვის.

პეტრიწონის (ბულგარეთი) ქართული მონასტრის წარწერაც ამაზე მიგვანიშნებს:

ახალი ეპონომოსტი

„ქართველი ვართ ნათესავნი მხენი და მარადის ჭირვეულსა ცხოვრებასა ჩვეულნი“.

ქართული იდეის განვითარების არეალი გიორგი მერაბულემ ასე განსაზღვრა: „ქართულ ფრიადი ქუეყანა აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვა ყოველი აღესრულებს“, ხოლო, ენასა ამას შინა „ყოველი საიდუმლო დამარხულ არს“ (იოანე-ზოსიმე).

აქ, არ იგულისხმება ენა, როგორც მხოლოდ მეტყველების საშუალება, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ერის მსოფლმხვედლობის გამოვლინება, რომელიც თავისი მრავალფეროვნების მიუხედავად, არის ერთი და ერთიანი.

ქართველი სათვის კატრიოტიზმიც ღვთისმსახურებაა. იგი სამშობლოს პატრონობს და საკუთარი სისხლის ფასად იცავს, რადგან ამაში ხედავს ღვთის მიერ დაკისრებულ პასუხისმგებლობას. მას სხვისი არაფერი უნდა, მაგრამ დროებით დაკარგულ თავის ტერიტორიებსა და ხალხს კი ყოველთვის თავისად მიიჩნევს.

ჩვენი სულისკვეთება კარგად ჩანს ამ სიტყვებში: „სამშობლოს არვის წავართმეთ, ჩვენც ნურვინ შეგვეცვლება“. დიას, ქართული იდეისთვის უცხოა ექსპანსია და აგრესია. ამიტომაცაა მთელი ჩვენი ისტორია უანგარობის, გულწრფელობის, ვაკაცობისა და ზნეობრიობის გამოხატულება.

ქართულ იდეაში ასევე სრული სისავსით არის განხორციელებული ქრისტიანული მცნება მოყვასის სიყვარულისა. ჩვენ სისხლში გვაქვს გამჯდარი ეს დამოკიდებულება: „ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დაჰრიდად, გული მისცეს გულისათვის, სიყვარული – გზად და ხიდად“ (რუსთაველი), რაც, რა თქმა უნდა, მხოლოდ ჭეშმარიტებისა და სიკეთის მსახურებას გულისხმობს. ბოროტ საქმეში მეგობრობა და ერთგულება კი ეშმაკთან თანაზიარებაა.

ქართულმა იდეამ საუკუნეთა მანძილზე ჩამოაყალიბა ჩვენი ხასიათი, ჩვენი კულტურა და ყოფა.

ქართული იდეა არის იმ ჭეშმარიტი ღვთისმსახურების გაგრძელება, რომელიც უფალმა დაუდგინა ადამს, ნოეს, აბრაამს, მოსეს... ოღონდ ეს არის ახალ ისრთადად სახელდებული ერის მსახურება (ცხოვრების წესი) ზეციური იერუსალიმის დასაკვიდრებლად.

ასეთია ჩვენი წინაპრების მიერ არჩეული გზა; გზა ძნელი, მაგრამ საამაყო, ვიწრო, მაგრამ გადამრჩენელი, დროებითი ტკივილით დამძიმებული, მაგრამ ქრისტესმიერი მარადიული სიხარულით სავსე.

სწორედ ამ სულისკვეთების მქონე პიროვნებები ქმნიან ღვთისმშობლის წილწვედრ ქართველ ერს, ხოლო ის ქართველები, რომლებიც ასეთი წესით არ ცხოვრობდნენ და არ ცხოვრობენ, თავისთავად განეშორებიან ან უპირისპირდებიან მის წიადს და ქართული იდეის ნაწილად ვერ მიიჩნევიან.

ისინი აიიან ვაზის ნახსლავნი, რომელთა შორის სიცოცხლე არ არის.

ხაზგასმით უნდა ითქვას ისიც, რომ ქართული იდეისათვის მართო გენეტიკურ ნიშანს გადაწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. გავიხსენოთ მეფე ლუარსაბ დიდის ერთ-ერთი შვილი დავითი და მეფე თეიმურაზ I.

ეგოისტური და ანგარებიანი ინტერესებიდან გამომდინარე, დავითი ღვიძლ ძმასაც დაუპირისპირდა და საქართველოსაც, სარწმუნოებაც შეიცვალა და დაუდ-ხანად ქველული მტრის ინტერესების დამცველი და მათი იდეის განმხორციელებელი გახდა. მაშინ, როდესაც თეიმურაზ I რწმენისა და მამულის დაცვას დედად და შეილებიც შესწირა და თავისი ცხოვრებაც მუდმივ ბრძოლასა და ტანჯუ-წამებაში გაატარა, ბოლოს კი ბერობაში აღესრულა; მისი ცხოვრება ხალხისთვის მისაბამ მაგალითად იქცა.

ასე რომ, ქართული სამეარო, ისევე როგორც სხვა ნებისმიერი ერის წიადი, მხოლოდ გენეტიკური ნიშნით არ შეიძლება განვსაზღვროთ. ახრის ჩადებული ფარისევლებისადმი თქმულ მაცხოვრის ამ სიტყვებში: „უწყო, რამეთუ ნათესავნი აბრაჰამისნი ხართ... სიტყუი ჩემი ვერ დაეცევის თქუენ შორის... უკეთუმცა შვილნი აბრაჰამისნი იყენით, საქმეთაცა აბრაჰამისთა იქმოდეთ... თქუენ მამისა ეშმაკისანი ხართ და გულისთქმათა მამისა თქუენისათა გნებავს ყოფად; რომელი ღმრთისაგან არს, სიტყუათა ღმრთისათა ისმენს. ამისთვის არა ისმენთ თქუენ, რამეთუ არა ხართ ღმრთისაგან“ (იოანე 8, 37,39,44,47).

აღენიშნაეთ იმასაც, რომ ქართული იდეის შემოქმედნი იყენენ არაქართველნიც. მაგალითად, სპარსი რაფედი პირველმოწამე და ევსტათი მცხეთელი, ტომით სომეხი დიდებულის ასული შუშანიკ დედოფალი, არაბი აბო, ასურელი წმიდა მამები და სხვანი.

სწორედ ქართული იდეიდან მომდინარეობს ჩვენი ერის მრავალსაუკუნოვანი ტოლერანტობაც, რაც იყო საფუძველი აქ მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების მხრიდან ჩვენი ჭირ-ვარამის გაზიარებისა და საქართველოსთვის მსახურებისა.

საუკუნეთა განმავლობაში სხვებთან ერთად, ქართული იდეის და ქართული სახელმწიფოს

საქართველო



## მთავარი გვერდი

თანაშემოქმედნი იყენენ აფხაზები. ქართული სამყაროს შემადგენელი და განუყოფელი ნაწილი ყოველთვის იყო აფხაზეთი. ამაზე მეტყველებს აქ არსებული უძველესი ქრისტიანული ტაძრები და წარწერები, ქართველ მიფეთა ტიტულატურა. ამაზე მეტყველებს აფხაზეთში, ბედიის მონასტერში დაკრძალული ერთიანი საქართველოს პირველი მონარქის, – ბაგრატ III-ის საფლავი. ამაზე მეტყველებს ჩვენს შორის არსებული სისხლისმიერი ნათესაობა და ნათელ-მირონობა...

ჩვენ ერთი ღმერთის, ყოველადწმიდა ღვთისმშობლის და საერთო წმინდანების მიმართ ელოცულობთ. მათი შეწევნით, ვიმედოვნებთ, მტერი ვერ გაგვთიშავს. აფხაზეთის მიტროპოლიტად კათოლიკოს-პატრიარქის დადგინებაც ჩვენი გაყოფის მოსურნეთა საპასუხოდ გადადგმული ნაბიჯი იყო.

მე განსაკუთრებით ელოცულობ თქვენთვის და აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულსაც განსაკუთრებით ვულოცავ ჩემს უშუალო სამწყსოს – ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიას,

საქართველოს ყველა კუთხის შვილს, ვულოცავ ჩვენს მართლმადიდებელ სამწყსოს: ოსებს, ბერძნებს, ასირიელებს, აფხაზებს, რუსებს, სომხებს, იეზიდებს, აზერბაიჯანელებს, მცირერიცხოვან, მაგრამ უძველესი ისტორიის მქონე უდებს... უცხოეთში დროებით მყოფ თანამემამულეთ, აგრეთვე ტაო-კლარჯეთის, ლაზეთის, ფერეიდანის, მაზანდარანის, პერეთის მკვიდრთ და უფალს თქვენთან ერთად შეველაღებ:

„აღდგომასა შენსა ქრისტე მაცხოვარ, ანგელოზნი უგალობენ ცათა შინა და ჩუენცა ღირს მყვენ ქუეყანასა ზედა წმიდით გულით დიდებად შენდა!“

ქრისტე აღდგა!

ჭეშმარიტად აღდგა!

სიყვარულით თქვენთვის მლოცველი

ილია II

სრულიად საქართველოს  
კათოლიკოს-პატრიარქი  
აღდგომა ქრისტესი  
თბილისი, 2011 წელი

სხალი ეპონომოსტი




თეიმურაზ შენბელია  
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის  
სრული პროფესორი, საერთაშორისო  
ბიზნესის კათედრის გამგე

ცნობილია, რომ შემეცნება მოიცავს სამეაროს გონებრივი აღქმის პროცესს, რომელიც გვაძლევს საშუალებას შევისწავლოთ და აღვიქვათ ის გარემო, რომელშიც ჩვენ ვარსებობთ. შემეცნების პროცესში იგულისხმება ინფორმაციის შეგროვება, დამუშავება და მნიშვნელობის დადგენა. ჩვენ ვერ აღვიქვავთ ყველაფერს ერთდროულად, რაც ყოველ წამში ხდება ჩვენს გარშემო. მაგალითად, როდესაც ვკითხულობთ სიტყვებს ამ გვერდზე, სხვადასხვა რამე ხდება გარშემო. ვიღაც დადის, ლაპარაკობს, შემოდის ხმები ქუჩიდან და ა.შ. მაგრამ არ ვაქცევთ ყურადღებას ამ შემთხვევით მოვლენებს და კონცენტრირებული ვართ იმაზე, რაც ჩვენთვის მნიშვნელოვანია და გვეხმარება გადაწყვეტილების მიღებაში. ფსიქოანალიზის ფუძემდებელს, ცნობილ მეცნიერსა და ფსიქიატრს ზიგმუნდ ფროიდს მიაჩნდა, რომ შიზოფრენიის განმსაზღვრელი ფაქტორი არის შემეცნების ორგანიზებისა და ინფორმაციის დამუშავების უუნარობა. ჩნდება კითხვა, როგორ უნდა დაავადებაროთ წესრიგი არაორგანიზებულ გარემოში და რა როლს თამაშობს ამ პროცესში კულტურა? აღმოჩნდა, რომ სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლები ერთმანეთს გადასცემენ თუ რა არის თითოეული მათგანის კულტურაში ყველაზე მნიშვნელოვანი და რისი აღქმა საჭირო. ექსპერტების აზრით, ის რისი აღქმაც აუცილებელია ერთ კულტურაში, უმნიშვნელოა მეორეში.

**ხალხის აღქმა (perception).** შემეცნების თეორიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, იმის დადგენა არსებობს თუ არა სხვადასხვა კულტურაში შემეცნებითი (perceptual) განსხვავებები. ამ მიზნით მეცნიერებმა (2, p. 58-65.) ჩაატარეს შემდეგი სახის ექსპერიმენტი: მათ ჩინელებისა და ავსტრალიელებისგან შემდგარ ჯგუფებს გააცნეს, მითითური პერსონაჟების განსხვავებული მახასიათებლები, სადაც

დეტალურად იყო აღწერილი თუ როგორი კეთილსინდისიერი და მგრძობიარენი იყვნენ ისინი. უნდა აღინიშნოს, რომ ამ დახასიათებების ჩინური და ინგლისური ვერსიები ერთმანეთის მსგავსი იყო, ამიტომ არც დასკვნები გამოუტანიათ განსხვავებულად. ამის შემდეგ მკვლევარებმა სთხოვეს ექსპერიმენტის მონაწილეებს წინასწარ განესაზღვრათ ამ ხალხის ქცევა. მკვლევართა მიზანი იყო, დაეგნათ თუ, რომელი სპეციფიკური თვისებები იქნებოდა შეგროვებული და ხაზგასმული თითოეული ჯგუფის მიერ. ექსპერიმენტისთვის არჩეულ იქნა ორი განსხვავებული კულტურული ჯგუფი: ჩინური კულტურა, რომელიც ორიენტირებულია კოლექტივიზმზე და ავსტრალიური, ორიენტირებული ინდივიდუალიზმზე. ამ ფაქტორების გათვალისწინებით შედეგებიც განსხვავებული აღმოჩნდა: ჩინელებმა მრავალი თვისებიდან, უპირატესობა მიანიჭეს პროფესიის სხეების მიმართ კეთილგანწყობას, ხოლო ავსტრალიელებმა თავიანთი შეხედულებების ჩამოყალიბების პროცესში პრიორიტეტი მიანიჭეს ცალკეული ინდივიდისათვის დამახასიათებელ თვისებებს. ამრიგად, ჩინელებმა და ავსტრალიელებმა თავიანთი შთაბეჭდილებების გამოხატვაში შეარჩიეს თითოეული მათგანის კულტურული მახასიათებლები. ეს მაგალითი დაგვეხმარება იმის გაანალიზებაში, თუ რა გავლენას ახდენს სხვადასხვა ერების კულტურული განსხვავებები მოლაპარაკებებზე, კომუნიკაციასა და ბიზნესის კეთებაზე.

განვიხილოთ კიდევ ერთი მაგალითი, რომელიც ადასტურებს შემეცნებაზე კულტურის გავლენას. მკვლევარები კამათობდნენ იმის თაობაზე, რომ ზოგიერთი კულტურა ღიად მნიშვნელობს ანიჭებს საზოგადოების წევრებს შორის ძალაუფლებრივ განსხვავებებს (power differences), მაშინ როცა სხვა



ახალი ეპოქისთვის

კულტურები ავტორიტეტს ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებენ. ექპერიმენტის ჩასატარებლად აირჩიეს ამერიკელები, რომლებიც არ ანიჭებენ დიდ მნიშვნელობას ადამიანის სოციალურ სტატუსს და ჩინელები, რომლებსაც ის მნიშვნელოვნად მაინათ. მკვლევარებმა მათ წააკითხეს ერთი და იგივე ისტორია, რომელშიც მოთხრობილი იყო იმის შესახებ, თუ ბიზნესშეხვედრაზე როგორ მიაყენა შეურაცხყოფა მენეჯერმა თავის ქვეშევრდომს. არსებობდა ამ ისტორიის ორი განსხვავებული ვერსია: ერთ ვერსიაში შეურაცხყოფის მიმყენებელი (insult) იყო მაღალი, ხოლო მეორე ვერსიაში დაბალი რანგის მენეჯერი. ექსპერიმენტის მონაწილეებს უნდა წაეკითხათ ამ ისტორიის ერთი და იგივე ვერსია და გამოეთქვათ მოსაზრება იმის შესახებ, თუ როგორ აღიქვას მათ მენეჯერის ქმედება. შედეგად, ამერიკელებმა უარყოფითად შეაფასეს მენეჯერის ქმედება მისი რანგისგან დამოუკიდებლად. ჩინელები კი ნაკლებად კრიტიკულები აღმოჩნდნენ იმ ვერსიის მიმართ, სადაც მაღალი რანგის მენეჯერზე იყო საუბარი. ამრიგად, ექსპერიმენტმა გვიჩვენა, რომ მისი სოციალური სტატუსიდან გამომდინარე, კულტურა შესაძლებლობას აძლევს ადამიანს, იყოს მეტად ან ნაკლებად კრიტიკული სხვა ადამიანების მიმართ. ასევე ნათელი გახდა, რომ მართვის სტილი უნდა შეესაბამებოდეს ქვეყნის კულტურის მთხოვნებს, წინააღმდეგ შემთხვევაში ის არ იქნება ეფექტიანი.

**მოვლენების აღქმა.** რა კულტურული განსხვავებებია ადამიანთა ყოველდღიური ქცევის ნორმებში. ეს საკითხი გავაანალიზოთ ავსტრალიელებისა და ჩინელების მაგალითზე. [3, pp. 78-88] ორივე ქვეყნის წარმომადგენლებმა წააკითხეს ყოველდღიური ქცევის ნორმების ჩამონათვალი (სკოლაში სიარული, მეგობრებთან ერთად გართობა და ა.შ.) და ისინი შეაფასეს დაახლოებით 30 განსხვავებული კრიტერიუმის მიხედვით (მაგ. მოსაწყენი-საინტერესო, სასიამოვნო-არასიამოვნო და სხვ.) აღმოჩნდა, რომ ჩინელებმა ყურადღება გაამახვილეს ისეთ ნორმებზე, რომლებიც ეხებოდა არა მარტო ცალკეულ ინდივიდს, არამედ აერთიანებდა ორი ან მეტი ადამიანის ინტერესს. ავსტრალიელებმა იგივე ნორმებს მიაჩიქეს უპირატესობა, ოღონდ გართობის კრიტერიუმის მიხედვით. ანუ ის ყოველდღიური ქცევის ნორმები, რომლებიც ჯგუფთან იყო დაკავშირებული ავსტრალიელებისთვის ასოცირდებოდა გართობასთან, ხოლო ჩინელებისთვის სოციალურ ვალდებულებებთან.

ჩვენ იშვიათად ვიხილთ ინტერესს იმის მიმართ, თუ რა არის ჩვენი შემეცნების წყარო, იმიტომ რომ ის ბუნებრივად არსებობს ჩვენში. აქედან გამომდინარე, ბიზნეს პარტნიორზე ჩვენი შთაბეჭდილება, გამომდინარეობს ჩვენი კულტურული თავისებურებებიდან. ამ მიზეზით, ობიექტურად ვერ ვფასებთ, სხვა კულტურის წარმომადგენელ პარტნიორს. მაგალითად, დასავლეთის ქვეყნების მენეჯერებში უპირატესობას ანიჭებენ აბსტრაქტულ და უნივერსალურ პრინციპებს, ხოლო აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში მაკონკრეტოვებულ კანონებს, რომლებიც საჭიროა კონკრეტული სიტუაციის სამართავად. აქ შეიძლება აღვიღოთ ქონდეს გარკვეულ პრობლემებს. მაგ. სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლების გამოითხვამ იმის თაობაზე, თუ როგორ მოექცეოდნენ ისინი ხელქვეითი, რომლის მიერ შესრულებული წლიური შრომის მანქნებელი იყო საშუალოზე დაბალი მოცეცა შემდეგი შედეგები. ამერიკელებისა და კანადელების 75%-მა უპასუხა, რომ გაათავისუფლებდა ხელქვეითს, ხოლო კორეელებმა და სინგაპურელებმა დაადასტურეს მისი საშუალოზე დატოვების აუცილებლობა.

**არავერბალური ქცევის აღქმა (perception of nonverbal behavior).** არავერბალური ქცევა გულიხმობს ისეთ ფაქტორების ზემოქმედებას ფსიქიკასა და ვადაწყვეტილებს უნარზე, როგორებიცაა ადამიანთა გარეგნობა, სახის გამომეტყველება, სხეულის მოძრაობები და სხვა. მკვლევარმა ელუარდ პოლმა და მისმა კოლეგებმა "პროფული სივრცე" (personal space) განმარტეს, როგორც მანილი ჩვენსა და იმ პარტნიორს შორის ვისაც ვესაუბრებთ. (3, p. 104) პოლმა გამოაკვლია, რომ ამერიკელ მამაკაცებსა და მათ პარტნიორებს შორის საუბრის დროს მანილი ორიდან ოთხ ნაბიჯამდეა, მანდილოსნებს კი პირიქით, საუბრის დროს ერთმანეთთან ახლოს დგომა ურჩევიათ. აზიელები სამი ნაბიჯის მოშორებით ესაუბრებიან პარტნიორს, არაბები კი გვერდითედ დგანან ერთმანეთთან საუბრის პროცესში. აქედან გამომდინარე, არაბებს შეიძლება არ მოეწონოთ ამერიკელთა ქცევა და უკულტურობად ჩათვალონ ის, ხოლო ამერიკელები პირიქით უკმაყოფილონი დარჩნენ არაბების ქცევით.

**კონტაქტის აღქმა და მისი შედეგები.** სხვადასხვა გარემოში პიროვნებები განსხვავებულად იქცევიან. რით შეიძლება ეს აიხსნას? ჩვენს მიერ მსოფლიოს აღქმა ხდება, რაღაც კონტაქტიდან გამომდინარე. პიროვნების



ქცევას შეუძლია შექმნას მისი გაგების 'ფონი', მაგრამ ჩვენს ხედვაზე უფრო შეუმჩნეველი სუბკონტექსტის მოხდენა შეუძლია კონტექსტის ეფექტს. გარემოს აღქმის ყველა გზის ფორმირება ყალიბდება საკუთრივ მის წიაღში. მაგალითად, ერთი და იგივე განცხადება განსხვავებულ ქვეყნებში შეიძლება სხვადასხვა შინაარსის მატარებელი იყოს, რაც რა თქმა უნდა დამოკიდებულია კონტექსტზე. ბევრი ჩვენგანი ამას ინტუიციურად ხვდება, ზოგს კი ამ ფენომენთან არაადეკვატური შეხება გააჩნია (ასეთ ადამიანებს მასმედიაში მოისვენებენ, როგორც 'კონტექსტიდან ამოვარდნილებს'). შეიძლება ითქვას, რომ კონტექსტის სწორი აღქმის საჭიროება საყოველთაოა. მიუხედავად ამისა, ეღუარდ ჰოლი და მისი კოლეგები მიიჩნევენ, რომ გარემოს აღქმისა და მასთან ურთიერთობის დროს ზოგიერთი კულტურა უფრო მეტად არის დამოკიდებული კონტექსტზე, ზოგი კი ნაკლებად. N1 ცხრილში მოცემულია ზოგიერთი ქვეყნები მათი კონტექსტზე დამოკიდებულების დონის მიხედვით. ისეთ დაბალკონტექსტურ კულტურებში, როგორებიცაა აშშ-ი და გერმანია, ადამიანის ქცევის აღქმა დამოკიდებულია იმაზე თუ რა არის დაწერილი ან ნათქვამი. საქმე იმაშია, რომ ასეთ კულტურებში სიტყვები ზუსტად გადმოცემენ შინაარსს. გარიგების დასადგებად საჭიროა ბიზნესურთიერთობების შინაარსი ჩამოყალიბოთ ცხადად, წინასწარ განეხილოთ, შევთანხმდეთ და წერილობით ზუსტად გადმოცეთ ის.

მაღალ კონტექსტურ კულტურებში საქმიან ურთიერთობებს განსხვავებულად უდგებიან. მაღალ კონტექსტურ კულტურებში თავად კონტექსტი ხშირად გვაწვდის ისეთ ინფორმაციას, რომელიც შეიძლება გამოეყენებინათ იმ მოვლენების გადმოსაცემად, რომლებიც სხვა პირობებში ორაზროვანია. მარტივად რომ ვთქვათ, საზოგადოება რაიმე მოვლენის შესახებ არ ითხოვს დეტალურ, ზუსტ ინფორმაციას. ასეთ კულტურებში ევრბალური და წერილობითი ფორმით გადმოცემულთან შედარებით უფრო მნიშვნელოვანი კონტექსტიდან გამომდინარე მიღებული ინფორმაციაა. შესაბამისად, მაღალკონტექსტური კულტურის წარმომადგენლები უფრო მეტად არიან დაინტერესებულნი გრძელვადიანი ურთიერთობებით, მიცემული სიტყვის ფასით, პიროვნების რეპუტაციით, ნდობის მოპოვებით. მეორე მხრივ, დაბალკონტექსტური კულტურის

საზოგადოება, დაინტერესებულია მთელი კონტექსტის წინა პლანზე გამოწვევით. ეს ნიშნავს, რომ ის ყურდღებებს ამახვილებს გარიგების დეტალსა და ბიზნესის წარმოების 'წესების' სიცხადზე. შესაბამისად, დაბალკონტექსტური კულტურის საზოგადოება, როგორც წესი, საქმიანი შეხვედრების დროს უპირატესობას ანიჭებს ზემოწვევით გააწერილ დღის წესრიგს და ბიზნესგარიგებაში სიცხადის შეტანის მიზნით, საბუთების დეტალურ განხილვას. ბუნებრივია, რომ ასეთი მიდგომა უპირისპირდება ნდობასა და ურთიერთობაზე დაფუძნებული დაბალკონტექსტურ კულტურაში ბიზნესის წარმოების წესს.

მაგალითად, იაპონელები მაღალი კონტექსტის კულტურის ვრია, ხოლო ამერიკელები თავიანთ შეხედულებებში დაბალი კონტექსტის წარმომადგენლებს მიეკუთვნებიან. ამ განსხვავებამ შეიძლება ახსნას ის გაუგებრობები, რომელსაც საქმიანი ურთიერთობების დროს აწვდებიან ამერიკელები და იაპონელები. ეკრძოდ, ზოგიერთი ამერიკელს მიაჩნია, რომ იაპონელებისგან რთულია პირდაპირი პასუხების მიღება, რის გამო, ყველაფერი ნათლად უნდა იყოს ფურცელზე გადატანილი. წარმოიდგინეთ ამერიკელი, რომელიც იაპონურ ფირმასთან შესაძლო საქმიან გარიგებასთან დაკავშირებით წამოაყენებს წინადადებას. იაპონელმა შესაძლოა უპასუხოს: 'ეს საინტერესო წინადადებაა და დღის მისი შემდგომი შესწავლა'. ამერიკელს რომ ჰქონდეს კონტექსტის მაღალი დონე, რომელიც იაპონური კულტურისთვისაა დამახასიათებელი, ის მიხედვითად, რომ ეს განცხადება სინამდვილეში ნიშნავს შემდგომ: 'ეს ნაკლებად სარწმუნოა და საკარაუდოდ, ამ იდეას ჩვენ ვერ მივიღებთ'. იაპონელები, როგორც წესი, ფიქრობენ, რომ ყველფერის პირდაპირი თქმა არის პიროვნების ქედმაღლური დამცირების მცდელობა. რა თქმა უნდა, მგლის მცირე მხარე არის ის, რომ იაპონელთა აზრით, ამერიკელებს ზოგჯერ არ სურთ დროის დახარჯვა თავისი ბიზნესის გარემოს შესასწავლად და ზემდგომად არიან ორიენტირებულნი მოკლე ვადებზე. იაპონელებს, რომ შეუძლიათ მრავალი ამერიკელის მიერ არჩეული დაბალი კონტექსტის კულტურის არსის გაგება, ისინი მიხედვებოდნენ, რომ ამერიკელთა მოთხოვნა დეტალურად გააწეროს კონტრაქტი უფრო ბიზნესის საჭიროებისა და არა ნდობის ფაქტორის ნაკლებობის მახვევებელია.

(მოხილეთ მხარე 15-ზე)

მაღალი და დაბალი კონტექსტის კულტურების შედარება

კულტურის	კონტექსტის მაგალითი
ჩინური	მაღალი
კორეული	
იაპონური	<ul style="list-style-type: none"> <li>• იმას, რაც უთქმელად არის გაგებული უფრო მეტი წონა აქვს ვიდრე დაწერილ და ნათქვამ კომენტარებს.</li> </ul>
ფრანგული	<ul style="list-style-type: none"> <li>• შეთანხმებისას ყურდნობა ნდობას.</li> <li>• პირადი ურთიერთობები ემატება ბიზნესს.</li> </ul>
არაბული	
ბერძნული	
ესპანური	<b>დაბალი</b>
იტალიური	<ul style="list-style-type: none"> <li>• ყურადღებას ამახვილებს ნათქვამი ან დაწერილი ფაქტების სიზუსტეზე.</li> </ul>
ინგლისური	<ul style="list-style-type: none"> <li>• ბიზნესში მხოლოდ ხელის ჩამორთმევა არასაკმარისია.</li> <li>• ნდობის მოპოვება აუცილებელია კანონიერი შეთანხმებით: ბიზნესში პირადი ურთიერთობები ამცირებს ნდობის ფაქტორს.</li> </ul>
ამერიკული	
სკანდინავიური	

გერმანული

შვეიცარიული

წყარო: Hall E.T. (1976). Beyond culture. Garden City, N.Y: Anchor Press.

ახალი ამონომოსტი

ე. პოლის აზრით, საერთაშორისო ბიზნესში, სწორედ კონტექსტის აღქმაში არსებული განსხვავებით შეიძლება ავხსნათ სხვადასხვა კულტურასთან ურთიერთობით აღმოცენებული მრავალი პრობლემა. ამის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, თუ როდის და როგორ უნდა გამოიყენოთ ჩვენ სასიკეთოდ კონტექსტი. რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, ვისთან გაქვს საქმე და რა დოზითაა საჭირო კონტექსტის ფაქტორის გამოყენება. ეს კარგად ჩანს შემდეგ მაგალითში: გერმანელი მენეჯერი, რომელიც ფრანგულ კომპანიაში მუშაობდა ერთ წელიწადში გაათავისუფლეს, რადგან მისი საქმიანობა არ შეესაბამებოდა კომპანიის მოთხოვნებს. გერმანელი განცვიფრებული იყო. მითუმეტეს, რომ არავინ უმთხრა, თუ რას მოელოდნენ მისგან. ფრანგ თანამშრომელს, რომელმაც დატოვა თანამდებობა გერმანულ კომპანიაში, გააჩნდა საპირისპირო გამოცდილება. მას ყელში ამოუვიდა ის ფაქტი, რომ გერმანელი უფროსი მუდმივად კარნახობდა რა უნდა გაეკეთებინა, ამიტომ ჩათვალა, რომ მის

კომპეტენტურობასა და ინტელექტში ეჭვი ეპარებოდათ. ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს კონტექსტის მიმართ განსხვავებულ ხედვასთან. ფრანგებს კონტექსტის მაღალი დონე ახასიათებთ და შესაბამისად, ელიან, რომ გერმანელი თანამშრომელი თავისით, უთქმელად მიხვდება რა უნდა გააკეთოს. დაბალი კონტექსტის გერმანელი თანამშრომელი კი ფრანგი მენეჯერისაგან ელის ჩარევასა და პირდაპირ მითითებებს.

განსხვავებები დროის აღქმაში თუ ჯერ კიდევ ვერ დარწმუნდით იმაში, რომ კულტურული განსხვავებები აღქმა ბიზნესში მნიშვნელოვანია, ამაში არ ხართ ერთადერთი. ბევრ ადამიანს მიაჩნია, რომ აღქმა, სილაზუსის მსგავსად დამოკიდებულია იმაზე, თუ რას გრძნობ და ხედავ. უფრო სწორად რომ ვთქვათ, ზოგიერთს მიაჩნია, რომ აღქმა ხედმეტად სუბიექტურია და ამიტომ მას არ შეიძლება ჰქონდეს დიდი მნიშვნელობა. ამ კრიტიკული აზრის საპასუხოდ, საერთაშორისო მენეჯმენტის მეკლავარებმა გადაწყვიტეს დროის აღქმასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა.


მათ დრო აირჩიეს მისი თბიქტური ბუნების გამო. ფაქტორად, შეუძლებელია მოიფიქრო რამე უფრო მეტად თბიქტური, ვიდრე დროა. ყველას აქვს საათი, განრიგის მიხედვით ელოდება თვითმფრინავს, გვემავს მოგზაურობის მარშრუტს და ემზადება შეხვედრისთვის – ყველაფერი ეს ხდება სასოებადოდ მიღებული დროის განრიგის მიხედვით. ათი წუთი ათი წუთი. ცხრო ხომ დროა? ამ კითხვაზე პასუხია არა! (დახალია მიუღი მსოფლიო გამოიყენება დროის ერთნაირი სისტემა, განსხვავდება ამ ყველაზე თბიქტური საგნის – დროის აღქმის გზებშია. მარტივად, ეს განსხვავება შეიძლება დაეინახოს იმაში, თუ როგორ აღიქვამს დროის აღმოსავლური და დასავლური კულტურები. დასავლურ კულტურაში დროს აღიქვამენ, როგორც საქონელს (‘დრო ფულია’, ‘დროს ნუ კარგავ’, ‘დროის ეკონომიას აკეთებ’, ‘დრო ვადის’ და ა.შ.). ბევრ აღმოსავლურ კულტურაში დრო წარმოდგენილია, როგორც მოქნილი და ცვალებადი. თუმცა, ეს დროის ფაქტორისადმი მარტივი მიდრეკილება რობერტ ლივიანმა და მისმა კოლეგებმა უფრო სისტემატიზებულიად შეისწავლეს ეს საკითხი.

ლივიანი (4, pp. 28-35) კულტურებითა და დროით დანტერესდა მაშინ, როდესაც ის ერთი წლის განმავლობაში ასწავლიდა ბრაზილიაში. პირველად ლექციაზე მიმავალი ლივიანი აღუღდა თავისი საათის გამო, რადგან ამ ქვეყანაში საათები (საჯარო შენობებზე, სხვა ადამიანების საათები), განსხვავებულ დროს აჩვენებდა. აუდიტორიაში ის ლექციის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე მივიდა. იქ კი არავინ დახვდა! მისი წუთდენტების უმრავლესობა დაგვიანებით მოვიდა. ‘ზოგი დაგვიანებდა ნახევარ ან თითქმის ერთ საათს, ხოლო სხვები ერთ საათზე მეტს. საინტერესო იყო ის ფაქტი, რომ დაგვიანების გამო არავინ წუხდა. აუდიტორიაში ყველა შემოდოდა დიმილითა და მგობრული საღამოთი. ლივიანი რამდენიმე წლის განმავლობაში ასწავლიდა კალიფორნიის უნივერსიტეტში, სადაც ასეთი რამ არ ხდებოდა და ის ძალიან გაკვირებული იყო ამ მოვლენით. აშშ-ში სტუდენტები, რა თქმა უნდა, თავის დროზე უნდა გამოცხადდნენ მეცადინეობებზე. უფრო საინტერესო იყო ის, რომ მისმა ბრაზილიელმა სტუდენტებმა მეცადინეობის დასრულების შემდეგ არ დატოვეს აუდიტორია. კალიფორნიის უნივერსიტეტში კი მას მეცადინეობის დასრულებას სტუდენტები ამცნობდნენ, (რაც გამოიხატებოდა წიგნების დახურვაში, ზურგანთების მოკიდებასა თუ მშვიდი მხერაში). ბრაზილიაში კი ლექციების №2(21), 2011 წელი

დასრულების შემდეგ აუდიტორია სტუდენტების მცირე ნაწილად დატოვდა. მათი უმრავლესობა კითხვების დასასმელად და კომუნიკაციისათვის თითქმის ნახევარი საათი დარჩა.

ამ დაკვირვებამ უბიძგა ლივიანის სხვადასხვა სიტუაციებში ამერიკელი და ბრაზილიელი სტუდენტების მიერ დროის აღქმის შესწავლისაკენ. მან აღმოაჩინა რამდენიმე საინტერესო განსხვავება ამ ქვეყნებში მგობართან დაწინაურებულ დროს, რა ითვლება ‘დაგვიანების’ ფაქტორად. საშუალო ამერიკელი ‘დაგვიანების’ დროდ მიიჩნეეს დაახლოებით 10 წუთს, მაშინ როცა ბრაზილიელები ამ საკითხისადმი უფრო მიმტკეველები არიან და ‘დაგვიანებად’ 34 წუთს მიიჩნევენ. ლივიანმა, აგრეთვე გამოკითხა სტუდენტები და გაიგო მათი აზრი ადამიანებზე, რომლებიც იგვიანებენ. ბრაზილიელები ნაკლებად ადანაშაულებენ სხვებს დაგვიანებაში, ვიდრე ამერიკელები. ბრაზილიელთა აზრით, გაუთვალისწინებელი მოვლენები დაგვიანების მნიშვნელოვანი მიზეზია, ანუ ისინი დაგვიანებაში ‘ადანაშაულებდნენ’ ამ მოვლენებს. ამერიკელები უფრო მკაცრი იყვნენ თავიანთ შეფასებებში და ‘ადანაშაულებდნენ’ მხოლოდ პიროვნებას, მის უფურადგნობასა და უპასუხისმგებლობას. საინტერესოა, რომ ბრაზილიელების რწმენით ადამიანები, რომლებიც მუდმივად აგვიანებენ უფრო წარმატებულები არიან, ვიდრე ისინი, რომლებიც არ აგვიანებენ (ისინი აგვიანებენ, რადგან უფრო მეტი მგობარია, საქმიანი ურთიერთობების საწარმოებლად უფრო მეტი პარტნიორი ჰყავთ. ამ შემთხვევაში უპიქტუალურობის ნაკლებობა ‘უტოლდება’ წარმატებას). ამერიკელთა შორის დროის აღქმასთან დაკავშირებით განსხვავებული მიდგომების მიუხედავად, მათ უმრავლესობას ჩიანია, რომ პუნქტუალურობა მნიშვნელოვანია, ხოლო დაგვიანება აუცილებლად თავიდან უნდა იქნეს აცილებული. ლივიანი არ იყო კვლევის შედეგებით სრულად კმაყოფილი. მას სურდა ეჩვენებინა, რომ ეს არ იყო გამოწვეული ენობრივი პრობლემებით, ამიტომ მას სჭირდებოდა, რომ დამატებით შეისწავლა კიდევ რამდენიმე ქვეყნის კულტურა. ლივიანის წინაშე ერთი პრობლემა იდგა: როგორ შეეისწავლოთ დრო ენის ფაქტორისაგან დამოუკიდებლად. მან ეს პრობლემა საკაოდ ჭკვიანურად გადაჭრა, გამოიონა დროის რამდენიმე თბიქტური ინდიკატორი, რომლებიც არ იყვნენ ენაზე დამოკიდებულნი. პირველ რიგში, მან 15 ქვეყანაში სხვადასხვა ქალაქის საბანკო დაწესებულებასი შეაგროვა საათების სიზუსტის





მანქნელები და შეადარა ისინი სატელეფონო კომპანიების (ისინი საქმიანობენ გრინეივის დროით) დროის მანქნელებს. ბანკები წარმოადგენდნენ განსაკუთრებულ ინტერესს, რადგან ისინი ფორმალური ინსტიტუციური დაწესებულებებია და მჭიდროდ არიან დაკავშირებული სხვა ქვეყნებში ამ სახის საქმიანობასთან (მაგალითად, ვალუტის გაცვლის, გადარიცხვების გზით). შესაბამისად, საბანკო სფერო არის ინდუსტრია, სადაც დროის სიზუსტე მუდმივი დაკვირვების ობიექტია. მკვლევარებმა დაასკვნეს, რომ თუ საქმიანობის ამ სფეროში კულტურათაშორისი განსხვავებები არსებობს, მაშინ არსებობს მრავალი სხვა აშკარა განსხვავებები უფრო ნაკლები მნიშვნელობის მქონე სფეროებში. მათი კვლევის შედეგების მიხედვით, იაპონური ბანკების საათები ყველაზე ზუსტი აღმოჩნდა – მხოლოდ 30 წამის სხვაობით, ამერიკაში საათები ბევრით არ ჩამორჩებიან სიზუსტეში. ინდონეზიაში საათები ყველაზე ნაკლებად ზუსტია, ისინი 3 წუთით არიან უკან, როგორც ეს №2 ცხრილში არის ნაჩვენები. ეს მონაცემები ასახავენ ლივინის კვლევის შედეგებს. ლივინის კვლევაში დროის აღქმის კიდევ ერთი სახომი ფეხით მოსიარულეთა სინქარვა. ლივინმა დათვალია თუ რამდენი დრო სჭირდება ხალხს ქალაქის საქმიან ნაწილში 100 ფუტის გასაგეგმვლად, რომელიც მის

მკვლევართა ჯგუფს წინასწარ პიონდა გავლილი მენიერებები ფრთხილად არჩევდნენ იმ ადამიანებს, რომლებიც მარტო მიდიოდნენ, რათა თავიდან აეცილებინათ ისეთი ფაქტორი, როგორიც საუბარის გამო ხელის შეანელებაა. როგორც 52 ცხრილიდან ვხედავთ, იაპონელები სიის დასწყისში არიან, მათ დაახლოებით 21 წამი დასჭირდათ ექსპერიმენტალური მანძილის გასაგეგმვლად (ისინი საქმოდ ჩქარი ნაბიჯებით მოძრაობენ), მათ მოსდევთ ბრიტანელები და ამერიკელები ერთნაირი შედეგით (დაახლოებით 22 წამში თითოეული), ინდონეზიელები დასჭირდათ საშუალოდ 27 წმ. ამ მანძილის დასაფარავედ. და ბოლოს, ამ მკვლევარებმა დაინიშნეს დრო, რომელიც ამ ქვეყნებში კლიენტის მომსახურებისათვის სჭირდებოდა ფოსტის მუშაკს. თითოეულ ქვეყანაში აშშ-ს ჩათვლით მკვლევარებმა საფოსტო კლერკებს მისცეს დაეაღებინათ საფოსტო მარკა და ამ მომსახურებისათვის თითოეულს გადაუხადეს 5 დოლარი. მომსახურე პერსონალის მიერ დახარჯულ დროებს შორის განსხვავება, კვლავ დიდი აღმოჩნდა, ყველაზე დაბლი (25 წმ.) იაპონიაში და ყველაზე მაღალი მანქნელები (45 წმ.) იტალიაში.

სახლი მაკონსილიტი

ცხრილი №2

დროის სვლის საზომები

ქვეყანა	ბანკის საათის სიზუსტე	სიარულის სიჩქარე	საფოსტო მუშაკის სიჩქარე	ლივინის მუშაკის სიჩქარე
იაპონია	1	1	1	1
აშშ	2	3	2	2
დიდი ბრიტანეთი	4	2	3	3
იტალია	5	4	6	6
ტაივანი	3	5	4	4
ინდონეზია	6	6	5	5

\*ციფრები არის თითოეული ქვეყნის მიხედვით დროის საზომების რანგი (1 = ყველაზე მაღალი რანგი)

წყარო: Levine R.V.(1995) Pace of life, punctuality, and coronary heart disease in six countries, Journal of Cross-Cultural Psychology, 15, 233-255.

მაგრამ რას ნიშნავს ეს ყველაფერი? ჩვენი აზრით, ჩატარებული ექსპერიმენტი ცხადყოფს, რომ კულტურის წიაღში არსებული შეუმჩნეველი პროცესები ახდენს ზეგავლენას ჩვენს მსოფლმხედველობაზე, მათ შორის ამქვეყნად ერთ-ერთი ყველაზე ობიექტური მოვლენა – დრო. ამრიგად, ბიზნესმენი, რომელსაც სხვა კულტურის წარმომადგენელია და მას პარტნიორობა შედარებით

განსხვავებული დროის აღქმა აქვს, შესაძლოა პრობლემების წინაშე აღმოჩნდეს. ამ ტიპის კულტურათაშორისი განსხვავებების შესწავლის გზით შევძლებთ პოტენციური კონფლიქტების წარმოშობის ალბათობის შემცირებას. კულტურათაშორისი სხვაობის უკეთ გაგების ერთ-ერთი გზა, დროის მნიშვნელობის მიხედვით კულტურების კლასიფიცირებაა.

ზემოთ აღნიშნულმა კვლევებმა ცხადყო, თუ რამდენად ფართოდება კულტურის აღქმა ბიზნესისათვის. თუმცა, ეს არ შემოიფარგლება მხოლოდ დროის სიზუსტითა და სიარულის სინქროსით. ზოგიერთი ადამიანის აზრით, შესაძლებელია დაეჯგუფოთ ქვეყნები დროის აღქმის ამ კონცეფციის გარშემო. ვიდრედ პოლიც დაფიქრდა ამ საკითხზე, მისი აზრით, სხვადასხვა კულტურებში დროის აღსაქმელად და მის შესაცნობად არსებობს დროსადმი ორი მონოქრონული და პოლიქრონული მიდგომა. უნდა ითქვას, ეს განსხვავება გამოიხატება ერთ შემთხვევაში, მხოლოდ ერთ საქმეზე ყურადღების კონცენტრირებაში და მეორეში, ერთდროულად მრავალი საქმის კეთების შესაძლებლობაში. სხვადასხვა საზოგადოების მიერ დროის აღქმის საკითხში განსხვავებულ კულტურებსა და ქვეყნებში საგრძნობი მრავალფეროვნებაა. მიუხედავად ამისა, ჩვენ ყურადღებას შევაქებთ ეროვნულ განსხვავებებზე. მონოქრონულ კულტურაში დრო მკაცრად მონტროლირებადია. კონკრეტული დროის მონაკვეთი განკუთვნილია კონკრეტული საქმიანობისთვის. მონოქრონული საზოგადოებისათვის წინასწარ შედგენილი განრიგი წმინდა საქმა და მისი დარღვევა ნიშნავს პიროვნების გაღიზიანებას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მონოქრონული საზოგადოება, დროს აფასებს როგორც საკონკრეტოს, რომელსაც გააჩნია დროებულება. მისი წევრები ხშირად ამბობენ, რომ „დრო ფულია“, რომ ისინი „ხარჯავენ“, „ინახავენ“ ან „იგებენ“ დროს. პოლი ირწმუნება, რომ ასეთი ეკონომიკური ენის არჩევა დროსთან მიმართებით შემთხვევითი არაა - ის ასახავს მათ მიერ დროის მონოქრონულ ხედვას. როგორც ჩანს, დროის მონოქრონული მიდგომა დომინირებს ჩრდილოეთ ამერიკასა და დასავლეთ ევროპის მრავალი ქვეყანის ბიზნესში. მათ ვისაც მატარებელი უმჯობურა ევროპაში, ეცოდინება, რომ სხვადასხვა ქვეყანაში მატარებლის განრიგის ხედვა რადიკალურად განსხვავდება. ბევრ ტურისტს გერმანიაში მატარებელზე ერთ წუთზე ნაკლები დროით დაუგვიანებია და ის უკვე გასული დახვდა. აქედან გამომდინარე, გასაკვირი არაა, რომ გერმანელები და შვეიცარიელები ცნობილი არიან

თავიანთი მაღალი ხარისხის საათის ნაკეთობები.

ამის საპირისპიროდ პოლიქრონულ კულტურებს, დროსადმი უფრო მოქნილი მიდგომა ახასიათებთ. ამერიკელებისათვის უცხო და რთული გასაგებია პოლიქრონული კულტურები. მაგალითად, პოლი ხაზს უსვამს, რომ ზოგიერთი ლათინო-ამერიკელს (პოლიქრონული კულტურის ტიპური წარმომადგენელი) ურჩევნია გაავრცელოს დაუგეგმავი, ქუჩაში შემთხვევით წარმოშობილი საუბარი, ვიდრე შეხვედრასე წასვლის მოტივით უაცრად (და უხეზად) შეწყვიტოს ის. პოლიქრონულ კულტურებს, რა თქმა უნდა არ აქვთ დროის ეკონომიური აღქმა. ისეთი ფრაზების თარგმანი, როგორებიცაა მაგალითად „დრო ფულია“, აქ აზრს მოკლევადიანს უკავშირებს. ესპანურად, მაგალითად, ამ გამონათქვამთან ყველაზე ახლოს მდგომ ფრაზად შეიძლება ჩაითვალოს „დროის გაყვანა“.

პოლიქრონულ კულტურაში დროის დაუგეგმავი შეწყვეტა, არ ქმნის დაბრკოლებებს. სიტყვა „შეწყვეტა“, გულისხმობს გეგმიდან გაუთვალისწინებელ და არასასურველ გადახვევას. პოლიქრონული ადამიანისათვის დაუგეგმავი მოვლენები ჩვეულებრივი ამბავია და ისინი ბუნებრივად ჯდება მისი ცხოვრების დინებაში. ორი ან მეტი ქმედება შეიძლება ერთდროულად ან შენაცვლებით განხორციელდეს დროის გარკვეულ პერიოდში. მაგალითად, ამერიკელი ბიზნესმენი ესპანეთში შესაძლოა აღშფოთდეს ოფისის მოსაცდელში თავისი შეხვედრის დროებით, მაშინ როდესაც მექსიკელებს ამავე მოსაცდელში პოლიქრონული კონტაქტი გარკვეულწილად ართობთ. მონოქრონულ კულტურაში, დროის ასეთი მაღალი ფასულობის გამო, დროინი უპასუხისმგებლობისა და უხეშობის ნიშანია. მონოქრონული ამერიკელი ამის გამო მობოდიშებას მოისურვებდა. ამის სანაცვლოდ, პოლიქრონულ ესპანელს შესაძლოა ეფიქრა, რომ ამერიკელს ზედმეტად მომთხოვნი და მდიდური დამოკიდებულება აქვს. პოლი მიიჩნევს, რომ კულტურათშორისი დროის აღქმის დეფიციტი ძალიან ძვირად უჯდება ბიზნესს.

ცხრილი №3 წარმოაჩენს ზოგიერთ თვისობრივ განსხვავებას მონოქრონული და პოლიქრონული კულტურების წარმომადგენელთა შორის.

განსხვავებები მონოქრონულ და პოლიქრონულ დროებს შორის



მონოქრონული დროის აღქმა

პოლიქრონული დროის აღქმა

- |                                         |                                         |
|-----------------------------------------|-----------------------------------------|
| • აკეთებს ერთ საქმეს                    | • აკეთებს რამდენიმე საქმეს ერთდროულად   |
| • ორიენტირებულია დავალებაზე             | • ორიენტირებულია ადამიანზე              |
| • თანახმაა ურთიერთობებზე                | • საჭიროებს გრძელვადიან ურთიერთობებს    |
| • მკაცრად ასრულებს გეგმას               | • ხშირად ცვლის გეგმას                   |
| • მეტ ყურადღებას უთმობს შინაგან გარემოს | • მეტ ყურადღებას უთმობს გარემო პირობებს |

ამ განსხვავებებიდან ზოგიერთი მოპოვებულია ემპირიული კვლევებით. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ერთ-ერთი კვლევის თანახმად, განვითარებადი ქვეყნები (მაგალითად, ჩინეთი, ბრაზილია, მაროკო) ბიზნესმოლაპარაკებების დროს უპირატესობას ანიჭებენ მონოქრონული ურთიერთქმედების სტილს. თუმცა, მათი საქციელი უფრო პოლიქრონული სტილის მახასიათებელია. მიუხედავად ამისა, მკაცრად მონოქრონული საქციელი შესაძლებელია წარმოვიდგინოთ, როგორც ზედმეტად მომთხოვნი და მიმწოლი, ხოლო უკიდურესად პოლიქრონული

ქმედება კი, როგორც მჭიდროდ შეკავშირებული ჯგუფის ქმედება, რომელთანაც რთულია ურთიერთობა. საბოლოოდ, არაფრის მომცემა ის ფაქტი, რომ მსოფლიოში ცნობილია ამერიკელთა მიდრეკილება მონოქრონული დროის მიმართ და მათ სისუსტეს ზოგიერთები უპირატესობის მოსაპოვებლად იყენებენ. პოლი აკეთებს ერთ-ერთი იაპონელი ბიზნესმენის ციტირებას, რომელიც ამბობს: “ამერიკელებს აქვთ საშინელი სისისუსტე. თუ მათ საქმარისად ალოდინებთ, ყველაფერზე თანახმდებიან.” [3, p. 205]

**ბამოყენებული ლიტერატურა:**

1. თ.შენგელია. გლობალური ბიზნესი. თბილისი, „ახალი საქართველო“. 2011.
2. Forgas J.P., 2005, Cultural influences on the perceptions of interaction episodes. Personality and Social Psychology Bulletin, 11.
3. Hell, E.T. (1983) The dance of life. Garden, City, N.Y: Anchor Press.
4. Hall E.T. (1976). Beyond culture. Garden City, N.Y: Anchor Press.
5. Levine R.V. (1995) Social time: the heartbeat of culture. Psychology Today, March.

ახალი ეპონომოსტი





# მეცნიერება/SCIENCE

ახალი მაკროეკონომიკა

საკითხებს საქართველოში, აუცილებელია მოკლედ იქნეს მიმოხილული ამ დარგის მარეგულირებელი ჩარხო სამართლებრივი ნორმები.

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს კანონმდებლობა ენერგეტიკის სფეროში შედგება – საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო შეთანხმებების და ხელშეკრულებების, საქართველოს კანონებისა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისაგან **საქართველოს კონსტიტუცია** არის სახელმწიფოს უზენაესი კანონი, რომელმაც განსაზღვრა ქვეყნის როგორც პოლიტიკური ასევე ეკონომიკური მოწყობის მექანიზმები. კონსტიტუციით გაცხადებული პრინციპების თანახმად საქართველო არის დასავლეთის ფასულობათა გამხიარებელი, საზარო ეკონომიკაზე ორიენტირებული ქვეყანა, რომელსაც აქვს აღებული ვალდებულება ხელი შეუწყოს თავისუფალ მეწარმეობასა და კონკურენციის განვითარებას და არ დაუშვას ქვეყანაში მონოპოლიური საქმიანობა. ამასთან, სახელმწიფოა გარანტი და ხელშეწყობი იმისა, რომ ქვეყანაში მაქსიმალურად იქნეს დაცული მომხმარებელთა უფლებები.

ამასთან, რამდენადაც ენერგეტიკული სისტემის საიმედოობისა და ხარისხიანობის უზრუნველყოფა საზოგადოებისათვის სასიცოცხლო აუცილებელია, ის კონსტიტუციის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება. შესაბამისად, ენერგო სექტორის ფუნქციონირებისა და განვითარების საქმეში კონსტიტუციური პრინციპების სრულყოფილად რეალიზების ხელშეწყობის მიზნით მიღებული და მოქმედებს დარგის მარეგულირებელი შემდეგი ჩარხო კანონები, ქვემდებარე ნორმები და სხვა სამართლებრივი აქტები:

- „დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „რეგულირების საფასურის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები“, მიღებულია საქართველოს პარლამენტის 2006 წლის დადგენილებით;
- „ელექტროენერგის (სიმძლავრის) ბაზრის წესების“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2006 წლის 30 აგვისტოს №77 ბრძანება;

• „ბუნებრივი გაზის ბაზრის წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2006 წლის 29 დეკემბრის №114 ბრძანება;

• „უსაფრთხოების ტექნიკის წესები ელექტროდენდგარების ექსპლუატაციისას“ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2008 წლის 18 ნოემბრის №100 ბრძანება;

• „2010-2011 წლის ელექტროენერგის (სიმძლავრის) ბალანსის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის ბრძანება №47;

• „2010 წლის ბუნებრივი გაზის ბალანსის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2010 წლის 18 თებერვლის №11 ბრძანება.

გარდა ამისა, ენერგოსექტორის როგორც რეგულირებადი სფეროს საწარმოთა საქმიანობის ნორმები ასახულია „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში.

ასევე, მხედველობაში მისაღებია საერთაშორისო და ორმხრივი სახელმწიფოთაშორისი შეთანხმებები და ხელშეკრულებები, რომლებიც საქართველოს აქვს ენერგო დარგებში თანამშრომლობის კუთხით დადებული სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სახელმწიფოებთან. მათ შორის:

• „ენერგეტიკის შესახებ ქართის ოქმი ენერგეტიკული კვებქურობისა და გარემოსთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ“, რომელიც რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 2004 წლის 9 დეკემბერს;

• შეთანხმება - „საქართველოს მთავრობასა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობას შორის ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობის გაფართოების შესახებ“, რომელიც ძალაში შესვლის მიზნით დამტკიცებულია საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 30 ივლისის №301 ბრძანებულებით.

ესეა მოკლედ მიმოხილული თითოეული მათგანი.

**„დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონი** - წარმოადგენს იმ ჩარხო ნორმას, რომლითაც მყარი სამართლებრივი საფუძვლები იქმნება ქვეყანაში არსებული მარეგულირებელი ინსტიტუტების სტაბილური ფუნქციონირებისათვის. შესაბამისად, მასში განსაღერულია დამოუკიდებელ მარეგულირებელ ორგანოთა უფლებამოსილების, მომხმარებელთა ინტერესების დაცვის, გადაწყვეტილებათა მიღებისა და ინფორმაციის საჯაროობის საკითხები.

№2(21), 2011 წელი



დამოუკიდებელ ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოთა საჯარო ფუნქციების განხორციელების უზრუნველყოფას ემსახურება ასევე **„რეგულირების საფასურის შესახებ“ საქართველოს კანონი**, რომლის მიზანს წარმოადგენს ამ ორგანოთა ფინანსური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა.

**„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონი** წარმოადგენს ამ სფეროს მარეგულირებელ ჩარხო სამართლებრივ ნორმას და ემსახურება ქვეყანაში ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის დარგების ნორმალური ფუნქციონირებისა და შემდგომი განვითარებისათვის შესაბამისი პირობების შექმნას. კერძოდ, მისი მიზანია, ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის ბაზრებისა და ტარიფების სისტემის ჩამოყალიბება, მომხმარებელთა სტაბილური მომარაგებისათვის სამართლებრივი საფუძვლების შექმნა და დარგის რეგულირებისა და განვითარებისათვის ინვესტიციების მოზიხვის, ასევე განახლებადი და ადგილობრივი რესურსების უპირატესი გამოყენების ხელშეწყობა.

ზემოაღნიშნული მიზნებიდან გამომდინარე, კანონის წინაშე მდგარი ამოცანებია:

✓ დარგში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისა (ენერგეტიკის სამინისტრო) და რეგულირების (დარგის მარეგულირებელი კომისია) ფუნქციების გამოიჯენა;

✓ ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის წარმოებისა და რეალიზაციის სფეროებში რეგულირების ძირითადი პრინციპების განსაზღვრა;

✓ დარგის ლიცენზიატების საქმიანობის ეფექტიანობის ზრდის და კონკურენციის განვითარების ხელშეწყობა.

✓ მომხმარებელთა დაცვა მონოპოლიური ტარიფებისაგან და დარგის გრძელვადიანი ფინანსური მდგრადობისა და განვითარების ხელშეწყობა.

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორის ლიცენზიატთა საქმიანობის მომწესრიგებელი ძირითადი დებულებები, რომლებიც მრავლად არის კანონში ჩამოყალიბებული, თავის არსით უმნიშვნელოვანესია და ემსახურება დარგის საიმედო ფუნქციონირებას. თუმცა, ჩვენ აქ ყველა მათგანს ვერ მიმოვიხილავთ და ყურადღებას შევანერგებთ მხოლოდ ისეთ საკითხებზე, როგორცაა - საბითუმო ვაჭრობა, ლიცენზირება, ელექტროენერგეტიკული სისტემის პარალელურ


რეჟიმში მუშაობა, ტარიფები და ქსელზე მესამე მხარის დაშვება.

როგორც კანონიდან ირკვევა, ელექტროენერგეტიკულ სისტემაში საბითუმო ვაჭრობის საგანს წარმოადგენს ელექტროენერგია და გარანტირებული სიმძლავრე. ეს უკანასკნელი მიიღება იმ სიმძლავრის წყალობიდან (თბოელექტროსადგურები), რომლებსაც ქვეყნის ერთიანი ელექტროენერგეტიკული სისტემის უსაფრთხოების მიზნით განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა და რომელსაც განერებული მდგომარეობიდან სისტემასთან სინქრონიზაცია შეუძლია არა უმეტეს 24 საათისა, ხოლო სიმძლავრის ადგება - არაუმეტეს მომდევნო 12 საათის განმავლობაში.

თავის მხრივ, საბითუმო ვაჭრობაში მონაწილეობის უფლება გარდა კვალიფიციურ საწარმოებისა, ასევე აქვთ გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატებს „ელექტროენერგეტიკის (სიმძლავრის) ბაზრის წესები“ დადგენილ შემთხვევებში, მაშინ, როდესაც, გარანტირებული სიმძლავრით საბითუმო ვაჭრობაში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ კვალიფიციურ საწარმოებს.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ ელექტროენერგეტიკის საბითუმო ყიდვა-გაყიდვა ხორციელდება პირდაპირ ხელშეკრულებით ან სისტემის კომერციული ოპერატორის მეშვეობით. ამასთან, პირდაპირი ხელშეკრულებების მხარეები ვალდებული არიან „ელექტროენერგეტიკის (სიმძლავრის) ბაზრის წესებით“ დადგენილი ვადების, პირობებისა და პროცედურების დაცვით დაარეგისტრირონ პირდაპირი ხელშეკრულება დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატთან. შესაბამისად, პირდაპირი ხელშეკრულება ძალაშია მხოლოდ დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ რეგისტრაციის შემდეგ. თავის მხრივ, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს უფლება აქვს არ მოახდინოს პირდაპირი ხელშეკრულების რეგისტრაცია, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი არღვევს „ელექტროენერგეტიკის (სიმძლავრის) ბაზრის წესებით“ დადგენილ პროცედურებს.

რაც შეეხება ლიცენზიების საკითხს, უნდა აღინიშნოს, რომ ის მიეკუთვნება სამეწარმეო საქმიანობის თავისუფლებიდან გამონაკლისების სფეროს. შესაბამისად, ამ გამონაკლისების სფეროს მარეგულირებელ ჩარხო სამართლებრივ ნორმას წარმოადგენს - **„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონი**, რომელიც აწესრიგებს ქვეყანაში ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემის, მათში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების ზოგად წესს. ამასთან, ის ადგენს ლიცენზიებისა და ნებართვების სახეების



ამოწმურაუ ჩამონათვალს. თუმცა, მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ „ნათობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით რეგულირებულ სფეროზე არ ვრცელდება „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ კანონის ის ნაწილი, რომელიც ეხება სარეგულაციო ლიცენზიასა და მისი გაცემის წესს. აქვე ხაზი უნდა გავეხაზო, რომ წინასწარი ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემასთან დაკავშირებული ურთიერთობები რეგულირდება „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ საქართველოს კანონით.

რაც შეეხება ლიცენზიების გაცემას, მას, როგორც წესი, ახორციელებენ ცენტრალური სახელმწიფო ორგანოები, გარდა ცალკეული გამონაკლისი შემთხვევებისა. შესაბამისად, ენერგოსექტორის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ გაცემული ლიცენზიების გარეშე აკრძალულია ენერჯ სექტორში სამწვარმოო საქმიანობის განხორციელება, გარდა იმ კონკრეტული შემთხვევებისა, როდესაც ელექტროენერჯია იწარმოება მხოლოდ საკუთარი მიხმარებისათვის და არ არის მიერთებული გადაამცემ ან გამანაწილებელ ქსელთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, ამ კონკრეტული შემთხვევის გარდა, ყველა სხვა დანარჩენ შემთხვევაში კომისია უვადოდ გაცემს ლიცენზიებს შემდეგ საქმიანობებზე:

- ელექტროენერჯის წარმოება;
- ელექტროენერჯის დისპეტჩერიზაცია;
- ელექტროენერჯის გადაცემა;
- ელექტროენერჯის განაწილება;
- ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირება;
- ბუნებრივი გაზის განაწილება.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ ლიცენზია ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის სფეროში გაიცემა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ და „ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონების მოთხოვნათა შესაბამისად.

თავის მხრივ, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ლიცენზიანტს არა აქვს უფლება, კომისიის წინასწარი თანხმობის გარეშე შეწყვიტოს, შეამციროს ან გაზარდოს ლიცენზიით გათვალისწინებული მომსახურება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შეწყვეტა ან შემცირება ხდება მომხმარებლის მიერ მომსახურების საფასურის გადაუსდევლობის გამო ან/და ტექნიკური ან უსაფრთხოების მიზეზით. აღნიშნული გამონაკლისების გარდა, მომსახურების შეწყვეტის ან შემცირების შემთხვევაში ლიცენზიატი ვალდებულია კომისიას წარუდგინოს განაცხადი მომსახურების შეწყვეტაზე ან შემცირებაზე. კომისიისგან მომსახურების

შეწყვეტაზე ან შემცირებაზე თანხმობის მიღების შემდეგ ლიცენზიატი აბარებს სალიცენზიაციო მოწმობას. ასეთ შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია ცვლილება შეიტანოს ან გააუქმოს ლიცენზია.

აქვე უზარადად უნდა გაგვიხვილოთ იმ გარემოებაზე, რომ სალიცენზიო და სატარიფო პირობებით არც ერთ ლიცენზიანტს არ შეიძლება დაეკისროს ვალდებულება გააგრძელოს ლიცენზიით გათვალისწინებული მომსახურების გაცემა, თუ მომსახურების მიმღები და სხვა ლიცენზიატი, პირდაპირი მომხმარებელი ან სხვა ფიზიკური ან იურიდიული პირი არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს ან მომსახურების დამტკიცებულ პირობებს.

რაც შეეხება ელექტროენერჯეტიკული სისტემების პარალელურ რეჟიმში მუშაობის საკითხს, უნდა აღინიშნოს, რომ „ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ელექტროენერჯის დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტი სისტემის კომერციულ ოპერატორთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე უფლებამოსილია დადგინდოს წესით გააფორმოს საქართველოს მეზობელი ელექტროენერჯეტიკული სისტემების შესაბამის საწარმოებთან პარალელურ რეჟიმში მუშაობის ხელშეკრულებები /*ამ ხელშეკრულებების საფუძველზე წარმოშობილი ურთიერთობები არ წარმოადგენს ელექტროენერჯის იმპორტს ან ექსპორტს და არ ექვემდებარება ცალკე ლიცენზირებას ან ნებართვის გაცემას*/. შესაბამისად, ელექტროენერჯეტიკული სისტემების პარალელურ რეჟიმში მუშაობასთან დაკავშირებული ურთიერთობების რეგულირებას და ტექნიკურ მართვას ახორციელებს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი.

ამასთან, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესების“ მოთხოვნათა შესაბამისად, სისტემის კომერციული ოპერატორია ვალდებული უზრუნველყოს ხელშეკრულებების გაფორმება მეზობელი ელექტროენერჯეტიკული სისტემის უფლებამოსილ პირებთან, ელექტროენერჯის იმ ფაქტობრივ გადანიშნულებთან დაკავშირებით, რომლებიც გამოწვეულია სისტემის პარალელურ რეჟიმში მუშაობის დროს დაგეგმილი გრაფიკთან დადასტურებით.

ენერგოსექტორში ფასებისა და ტარიფების დადგენა ხორციელდება სხვა დარგის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ დამტკიცებული მეთოდოლოგიის საფუძველზე. ამასთან, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად №2(21), 2011 წელი

ახალი პერიოდის

დასაშვებია მომხმარებელთა კატეგორიების მიხედვით სხვადასხვა სახის ტარიფის დადგენა – პიკური სიდიდეების, საშუალო შეწონილი და ზღვრული სიდიდეების, საერთო მოხმარების ცვლინურობის, საწარმოების სადღეღამისო ცვლილებების, მომსახურების ტიპის ან ანალოგიური პარამეტრების ასახვის მიზნით. ასევე, ქვეყნის ენერგეტიკულ სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების გათვალისწინებით კომისიის შეუძლია დაადგინოს გრძელვადიანი ტარიფები.

გარდა ამისა, იმ შემთხვევაში თუ ენერგოსექტორში მოქმედი ძირითადი და მისგან გამომდინარე სამართლებრივი ნორმებით სხვა წესი არაა განსაზღვრული, ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზიატმა და იმპორტიორს უდგინდებათ ელექტროენერჯის გასაყიდი ტარიფის ზედა ზღვარი, ხოლო იმ ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზიატს, რომელიც შესაბამისი ნორმატიული აქტით მიხნეულია ქვეყნის ერთიანი ელექტროენერგეტიკული სისტემის მარეგულირებელ სადგურად, უდგინდება „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ფიქსირებული ტარიფი.

ასევე კომისია ადგენს გარანტირებული სიმძლავრის წყაროსთვის (წარმოების ლიცენზიატისათვის) გარანტირებული სიმძლავრის საფასურს და სიმძლავრის წყაროს ელექტროენერჯის ტარიფს. კომისიის მიერ გარანტირებული სიმძლავრის საფასურის განსაზღვრა ხდება თითოეული გარანტირებული სიმძლავრის წყაროსათვის ყოველთვიურ განკვეთზე (ბაზისზე).

**ცნობისათვის:** ტარიფი ძალაში შედის კომისიაში სატარიფო განაცხადის შეტანიდან 150 დღის განმავლობაში, თუ იგი აკმაყოფილებს კომისიის მოთხოვნებს სატარიფო განაცხადის მიმართ.

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონი აწესრიგებს ასევე ქსელზე მესამე მხარის დაშვების საკითხებსაც, რომლის თანახმად განაწილების ან/და გადაცემის ლიცენზიატი ვალდებულია კომისიის მიერ დადგენილი ტარიფის საფასურად თავის ქსელში გაუბაროს ელექტროენერჯია იმ პირებს, რომლებსაც „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით უფლება აქვთ ელექტროენერჯია გაყიდონ უშუალოდ ელექტროენერჯის მომხმარებლებზე.

ამასთან, კანონის თანახმად, სცადლო მომხმარებლის მიერ გარე მომარაგების ქსელის №2(21), 2011 წელი

შეცვლა ან ახალი ქსელის აშენება დასაშვებია მხოლოდ იმ მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურის, ლიცენზიატის ან მიმწოდებლის მიერ გაცემული ტექნიკური პირობების საფუძველზე, რომლის მფლობელობაში მყოფ ქსელზე არის მიერთებული მომხმარებელი. ტექნიკური პირობა ასევე უნდა გასცეს იმ მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურმა, ლიცენზიატმა ან მიმწოდებელმა, რომლის ქსელზე მიერთებას აპირებს მომხმარებელი.

**ცნობისათვის:** „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განსაზღვრულია რომ – 2008 წლის 1 აგვისტოს შემდეგ აშენებული ყველა ელექტროსადგური დერეგულირებულ იქნეს.

**„ნავთობისა და გაზის შესახებ“**

**საქართველოს კანონი** - არის ის ჩარჩო სამართლებრივი ნორმა, რის საფუძველზეც ხორციელდება ქვეყანაში ნავთობისა და გაზის სექტორში სამეწარმეო საქმიანობის რეგულირება. შესაბამისად, ქვეყნის სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, კანონის მიზნებს წარმოადგენს – ნავთობისა და გაზის სექტორში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა და ამ სფეროში მოქმედ პირთა კანონიერი ინტერესების დაცვა. მათ შორის, სახელმწიფო რეგულირების, ზედამხედველობისა და კონტროლისათვის ყვეტანი სამართლებრივი ბაზის შექმნა და სახელმწიფოსა და ინვესტიციის შორის ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიებისა და მოპოვების შესახებ ხელშეკრულებათა ძირითადი პრინციპების, ნავთობის ეროვნული კომპანიის ფუნქციების და ნავთობისა და გაზის ოპერაციების, ნავთობის გადამუშავების, გაზის დამუშავების ან/და ტრანსპორტირების საქმიანობის სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოს ძირითადი ფუნქციების განსაზღვრა.

სწორედ, აღნიშნული მიზნების რეალიზებას ემსახურება ჩარჩო კანონის ძირითადი დებულებები, სადაც დეტალურადაა გაწერილი ის ნორმები, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ ამ მიზნების მიღწევის პრაქტიკული შესაძლებლობა. კერძოდ, „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის ძირითადი დებულებებით დარეგულირებულია ისეთი საკითხები, როგორიცაა – ნავთობისა და გაზის რესურსებზე საკუთრებასა და ქონებასთან დაკავშირებული ურთიერთობები და ინვესტირისათვის ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიებისა და მოპოვების უფლებების მინიჭების პროცედურისა და ინვესტორთა უფლებების სახელმწიფო გარანტირების საკითხები; ასევე, დარეგულირებულია ნავთობისა და გაზის შემცველი წიაღით სარგებლობის (გენერალური ლიცენზიის

ახალი მეცნიერება



გაცემისა და მოქმედების) თავისებურებანი და სხვა საკითხები.

ენერგო სექტორის დარგების მარეგულირებელ სამართლებრივ ნორმებზე სრულყოფილი მართლდების შესაქმნელად აუცილებელია მიმოხილეთ შემოღწეული წარმო კანონმდებლან გამომდინარე ქვენორმატიული აქტები. თუმცა, სანამ მათ მიმოხილვას დაეწყოებდეთ, გვინდა მოკლედ შევეხეთ, ენერგოსექტორში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს პარლამენტის 2006 წლის დადგენილებით.

საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული, **„საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები“-ს** შესაბამისად, საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში გასატარებელი პოლიტიკის ძირითად ამოცანას წარმოადგენს, ქვეყანაში არსებული ენერგეტიკული რესურსების მაქსიმალური ათვისება და იმპორტირებული ენერგომატარებლების მოწოდების წყაროების დივერსიფიკაციის ხარჯზე მრეწველობის დარგებისა და საყოფაცხოვრებო-კომუნალური სფეროს ენერგეტიკულ რესურსებზე მოთხოვნის სრული დაკმაყოფილება, სექტორის ეკონომიკური დამოუკიდებლობისა და მდგრადობის მიღწევა და უსაფრთხოების (ტექნიკური, ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორები) უზრუნველყოფა.

ამასთან, ვაძეგლადიანი პერიოდისათვის უშთაერეს ამოცანად დასახული საკუთარი პირობების ელექტროენერგიაზე ადგილობრივი მოთხოვნის სრული დაკმაყოფილება (პირველ რიგში იმპორტის, ხოლო შემდეგ კი – თბოენერჯის ჩანაცვლებით). შესაბამისად, აქცენტირება უნდა მოხდეს ალტერნატიული ენერჯის წყაროების განვითარებაზე, რამაც საქართველო უნდა აქციოს ენერგეტიკული რესურსების იმპორტიორი ქვეყნიდან მაღალი ტექნიკურ-ეკონომიკური მახასიათებლების მქონე, მდგრადი, კონკურენტუნარიანი და მოქნილი, დამოუკიდებელი ენერგეტიკული შესაძლებლობების სახელმწიფოდ. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ენერგეტიკული სექტორის სტრატეგიულ ინტერესადაა აღიარებული ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი აღმოსავლეთ-დასავლეთისა და ჩრდილოეთ-სამხრეთის ენერგეტიკული და ენერგოსატრანსპორტის ინფრასტრუქტურის განვითარება.

გარდა ამისა ხაზგასმულია, რომ სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითად ამოცანას უნდა წარმოადგენდეს ადგილობრივი თუ უცხოური კომპანიების საქმიანობის მაქსიმალური ხელშეწყობა, მათ შორის, ლიცენზიებისა და ნებართვების ოპტიმიზაციისა და მათი გაცემის

პროცედურის გამარტივების გზით. ასევე, უნდა განხორციელდეს ელექტროენერგეტიკულ ბაზრის ეტაპობრივი ლიბერალიზაცია და დერეგულირება. და ბოლოს, უნდა დაინერგოს ბაზრის ახალი მოდელი, რომელიც უზრუნველყოფს სექტორში ფუნქციონირებად სუბიექტებს შორის უფლებამოვალეობებისა და პასუხისმგებლობების მკაფიოდ გამოჯვანას.

**„ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესები“** - არის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რომელიც მიღებულია საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის მიერ, ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და აწესრებს - ელექტროენერჯისა და გარანტირებული სიმძლავრის ბაზრის ფუნქციონირების, სისტემის კომერციული ოპერატორისა და დისპეტჩინგის ლიცენზიატის საქმიანობის, პირდაპირი ხელშეკრულების დადებისა და ძალაში შესვლის პირობებს. ამავე წესებითაა დარეგულირებული ქვეყნის ერთიანი ელექტროენერგეტიკული სისტემის გარანტირებული სიმძლავრით უზრუნველყოფასა და ვაჭრობასთან, ასევე ელექტროენერჯის იმპორტსა და ექსპორტთან და ელექტროენერგეტიკული სისტემების პარალელურ რეჟიმში მუშაობასთან დაკავშირებული ურთიერთობები, ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბალანსების შედგენისა და მათი შესრულების წესებთან ერთად.

გარდა შემოღწეულია, ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესები-თ დარეგულირებულია საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა საკითხებიც.

**„ბუნებრივი გაზის ბაზრის წესები“** წარმოადგენს ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ საქართველოს კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტს, რომელიც ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესების მსგავსად, მიღებულია საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის ბრძანებით.

აღნიშნული წესები ადგენს ბუნებრივი გაზის ყიდვა-გაყიდვის და ტრანსპორტირების ტექნიკურ, კომერციულ და ფინანსურ ურთიერთობებს, მათ შორის საიმედოობის სტანდარტებსა და ბუნებრივი გაზის ბალანსების შედგენისა და შესრულების წესებს. ის საგადადებულაა ამ სფეროში მოქმედი ყველა სუბიექტისათვის.

ამ წესებით რეგულირდება ბუნებრივი გაზის მიწოდებულს, ტრანსპორტირებისა და განაწილების ლიცენზიატებსა და პირდაპირ მომხმარებლებს შორის წარმოშობილი ურთიერთობები. შესაბამისად, ამ წესების თანახმად დადებული ხელშეკრულება წარმოადგენს ძირითად

ახალი პერიოდის

იურიდიულ დოკუმენტს და მასთან შესაბამის ვალდებულებების დაკისრება აკრძალულია.

### **„უსაფრთხოების ტექნიკის წესები ელექტროდანადგარების ექსპლუატაციისას“**

– მიღებულია ასევე საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის მიერ, „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნის შესაბამისად.

აღნიშნული წესები მოიცავს ელექტროსადგურების და ელექტრული ქსელების ელექტროდანადგარების და მოწოდებლობების ექსპლუატაციის უსაფრთხოების ტექნიკურ ნორმებს და გრძელდება ყველა იმ პირზე (პერსონალზე), რომლებიც ახორციელებენ ელექტროდანადგარების ტექნიკურ მომსახურებას, ოპერატიულ გადართვებს, საპროექტო, სამშენებლო, სამონტაჟო, გაწობის, სარემონტო სამუშაოს და გამოცდებს და გაზომვებს.

ამ წესების შესაბამისად გამოყენებული დამცავი საშუალებები უნდა ამკაფოფილებდნენ სახელმწიფო სტანდარტების და 1982 წლის 26 თვისის სსრკ-ს ენერგეტიკის სამინისტროს მიერ დამტკიცებულ „ელექტროდანადგარებში გამოყენებული დამცავი საშუალებების ხმარების და გამოცდის წესების“ მოთხოვნებს. შესაბამისად, მუშაობის დროს საუბრულად წესით უნდა იქნეს გამოყენებული მხოლოდ გამოცდილი მექანიზმები და ტვირთამწე მანქანები, საკომპრესორო დანადგარები და ჰაერშემკრები, სამარჯვები და ინსტრუმენტები. ამასთან, მათი ექსპლუატაცია უნდა განხორციელდეს შრომის უსაფრთხოების სტანდარტების, ტექნიკურ დოკუმენტაციის წესების, ქარხანა-დამამზადებლისა და სსრკ ენერგეტიკის სამინისტროს მიერ 1985 წლის 30 აპრილს დამტკიცებული ინსტრუქციის „უსაფრთხოების წესები ინსტრუმენტებითა და სამარჯვებით მუშაობისას“ შესაბამისად.

ამასთან, ყველა ორგანიზაცია ვალდებულია მუდმივ კონტროლი განახორციელოს ამ წესებით დადგენილი ნორმების დაცვაზე, რაზეც პასუხისმგებლობა ეკისრება ორგანიზაციის ხელმძღვანელს.

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე, საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2010 წლის 18 აგვისტოს ქვეწარმადიული აქტით „**2010-2011 წლის ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბალანსის დამტკიცების შესახებ**“ დამტკიცდა ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბალანსი 2010 წლის 1 სექტემბრიდან 2011 წლის 1 სექტემბრამდე ვადით. ამავე დოკუმენტის თანახმად, ქვეყნის ერთიანი ელექტროენერგეტიკული სისტემის

მარეგულირებელ სადგურად მიხიულ ექნა წარმოების შემდეგი ლიცენზიატები:

- შპს „ენერჯისი“;
- შპს „ვარდნილქსელების კასკადი“.

ამასთან, ელექტროენერგეტიკული სისტემის მდგრადობის, სტაბილურობისა და საიმედო ფუნქციონირების მიზნით, ელექტროენერჯის დისპეჩინგის ლიცენზიატს მიენიჭა უფლება დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბალანსით გათვალისწინებული ელექტროენერჯის იმპორტის საერთო მოცულობის ფარგლებში, მომწოდებელი ქვეყნის მიხედვით წყაროების ჩანაცვლების შესახებ.

ასევე, „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტს წარმოადგენს ენერგეტიკის მინისტრის მიერ გამოცემული ბრძანება - „**2010 წლის ბუნებრივი გაზის ბალანსის დამტკიცების შესახებ**“. ამ ქვეწარმადიული აქტს საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი გამოსცემს ყოველწლიურად, თუმცა, მიმდინარე წლის 9 თებერვლის მდგომარეობით „2011 წლის ბუნებრივი გაზის ბალანსის დამტკიცების თაობაზე გადაწყვეტილება“ არაა მიღებული.

რაც შეეხება „2010 წლის ბუნებრივი გაზის ბალანსს“ ის დამტკიცდა საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2010 წლის 18 თებერვლის №11 ბრძანებით. ამ ქვეწარმადიული აქტის თანახმად, ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ლიცენზიატს მიეცა უფლება დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება ბუნებრივი გაზის ბალანსით გათვალისწინებული ბუნებრივი გაზის იმპორტის საერთო მოცულობის ფარგლებში, მომწოდებელი ქვეყნის მიხედვით წყაროების ჩანაცვლების შესახებ.

მნიშვნელოვანია ხაზი გაეკვას იმ გარემოებას, რომ გარდა ზემოაღნიშნული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისა, ენერჯო სექტორის რეგულირება ხორციელდება დარგის მარეგულირებელი ორგანიზების მიერ მიღებული დადგენილებებისა და გადაწყვეტილებების საფუძველზე. მათ შორის, პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის შესყიდვის საბითუმო და საცალო ტარიფების დადგენის მეთოდოლოგია და ამ მეთოდოლოგიის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებები / დადგენილებები.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ენერჯოსექტორში განცხადებებისა და საჩივრების გახილვის, ნორმატიული და ინდივიდუალური აღმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მიღების წესები განისაზღვრება „საქართველოს



ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ შესაბამისად, ხოლო დარგის ლიცენზიატების ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის საკითხები ჩამოყალიბებულია „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“. თუმცა, ჩვენ ამ საკითხებზე აქ არ შეუქმნებოდით.

როგორც ზემოთ უკვე ერთხელ აღვნიშნეთ, ენერგო სექტორის სტაბილურობისა და არსებული მდგომარეობის სრულყოფის საკითხებს ემსახურება არა მხოლოდ კონკრეტული კანონები და კანონქვემდებარე აქტები, არამედ ამ მიზნით ხორციელდება თანამშრომლობა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და კონკრეტულ სახელმწიფოებთან. შესაბამისად, შევეცდებით ქვემოთ ერთი საერთაშორისო და მეორე სახელმწიფოთაშორისო დონეზე დადებული ხელშეკრულება მიმოვიხილოთ.

**„ენერგეტიკის შესახებ ქართვის ოქმი ენერგეტიკული ეფექტურობისა და გარემოსთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ“**, განსაზღვრავს ენერგეტიკული ეფექტურობის ხელშეწყობისა და ენერგო სისტემების გარემოზე მავნე ზემოქმედების შემცირებასთან დაკავშირებული პოლიტიკის პრინციპებს. იგი ასევე შეიცავს საორენტიაციო დებულებებს ენერგეტიკული ეფექტურობის პროგრამების შემუშავების მიზნით, განსაზღვრავს თანამშრომლობის სფეროებსა და ფარგლებს ერთობლივი და კოორდინირებული საქმიანობის განხორციელებისათვის. შესაბამისად, აღნიშნული ოქმის ფარგლებში თანამშრომლობის მიზნებს წარმოადგენს:

- ✓ ენერგეტიკული ეფექტურობის პოლიტიკის იმ მიმართულებაზე განვითარება, რომლებიც შესაბამისობაშია მდგრადი განვითარების კურსთან;
- ✓ ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც უზრუნველყოფს მწარმოებლების და მომხმარებლების მიერ ენერჯის ეკონომიურად, ეფექტურად და გარემოს დაცვის პრინციპების შესაბამისად გამოყენებას და ეკონომიკური ეფექტურობის სფეროში თანამშრომლობის წახალისებას.

ოქმის შესაბამისად ხელშემკერდ მხარეთა შორის თანამშრომლობას შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერი ფორმით, ისეთ საკითხებზე როგორცაა - ენერგეტიკული ეფექტურობის პროგრამების განვითარება, ენერჯის კლასიფიკაციის და ეფექტურობის განსაზღვრული სტანდარტების შემუშავება, გარემოზე ენერგეტიკული ციკლების ზემოქმედების შეფასება, ტექნიკური დახმარების გაწევა და ერთობლივი სამრეწველო საწარმოების დაარსება და სხვ.

**„საქართველოს მთავრობისა და ახერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობის შორის ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობის გაფართოების შესახებ“**

- შეთანხმების მიზანს წარმოადგენს:

✓ განახლებადი ენერჯის წყაროების სფეროში ერთობლივი პროექტების შემუშავებასა და რეალიზაციაზე ინფორმაციების გაცემა და ერთობლივი პროექტების განხორციელების მექანიზმების ჩამოყალიბებისა და კადრების მომზადების გზით ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობის ფორმირება;

✓ სახელმწიფოთაშორისი პროგრამების შემუშავება, რომლებიც ითვალისწინებს საბოლოო ენერგეტიკული რესურსების მომსახურებისა და წარმოების სტრუქტურის გაუმჯობესებას.

ამასთან, ითვალისწინებენ რა პარალელური სამუშაოების განახლების აუცილებლობას ენერგომომარაგების უწყურობის გაზრდისა და ეფექტურობის ამაღლებისათვის, რომელიც მიიღება რეგიონალური ენერჯის სექტორში ერთიანი მუშაობის შედეგად, მხარეები თანხმდებიან რომ გაატარებენ შესაბამის საორგანიზაციო და ტექნიკურ ღონისძიებებს, რათა მოხდეს სისტემათშორისი ელექტროგადამცემი ხაზების სტაბილური მუშაობის უზრუნველყოფა და ფორს-მაჟორული გარემოებებისა და ავარიების შემთხვევაში მხარი დაუჭირონ ერთმანეთს ურთიერთდახმარე შესაბამისი ღონისძიებების გასატარებლად.

და ბოლოს, გვინდა შევეხოთ კონკურენციის ჩარჩო სამართლებრივ ნორმას **„თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონს**, რომლის მიზანს წარმოადგენს ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის, მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიუხედავად საქართველოში თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციისათვის ბარიერების მოხსნა. მათ შორის, შეხლულული კონკურენციის პირობებში რეგულირებად ეკონომიკურ სფეროებში საზოგადოების სასიცოცხლო და ეკონომიკური ინტერესების დაცვა. შესაბამისად, ამ კანონის მე-IV თავი ეხება რეგულირებად ეკონომიკურ სფეროებს. კერძოდ, განსაკუთრებული საკუთრების მფლობელის მიერ სხვა ეკონომიკური აგენტის მის ქსელში დაშვებისა და დაშვებზე უარის თქმის მოკვლევის საკითხებს. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ეს არ ვრცელდება იმ დარგებზე, სადაც დაშვების პირობები ცალკე კანონთაგან განსაზღვრული და მასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს არეგულირებს შესაბამისი დამოუკიდებელი მარეგულირებელი ეროვნული ორგანო. შესაბამისად, „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედების არავალიდანი №2(21), 2011 წელი

სახელი აკონომისტი

გამოსულია ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სფერო.

მართალია, ამ ეტაპზე კონკურენციის ჩარხო კანონის რეგულირების არეალიდან გამოსულია ენერგო სექტორის ძირითადი დარგები, მაგრამ ეს დროებითი მოვლენას წარმოადგენს, რადგანაც საქართველოს მთავრობას ევროკავშირში ინტეგრაციის ფარგლებში მტკიცედ აქვს განსაზღვრული ქვეყნის საკონკურენციო სამართლის პარამოხიზაცია ევროკავშირის კანონმდებლობასთან. შესაბამისად, ევროკომისიის რეკომენდაციების საფუძველზე საქართველოს მთავრობამ 2010 წლის 3 დეკემბრის №1551 განკარგულებით დაამტკიცა - „კონკურენციის

პოლიტიკის ყოვლისმომცველი სტრატეგია“, რომლის თანახმადაც კონკურენციის ჩარხო კანონი უნდა გაერცვლდეს ეკონომიკის ყველა სექტორზე, მათ შორის, ისეთ არალიბერალურ სექტორებზე, როგორცაა ენერგეტიკა, გაზი, წყალმომარაგება, ელექტრონული კომუნიკაციები. აღნიშნულიდან გამომდინარე, ამ დოკუმენტის თანახმად, არალიბერალური სექტორების მარეგულირებელ კანონებში უნდა შევიდეს ცვლილებები, კონკურენციის ჩარხო კანონთან მათი შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, რამაც თავის მხრივ, უნდა უზრუნველყოს კონკურენციის სააგენტოსათვის სექტორული მარეგულირებლების ფუნქციების შეთავსება კონკურენციის სფეროში.

### ბამოყენებული ლიტერატურა:

1. თ. გამსახურდია, ს. ფეტელავა, ენერგო და ეკო სამართალი, „ლო“, თბ., 2010;
2. ე. ურსთაიე, დ. ჩომახიძე, პ. ცინცაძე, ენერგეტიკის რეგულირების საფუძველები, წიგნი II, „თურგი“, თბ., 2001;
3. ს. ფეტელავა, კონკურენციის თეორია და ანტიმონოპოლიური რეგულირება საქართველოში, „ლო“, თბ., 2007;
4. დ. ჩომახიძე, დ. ბიბილაშვილი, ბუნებრივი მონოპოლიების რეგულირება საქართველოში, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია, შრომები, VII ტომი, „სიახლე“, თბ., 2009, გვ. 246-256;
5. საქართველოში სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის ეროვნული პროგრამა / სადისკუსიო მასალა/, „ბიტი“, თბ., 2001;
6. საქართველოს კონსტიტუცია, 1995 წლის 24 აგვისტო;
7. საქართველოს 1997 წლის 27 ივნისის №1816-III კანონი „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ (ამ კანონში 1999 წლის 30 აპრილის (№1934) და შემდგომ პერიოდებში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით);
8. საქართველოს 2002 წლის 13 სექტემბრის №1666-IX კანონი „დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“;
9. საქართველოს 1999 წლის 16 აპრილის №1892-III კანონი „ნავთობისა და გაზის შესახებ“;
10. საქართველოს 2005 წლის 1 ივლისის №1860-რს კანონი „რეგულირების საფასურის შესახებ“;
11. საქართველოს 2005 წლის 3 ივნისის №1550-IX კანონი „აიავსუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“;
12. საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის №1775-რს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ (ამ კანონში 2010 წლის ჩათვლით განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით);
13. საქართველოს პარლამენტის 2006 წლის 7 ივნისის №3190-IX დადგენილება, „საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების“ თაობაზე;
14. საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2006 წლის 30 აგვისტოს №77 ბრძანება „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესების დამტკიცების შესახებ“;
15. საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2006 წლის 29 დეკემბრის №114 ბრძანება „ბუნებრივი გაზის ბაზრის წესების დამტკიცების თაობაზე“;
16. საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2008 წლის 18 ნოემბრის №100 ბრძანება „უსაფრთხოების ტექნიკის წესების ელექტროდანიდგარების ექსპლუატაციისას“;
17. საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2010 წლის 18 აგვისტოს №47 ბრძანება „2010-2011 წლის ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბალანსის დამტკიცების შესახებ“;
18. საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2010 წლის 18 თებერვლის №11 ბრძანება „2010 წლის ბუნებრივი გაზის ბალანსის დამტკიცების შესახებ“;
19. საქართველოს პარლამენტის 2004 წლის 9 დეკემბრის №656-III დადგენილება „ენერგეტიკის შესახებ პარტიის ოქმი ენერგეტიკული ფექტურობისა და გარემოსთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ“;
20. საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 30 ივლისის №301 ბრძანებულება „საქართველოს მთავრობასა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობას შორის ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობის გაფართოების შესახებ“ შეტანხმების დამტკიცების შესახებ.



ძვეყანას

რეზაზ ხარბაშაძე

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი

ახალი ამონომისტი

იდეა, რომ ოჯახური მეურნეობები გამოიკვებავდა ქვეყანას საკმაოდ ფეხმოკიდებული იყო 90-იანი წლების დასაწყისში. თუმცა, მაშინ ზედაპირული წარმოდგენა ქონდა ჩვენს მოსახლეობას, ოჯახური (ფერმერული) მეურნეობის როლზე ქვეყნების სურსათით უზრუნველყოფაში. ეკონომიკური მეცნიერების წარმომადგენლების ის ნაწილი, რომელთა კვლევის ობიექტი არ იყო სახლდარგართული აგრარული წარმოება არ ფლობდა ზუსტ ინფორმაციას, იმის შესახებ, თუ როგორ ვითარდებოდა და როგორი ტენდენციებით ხასიათდებოდა განვითარებულ ქვეყნებში სურსათის წარმოება და როგორი სტრუქტურული აღორძინების პრობლემის გარშემო მიმდინარე განხილვებმა და წარმოდგენილმა პროგრამების არარობამ.

პრობლემის აქტუალურობიდან გამომდინარე, დაგვიანებით, მაგრამ მაინც ჩავთვალეთ საჭიროდ, რომ გამოვეთქვა ჩვენი მოსაზრება (საკუთარი პრაქტიკული გამოცდილების გათვალისწინებით) სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღორძინების საფუძველთა საფუძვლის შესახებ. საუბარია განვითარებულ ქვეყნებში აპრობირებული აგრარული წარმოების ორგანიზაციული ფორმების საქართველოს სოფლის მეურნეობაში დანერგვის აუცილებლობაზე, რაც ადრე თუ გვიან გარდაუვალია. ყოველი დაგვიანებული დღე ქვეყნის სოფლის მეურნეობას აშორებს აღორძინების რეალური პერსპექტივებიდან.

აქედან გამომდინარე, სოფლის მეურნეობის სამინისტრო ვაძღვებოდა შემუშავოს მოქმედების გეგმა ამ მიმართულებით. მითუმეტეს, რომ აღმოსავლეთ ევროპის პოსტსოციალისტურ ქვეყნებში აქტიურად ინერგება მოწინავე ქვეყნებში აპრობირებული აგრარული წარმოების ეფექტური ორგანიზაციული ფორმები.

დიდი ხნის პრაქტიკული გამოცდილების ანალიზიდან გამომდინარე, არასწორად მიგვიჩინა იმის მტკიცება, რომ შესაძლებელია სოფლის მეურნეობის აღორძინება, მხოლოდ ოჯახური (ფერმერული) მეურნეობების ბაზაზე. იმიტომ, რომ ერთი მხრივ, ოჯახური (ფერმერული) ინტერესები ნაკარნახევია მისი ბუნებით და მიმართულია საკუთარი კეთილდღეობის (მატერიალური მოთხოვნების და თავისუფალი დროის) ზრდაზე და არა სახურსათო ბაზრის გაჯერებაზე. მეორე – მეურნეობრიობის ამ ფორმაზე დაყრდნობით დასაგლეთვის არც ერთ ქვეყანაში სოფლის მეურნეობის წარმოების განვითარებას დღევანდელ დონემდე არ მიუღწევია. მესამე – მიუხედავად პირველი ორი თეზისისა, ოჯახურ (ფერმერულ) მეურნეობას უკავია საკმაოდ დიდი ადგილი ყველა ქვეყნის სოფლის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესში. იგი ასაქმებს მოსახლეობის დიდ ნაწილს, უნარჩუნებს ქვეყანას ეროვნულ თვითმყოფადობას, ტრადიციებს, კულტურას და ასევე შეაქვს გარკვეული წვლილი ქვეყნის მოსახლეობის სურსათით დაკმაყოფილების საქმეში. სწორედ, ამით არის გააჩვენებული ქვეყნების ზრუნვა მთლიანად სოფლის განვითარებაზე, რომლის შემადგენელი ნაწილი არის ოჯახური მეურნეობების სხვადასხვა ტიპები. ა გზით უნდა განვითარდეს ქართული სოფელი.

მაგრამ, სოფლის განვითარება ეს სულ სხვა პრობლემაა, ვიდრე ეროვნული სურსათის ბაზრის ფორმირება. ამიტომ სტრატეგიულ შეცდომად მიგვიჩინა დღეს ქართულ სინამდვილეში სასოფლო-სამეურნეო წარმოების ოჯახური (ფერმერული) მეურნეობისათვის აბსოლუტური უპირატესობის მინიჭება.

ქვეყნის სტატისტიკის დეპარტამენტის ერთი მონაცემით საქართველოს სოფლის მეურნეობაში ფუნქციონირებს 600 ათასი ოჯახური ფერმერული მეურნეობა, მეორე მონაცემით - 800 ათასი და მესამე – 726 ათასი. მიუხედავად ციფრების ასეთი განსხვავებულობისა, ეს ნიშნავს იმას, რომ



სოფლად მცხოვრები ყოველი ოჯახი მიკუთვნებულია მუერნეობრიობის ოჯახურ (ფერმერულ) ფორმას, რაც შეიძლება ჩაითვალოს თანამედროვე მოთხოვნების არაადაეკვატურ მოვლენად.<sup>1</sup>

ევროკავშირის ქვეყნებში მიღებულია ოჯახური (ფერმერული) მუერნეობრიობის მიკუთვნების ერთიანი ეკონომიკური ზომა (90-იანი წლების მეორე ნახევრის მონაცემებით ის ევროპის ქვეყნებში შეადგენდა 1200 ევროს), აშშ-ში ასევე მიღებულია მანქანებელთა სისტემა, რომელიც განსაზღვრავს მუერნეობრიობის ფერმერული ფორმის მიკუთვნების წესს (ფერმაში დახარჯული შრომა არ უნდა იყოს საერთო დახარჯული შრომის 50%-ზე ნაკლები და რეალიზებული პროდუქცია არანაკლებ 1000 აშშ დოლარის მოცულობით. რასაც მისი დადგენის მომენტში შეესაბამებოდა ორი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ან 4 ჰექტარზე წარმოებული ხორბლის, ან 1 ჰექტარზე წარმოებული სიმინდის ღირებულება). რუსეთში გლეხური (ფერმერული) მუერნეობები გამოიწვეულია პირადი დამხმარე საწარმოების ცნებიდან, რის შედეგადაც ქვეყანაში, რომელსაც გააჩნია 230 მლნ ჰექტარი სავარგული, ფერმერთა რაოდენობა არ აღემატება 300 ათას ერთეულს [4]. მსგავსად ზემოთ მოყვანილი მაგალითებისა, აუცილებელია, რომ ჩვენს ქვეყანაშიც მოხდეს ფერმერული მუერნეობისა და ოჯახური პირადი მუერნეობების ერთმანეთისაგან გამოიჯენა. რასაკვირველია, ეს ფორმა დარჩება სხვადასხვა მიზეზების გამო მოძრავი, რადგან ადგილი ექნება ერთი კატეგორიის მუერნეობის გადასვლას მეორე კატეგორიაში. მთავარია ის, რომ ყოველთვის გვეკონდინება რა პროცესები მიმდინარეობს სოფლის მუერნეობაში და როგორი სტრუქტურით არის ის წარმოდგენილი ქვეყნის სურსათის ბაზრის ფორმირების პროცესში. დღეს საქართველოში ოჯახური (ფერმერული) მუერნეობები პროდუქციის სახეების მიხედვით იწარმოება პროდუქციის 92-დან (მევენახეობა) 100%-მდე (სასოფლო წარმოების უმეტესი პროდუქტების მიხედვით). ამედროულად, ჩამოყალიბებულია მუერნეობრიობის მყარი აღნიშნული ფორმის წილის წლიდან წლამდე სულ უფრო ზრდის ტენდენცია. ეს სიტუაცია მთლიანობაში

განვითარებულ ქვეყნებში მიმდინარე ანალიტიკური პროცესების საწინააღმდეგოა.

ჩვენი ხედვით ის ძალისხმევა, რომელსაც ქართული სახელმწიფო ავლენს სოფლის მუერნეობის აღწარმოების აღორძინებისათვის ძირითადად ასახავს აგრარული პოლიტიკის სწორ ექტორებს. თუმცა დარგის არსებული მდგომარეობის ანალიზიდან ირკვევა პრობლემა, რომელიც წარმოადგენს ქართული აგრარული წარმოების აღორძინების საფუძველთა საფუძველს, მაგრამ იგი რატომაც რჩება ყურადღების მიღმა. საუბარია აგრარულ წარმოებაში ფართოდ გავრცელებულ არაფინანსურ სამეურნეო მექანიზმ-კოოპერატიულ და ინტეგრაციულ-ორგანიზაციულ ფორმებზე, რომელთა ეფექტიანობის ხარისხი არც ერთ ქვეყანაში არ გადავს ეჭვს, თუნდაც იმპორტ, რომ დღეს განვითარებულ ქვეყნებში პრობლემა არა სურსათის ბაზრის გაჯერება, არამედ ხშირ შემთხვევაში ჰარბაწარმოების თავიდან აცილება სახელმწიფოს ჩარევის საფუძველზე, რაც მეტყველებს დასახელებული ორგანიზაციული ფორმების მაღალ ეფექტიანობაზე.

თუ ჩვენ გვსურს სახელმწიფოს ხელშეწყობი ძალისხმევა, პირველ რიგში ფინანსურმა და ფასისმიერმა ღონისძიებებმა მათთვის დაკისრებული შედეგები მოგვეცეს, დადებითად უნდა გადაწყვედეს მუერნეობრიობის მრავალფეროვნების დამკვიდრება, რაც აუცილებლად უზრუნველყოფს საფინანსო-საკრედიტო და ფასისმიერი მექანიზმების ეფექტიანად გააოყენებას.

ბუნებრივია, სახელმწიფო ხელისუფლების მიერ აგრარული წარმოების აღორძინებაზე მიმართულ ძალისხმევას სჭირდება შემხვედრი ინიციატივები ადგილებიდან, სხვა შემთხვევაში, როგორც ამას განვითარებული ქვეყნების პრაქტიკა გვიჩვენებს, შეუძლებელი იქნება სასურველი შედეგების მიღწევა.

სოფლის განვითარებისა და სოფლის მუერნეობის წარმოების აღორძინებისადმი მიდგომის სისწორე მდგომარეობს იმაში, რომ გარდამავალ პერიოდში სახელმწიფო თავის თავზე იღებს ბევრ საბაზრო ფუნქციას, რომელსაც, როგორც წესი, უნდა ასრულებდნენ თვით სასოფლო-სამეურნეო საწარმოების სხვადასხვა ორგანიზაციული ფორმები

<sup>1</sup> სხვა მონაცემებით, 1992 წ. 772,5 ათ. სოფლად მცხოვრებ კომლს გადაეცა 763 ათ. სასოფლო-სამეურნეო სავარგული, საშუალოდ კომლზე – 0,89 ჰა, ხოლო, 1996 წ. მონაცემებით, 40, 2 ათ. მოიჯარეს გადაეცა სარგებლობაში 471 ათ. სასოფლო-სამეურნეო სავარგული (საშუალოდ 1 მოიჯარეზე 11,8 ჰა). 4,2 ათ. თურთაველ პირს იჯარაში გადაეცა 432 ათ. ჰა, საშუალოდ 102,9 ჰა. (დოლონაძე გ. მიწის რეორგანიზაცია საქართველოში: მიმდინარეობა და შედეგები/საქართველოს ეკონომიკურ მცენიერებათა აკადემიის შრომები, ნომრი VIII, 2010, გვ. 297-298, თბილისი.



და ტიპები. დღევანდელ სიტუაციაში მისი განხორციელება უწყვეს სახელმწიფოს. მთავარი მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ ქვეყანაში ჯერ-ჯერობით არაა ჩამოყალიბებული მსხვილი საწარმოები, რომლებიც, როგორც წესი, იქმნება კონკრეტების, ვერტიკალური და ჰორიზონტალური ინტეგრირებისა და სხვადასხვა სახის დარგობრივი კავშირების ფორმირების საფუძველზე. მხოლოდ ასეთ გაერთიანებებს შესწევთ უნარი, რომ თვითონვე გადაწყვიტონ სურსათის წარმოებასთან დაკავშირებული ისეთი პრობლემები, როგორცაა: ფერმერული მეურნეობის ნაწილობრივი დაფინანსება, მატერიალურ-ტექნიკური და წარმოების სხვა საშუალებებით მომარაგება, წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია და ა.შ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მსხვილ სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს გააჩნიათ მთელი რიგი უპირატესობები ოჯახურ (ფერმერულ) მეურნეობებთან შედარებით. ასეთი სახის საწარმოები, როგორც წესი, ფლობენ დიდი მოცულობის საკუთარ ფინანსებს, გააჩნიათ საბანკო კრედიტების და სხვა წყაროებიდან ინვესტიციების მოზიდვის საშუალება. ისინი ქმნიან საკუთარ საწარმოთ და სოციალურ ინფრასტრუქტურას, რომლითაც სარგებლობს მთლიანად სოფლის მოსახლეობა. ამ სახის მეურნეობების ფორმები ეფუძნება საწარმოო ოპერაციების მექანიზაციას, ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებას, ახალი სელექციური ჯიშების დანერგვას მემცენარეობასა და მეცხოველეობაში, ქმნიან საკუთარ შესანახ და გადამამუშავებელ საწარმოებს, უშუალოდ პროდუქციას დიდი მოცულობით და შედარებით დაბალი დანახარჯებით. ყოველივე ამის შედეგად იზრდება მოთხოვნილება კვალიფიციურ კადრებზე, რაც უზრუნველყოფს მის მიერ წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ზრდას როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის გარეთ.

განვითარებულ ქვეყნებში მიუხედავად ფერმერული მეურნეობების სიჭარბისა, პარალელურად ფუნქციონირებენ კოოპერატიული ფერმები, არასაოჯახო ტიპის მსხვილი კომერციული სასოფლო-სამეურნეო საწარმოები და სხვა. თვით საოჯახო ფერმები თვითნებურად ფორმდებიან, მოცულობით, ორგანიზაციული სტრუქტურით და ა. შ. საკმაოდ მრავალფეროვანია. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ სასოფლო-სამეურნეო საწარმოები ცვალებადი ეკონომიკური გარემოსაღმამ ადაპტაციის პროცესში იმყოფებიან მუდმივად განვითარებად მდგომარეობაში. ამიტომ თანამედროვე სოფლის მეურნეობაში ძნელია საუბარი სასოფლო-სამეურნეო უნიფიცირებულ

ტიპებზე და ფორმებზე, მითუმეტეს, საქართველოს სინამდვილეში.

ყველაზე მარტივია სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაიყოფა ნატურალურ და სასაქონლო მეურნეობად. მეურნეობის საქონლიანობა განისაზღვრება ამ უკანასკნელის მიერ წარმოებული პროდუქციის იმ ნაწილით, რომელიც ბაზარზე იყიდება ამ დასახელების პროდუქციის საერთო რაოდენობიდან. ბუნებრივია სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის პირობებში სასოფლო-სამეურნეო წარმოების საქონლიანობის ხარისხი განიცდის მუდმივ ზრდას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე განვითარებულ სამყაროში სრულად ნატურალური სოფლის მეურნეობის არსებობა შეუძლებელია, რამდენადაც იგი მოიხმარს სამრეწველო წარმოების მრავალი სახის საქონელს, წარმოების საშუალებებს, ინფორმაციას, მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევებს და ა. შ. რაც იმას ნიშნავს, რომ მათ უნდა გაიყონ წარმოებული პროდუქციის ნაწილი, რის შედეგადაც დროთა განმავლობაში იზრდება სოფლის მეურნეობის დამოკიდებულება წარმოების საშუალებების ბაზარზე და შესაბამისად იზრდება სასოფლო-სამეურნეო საწარმოს საქონლიანობის დონე.

ცნობილია, რომ აგრარული წარმოების სფეროს განსხვავებულობა ეკონომიკის სხვა დარგების საწარმოებისაგან განპირობებულია იმით, რომ იგი ერთი მხრივ, მოიცავს ბიოლოგიურ პროცესებს, მეორე მხრივ კი, ეკონომიკური ელემენტების ერთობლიობას. მასში, როგორც ბიოლოგიურ-ეკონომიკური სისტემაში განმსაზღვრელი ადგილი უკავია ადამიანს, მის მეურნეობრიობის კულტურას, ეროვნულ ტრადიციებს, ნიჭს, უნარ-ჩვევებს, რომლებზედაც ბევრადაა დამოკიდებული დარგში მიმდინარე ბიოლოგიური და ეკონომიკური პროცესების რაციონალური შეჯერება და სასურველი შედეგების მიღება. ასეთ სიმბიოზურ ბიოლოგიურ-ეკონომიკური სისტემის გადამწყვეტ ელემენტს წარმოადგენს შედეგებზე ორიენტირებული ორგანიზაციული ფაქტორები, ეკრძოდ, განვითარებულ ქვეყნების სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში აპრობირებული მეურნეობრიობის ფორმები და ტიპები. ჩვენს დროს რწმენით, მხოლოდ აქედან უნდა დაიწყოს სოფლის მეურნეობის წარმოების აღორძინებასთან დაკავშირებული დონისძიებების გატარება (რაც არ გამორიცხავს პარალელურად ტექნიკურ, ტექნოლოგიურ და სხვა პროცესებს). სახელმწიფო

სახელმწიფო

რეგულირების სხვა ბერკეტები, განსაკუთრებით ფასისმიერი და ფინანსური, იქნება ნაკლებად ეფექტიანი ოპტიმალური ეკონომიკური სისტემების (საწარმოების) არარსებობის პირობებში. საუბარია იმაზე, რომ ეროვნულ აგრარულ სექტორში, მსგავსად განვითარებული ქვეყნებისა, უნდა ჩამოყალიბდეს სახელმწიფო რეგულირების სასოფლო-სამეურნეო სუბიექტები - სწორად და ეფექტიანად ორგანიზებული აგრარული საწარმოების ტიპები და ფორმები, რომლებიც შეძლებენ მიიღონ და რაციონალურად გამოიყენონ სახელმწიფო ხელშეწყობი ღონისძიებები და პირველ რიგში ფინანსური და ფასისმიერი წყაროებით.

ზემოთ ჩამოყალიბებული თეზისიდან გამომდინარე, ქვეყნის აგრარული სექტორის ეფექტიანი ფუნქციონირების საფუძვლად მიგვაჩნია მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოებში მისი მართვის აპრობირებული ორგანიზაციული ფორმების (ტიპების) დანიშნვა, რაც უზრუნველყოფს ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ორგანიზაციული ფორმების შესაბამისობას თანამედროვე ეკონომიკური განვითარების გარემოს განუხრელ ცვლილებებთან. სხვა შემთხვევაში, როგორც ამას პრაქტიკა გვიჩვენებს, ქვეყნის სოფლის მეურნეობის წარმოების განვითარება საქმიანობა არ იქნება წარმატებული.

განვითარებულ ქვეყნებში თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს, მათი ორგანიზაციული-საწარმოო ფორმების მიხედვით, ყოფენ სამ ჯგუფად: ოჯახური, კოლექტიური და სამეწარმეო (ანტრეპენერული). როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, პირველი მათგანი მიეკუთვნება ისეთი ტიპის საწარმოს, რომლის მართვა სორციელდება უპირატესად ერთი ოჯახის მიერ. მეურნეობრიობის ასეთ ტიპს ეწოდება ოჯახური სასოფლო-სამეურნეო საწარმო, (ფერმა - მიწადმოქმედი, მიწის დამამუშაველები). მეორე ტიპს, რომელმაც ფართო გამოყენება პოვა პრაქტიკაში, მიეკუთვნება კოლექტიური სასოფლო-სამეურნეო საწარმო. იგი გულისხმობს მუშაკების მიერ წარმოების საშუალებების ერთობლივ ფლობას და მეურნეობის ერთობლივ მართვას და მესამე ტიპი-სამეწარმეო (ანტრეპენერული) მეურნეობრიობა წარმოადგენს მსხვილ სასოფლო-სამეურნეო საწარმოს, რომლის მესაკუთრებმა უშუალოდ არ მონაწილეობენ წარმოების პროცესში, მაგრამ მართავენ საწარმოო პროცესებს და იყენებენ

მიუხედავად აქ მოტანილი სამი ტიპის სასოფლო-სამეურნეო წარმოების ფორმების განსხვავებულობისა, მათ შორის სახელგნები არის ძალიან მოქნილი.

ოჯახური მეურნეობა, სამეწარმეო მეურნეობისაგან განსხვავებით, თავისი საქმიანობით არ მიისწრაფვის მოგების მაქსიმიზაციისაკენ, არამედ მისი ამოცანაა სარგებლიანობის ფუნქციის ზრდა. აქვე არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ სასოფლო-სამეურნეო საწარმოს ორგანიზაციული ფორმის ზემოთ მოყვანილი სამი ტიპიდან ყველაზე უფრო მდგრადია მეურნეობრიობის ოჯახური ფორმა მისი საქმიანობის შედეგების მიხედვით (თუ მას არ მოაქვს ფულადი შემოსავალი, (მეპატრონე არ იშორებს მიწას), რადგან ის ხედავს უფრო სხვა არაფინანსურ სარგებლობას თავისი ფერმის საქმიანობიდან.

სოციოლოგების, ეკონომისტებისა და მათემატიკოსების მიერ ხანგრძლივი კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ოჯახური მეურნეობის ფუნქციონალურ მიზანს წარმოადგენს ოჯახის სიკეთე, რომელიც როგორც უკვე ვიცით არ ამოიწურება ფულადი შემოსავლებით. ამიტომ, ფერმის თეორიის ამოსავალი დებულება იმის შესახებ, რომ მეწარმე ყოველთვის მიწარაფვის თავისი მოგების მაქსიმიზაციისაკენ, აგრარული სექტორისათვის წმინდა სახით მიუღებელია. მათემატიკური გათვლების შედეგად მკვლევარები (ნ. ნაკოიამა და სხვა) მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ გლეხური სამეურნეო საქმიანობის მოტივაცია მსგავსად მეწარმისა არ არის მოგების მიღება, არამედ უფრო მეტად მისი მოტივაციაა, რაც სანარდო განაკვეთით მომუშავე პურსონალი, როცა იგი თვითონ განსაზღვრავს მუშაობის დროსა და ინტენსიურობას, ანუ თვითესპლოატაციის ხარისხს. შედეგად სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე ფასების ზრდას გლეხურმა მეურნეობამ შეიძლება უპასუხოს წარმოების მოცულობის შემცირებით, ან იგივე მოცულობის წარმოებით, რათა მან შეინარჩუნოს წარმოებული სიკეთის სტრუქტურაში ოპტიმალური თანაფარდობა.

ამ კანონზომიერების მოქმედებას ადვილი აქვს ჩვენნი სოფლის მეურნეობაშიც. ქვეყნის სოფლის მეურნეობაში ოჯახური ფერმა, მრავალი მიზეზის გამო არის ერთადერთი ორგანიზაციული ფორმა მეურნეობრიობის სხვა ტიპების განუვითარებლობის გამო, ანუ ეროვნული სურსათის ბაზრის გაჯერების ერთადერთი წყარო. ამაზე მიწოდებას სტრუქტურა, 1996 წლიდან შეინიშნება ძირითადი კვების პროდუქტების წარმოების კლება.

მაგალითად, 2009 წელს 2006 წელთან შედარებით აგრარული წარმოების მოცულობა შემცირდა 14%-ით, მაშინ, როცა ამავე პერიოდში სურსათზე ჩამოყალიბდა ფასების ზრდის ტენდენცია. სხვა შემთხვევაში მოგების მიღებაში დაინტერესებული სამეწარმეო საწარმო შეეცდებოდა ფასების ზრდის კვალობაზე გაეზარდა წარმოება და აქედან მიეღო სარგებელი. აქვე უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი ტენდენცია, რომელიც ახასიათებს ოჯახური მეურნეობის ფულადი შემოსავლების დინამიკას, რომელსაც 2006-2009 წლებში გააჩნდა შემცირების ტენდენცია 10%-დან 6%-მდე, რაც აგრეთვე მტკიცებებს იმაზე, რომ ოჯახური მეურნეობის მებატრონეს ინტერესებში არ შედის სურსათის ბაზრის გაჯერებაზე ზრუნვა.

ანალიტიკურად, კოლექტიური მეურნეობებს შეუძლიათ გააგრძელონ ფუნქციონირება მაშინაც კი, როცა ადგილი აქვს მათი საქმიანობის ეკონომიკურ არაფუნქციანობას (ზარალს), თუნდაც იმისათვის, რომ შეინარჩუნონ მინიმალური დონის დასაქმება და თავისი წევრების მინიმალური შემოსავალი.

**სამეწარმეო (ანტრეპენერული) მეურნეობა**, რომელიც როგორც წესი წარმოდგენილია მსხვილი სასოფლო-სამეურნეო საწარმოებით ვალდებულია მესაკუთრის მოუტანოს მოგების საშუალო ნორმა, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი გაკოტრდება და გათიშდება. ამიტომ სამეწარმეო მეურნეობა ცდილობს, არა მარტო შეინარჩუნოს სურსათის ბაზრის წილი, არამედ შესაძლებლობის ფარგლებში გაზარდოს იგი, რადგან ორიენტრების მიზნების მიღებაზე ევროპისა და ამერიკის კონტინენტის ქვეყნების სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ორგანიზაციის სხვადასხვა ტიპების ხანგრძლივ პერიოდში ფუნქციონირების შედარებითი ანალიზი უჩვენებს, რომ ოჯახური ფერმა უფრო მდგრადი ფორმაა. იმის გამო, რომ მას შეუძლია შეკვეცოს შიდა საოჯახო მოთხოვნები და ამით შეამსუბუქოს ეკონომიკური კონიუნქტურის რყევა. გარკვეული ხარისხით ამის გაკეთება შესაძლებელია მეურნეობრიობის კოლექტიური ფორმის დროსაც, მაგრამ აბსოლუტურად მიუღებელია ანტრეპენერული (სამეწარმეო) ტიპის მეურნეობრიობის პირობებში. ამ უკანასკნელ შემთხვევაში მეწარმე ვალდებულია გასცეს ხელფასი დაქირავებულ მუშებზე. ამიტომ თუ მისი შემოსავლიანობა მოთხოვნის შემცირების კვალობაზე ეცემა. შედეგად, ასეთი მეურნეობის მესაკუთრე დებულობს შემცირებულ მოგებას, რაც საბასოთერ ეკონომიკის პირობებში იწვევს კაპიტალის გადინებას სხვა სფეროებში.


ამასთან, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე მოთხოვნის შემცირების შემთხვევაში წარმოების **organizaciis სამეწარმეო** (ანტრეპენერული) ფორმა იძლევა იმის საშუალებას, რომ შემცირდეს დასაქმებულების რაოდენობა და ამ გზით შემცირდეს პროდუქციის მიწოდება. ეს კი შეუძლებელია კოლექტიური მეურნეობრიობის პირობებში, რადგან წარმოიქმნება პრობლემები კოლექტივის ყველა წევრის დასაქმებაში.


**ოჯახურ მეურნეობაში** ოჯახი თვითონ წვევს თუ რა ხარისხით გაუწიოს ექსპლოატაცია თავის ერთობლივ ოჯახურ შრომას. სხვადასხვა ტიპის საწარმოებში გამოიყენება მართვის განსხვავებული ფორმები. ოჯახურ ფერმაში ეს წყდება მარტივად, მოვალეობის ბუნებრივი განაწილებით ოჯახის წევრებს შორის. **კოლექტიურ საწარმოებში** მართვა ატარებულია დემოკრატიულ პრინციპებზე და საერთო კრების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე, ხელმძღვანელობის არჩევნასა. **სამეწარმეო მეურნეობა** შეიძლება მოწყობილი იყოს სხვადასხვანაირად. იგი შეიძლება ეკუთვნოდეს ერთ ოჯახს, ამავდროულად აუცილებელი არაა იყოს ფერმერის, ან აქციონერების საკუთრება, მაგრამ ორივე შემთხვევაში წარმოების ოპერატიული მართვა ხორციელდება დაქირავებული მმართველის მიერ, რომელსაც აქვს გარკვეული დამოუკიდებლობა სამეურნეო გადაწყვეტილების მიღებაში.

**ფერმერული მეურნეობა** რჩება რა თავისი ეკონომიკური არსით ოჯახურ მეურნეობად, თანამედროვე ინდუსტრიალურ ქვეყნებში მას შეიძლება გააჩნდეს სხვადასხვა სამართლებრივი სტატუსი. მაგალითად, აშშ-ში ფერმერული მეურნეობა შეიძლება იყოს წმინდა ოჯახური ინდივიდუალური, რომელსაც მიეკუთვნება ფერმერის აბსოლუტური უმრავლესობა. შეიძლება იყოს პარტნიორული, ანუ ეგრეთწოდებული **სრული ამხანაგობა**, რომელშიც შედის ერთმანეთთან ნათესაურად ურთიერთდაკავშირებული ორი-სამი ოჯახური ფერმა. განსაკუთრებით ოჯახური ფერმის მესამე სახე, რომელიც გავრცელებულია აშშ-ში, არის ოჯახური კოოპერატივები, ანუ ჩვეულებრივი აქციონერული საზოგადოებები (როგორც წესი დახურული ტიპის).

ამერიკის სოფლის მეურნეობაში კორპორაციული ფერმების უმეტესი ნაწილი (ფერმების საერთო რაოდენობის 90%) მიეკუთვნება სწორედ ოჯახური ტიპის ფერმებს.

ახალი პერიოდის





**ოჯახური მეურნეობა**

როგორც უკვე აღვნიშნეთ, განვითარებულ ქვეყნებში სასოფლო-სამეურნეო საწარმოს ძირითად ფორმას წარმოადგენს ოჯახური ფერმერული მეურნეობა. განვითარებულ ქვეყნებში კი უპირატესად გავრცელებულია გლეხური მეურნეობები. ოჯახური მეურნეობების ამ ორ სახეს შორის არსებობს მდგრადი განსხვავება, მაგრამ ეს უფრო სოციალური ანტროპოლოგიის თვალსაზრისით. ამ უკანასკნელის სახის მეურნეობები წარმოადგენენ დანაწევრებულ, იზოლირებულ სოციალურ ფენას. მათი სამეურნეო ფუნქციონირება ეფუძნება ნაკლებად განვითარებულ, არასრულყოფილ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სებაზრო ფაქტორებს. მიუხედავად ამისა, სპეციალურ კვლევებში, რომლებიც ეძღვნება ამ პრობლემას, გლეხურ და ფერმერულ მეურნეობას მიაკუთვნებენ ოჯახური ტიპის სასოფლო-სამეურნეო საწარმოს ნაირსახეობას. ჩვენი აზრით, ზემოთ ჩამოთვლილი ყველა თვისება, რომლითაც ხასიათდება განვითარებულ ქვეყნებში ფერმერული საქმიანობის ორგანიზაციული ტიპი, შეესაბამება საქართველოს თანამედროვე სოფლის მეურნეობაში ჩამოყალიბებულ ოჯახურ ფერმერულ მეურნეობებს. სოჯადად, ამ პოზიციიდან გამომდინარე აგრარული ეკონომიკის მართვის ფორმების კვლევის ერთ-ერთ მიზარყოფლებას წარმოადგენს მათი ეკონომიკური ქცევის საერთო ნიშნის დადგენა, რომელიც გამომდინარეობს წარმოების ორგანიზაციის ოჯახური წესიდან, ხოლო მათი განსხვავებულობა მეურნეობებობის სხვა ტიპებიდან ვლინდება ოჯახურ სასოფლო-სამეურნეო საწარმოს სამ იპოსტატიში: პირველი-აგრარული ფერმა, რომელიც ორიენტირებულია პროდუქციის წარმოებაზე; მეორე-შრომითი მეურნეობა, რომელიც ქმნის კეთილდღეობას (სიკეთეს) ოჯახის სამუშაო ძალის გამოყენებით; მესამე - სამომხმარებლო საწარმო, რომელიც ავლენს მოთხოვნილებებს სამომხმარებლო საქონელზე (მომსახურებაზე), მი-ის-წრაფვის მათი დაკმაყოფილებისაკენ.

სწორედ, ოჯახური მეურნეობის ასეთი მრავალფუნქციური მეურნეობებობა ანიჭებს მათ ეკონომიკურ ქცევას განსაკუთრებულობას. მაგრამ ყოველი ოჯახური მეურნეობა, რომელიც არსებობს ზემოთ ჩამოთვლილ სამ იპოსტატიში, არ გამოიხატება ყოველ მათგანში ცალ-ცალკე. როგორც ოჯახური ფერმა, ასევე ოჯახური საწარმო ასრულებს საწარმოო ფუნქციას. ოჯახური ფერმა მოიხმარს წარმოებული პროდუქციის საკმარის დიდ

რაოდენობას საკუთარი სამომხმარებლო საჭიროებისათვის, მაშინ როცა აგრარული ფერმა სოჯადად არ მოიხმარს მის მიერ წარმოებული პროდუქციის უდიდეს ნაწილს. გარდა ამისა, ოჯახური ფერმა, როგორც წესი, წარმოებაში გამოიყენებს ოჯახის შრომას, ხოლო აგრარული ფერმის დაქირავებული მუშაკის შრომას. და ბოლოს, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ოჯახური ფერმის მიზანია ოჯახის კეთილდღეობა, ხოლო აგრარული ფერმის - მოგების მაქსიმიზაცია.

ოჯახური ფერმა, როგორც ყოველი შრომითი მეურნეობა და ყოველი ოჯახი, რომელიც ცხოვრობს მის მიერ დახარჯული სამუშაო ძალის სანაცვლოდ მიღებული შემოსავლით, დებულობს შემოსავალს ოჯახის სამუშაო ძალის ქირაოდ გაღების ხარჯზე, ორივე ეკონომიკური ერთეული იწვევს სარგებლობის ფუნქციის მაქსიმიზაციას, რომელშიც შრომა გამოდის როგორც დამოუკიდებელი ცვალებადის ხარისხში (თვისებაში). მაგრამ ოჯახურ მეურნეობას გააჩნია შერეული შემოსავალი, რომელიც შედგება შრომის ანაზღაურებისაგან და მეურნეობის ფუნქციონირების შედეგად მიღებული მოგებისაგან. ამიტომ ოჯახურ ფერმაში წარმოების სტრუქტურის ორგანიზაციის პრობლემა უშუალოდ დაკავშირებულია ოჯახის შემოსავლითან. ყოველი სახის სხვა ოჯახური მეურნეობა, რომელიც არსებობს შრომითი შემოსავლით. დებულობს ხელფასს და მის წინაშე არ დგას არჩევანის პრობლემა, რა, როგორც და ვისთვის აწარმოოს შემოსავლის მაქსიმიზაცია.

ისევე როგორც ყოველი მომხმარებელი, ოჯახური ფერმა მისიწრაფვის საკუთარი კეთილდღეობის ამაღლებისაკენ. სარგებლიანობის ფუნქციაში, რომლის მაქსიმიზაციისაკენ მიისწრაფვის ორივე ეკონომიკური ერთეული. მოცემულ შემთხვევაში დამოუკიდებელი ცვლადების როლში გამოდის მოხმარებული საქონელი და მომსახურების რაოდენობა. მაგრამ ოჯახურ ფერმასა და სხვა სახის სამომხმარებლო მეურნეობებს შორის სხვაობა მდგომარეობს იმაში, რომ ოჯახური ფერმისგან განსხვავებით, მარტივი სამომხმარებლო მეურნეობა არ არის ჩართული წარმოებაში და ამიტომ ასეთი ოჯახის შრომა არ შედის მისი სარგებლიანობის ფუნქციაში. ოჯახურ ფერმას არ შეუძლია არ ისწრაფოდეს თავისუფალი დროის ზრდისაკენ, რომელიც წარმოადგენს სამუშაო დროის სიდიდის საპირისპირო მაჩვენებელს. ოჯახური ფერმის ეს თავისებურება განაპირობებს მისი ეკონომიკური ქცევის სპეციფიკას.

ნიკოლოზი ბაქრაძე

ამრიგად, ოჯახური ფერმა, როგორც ყოველი ეკონომიკური ერთეული, მისწრაფვის სარგებელიანობის ფუნქციის მაქსიმიზაციისაკენ, ანუ საკუთარი კეთილდღეობის ზრდისაკენ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს კეთილდღეობა შედგება ორი ელემენტისაგან – ფულადი შემოსავლისა და თავისუფალი დროისაგან. ოჯახის ფულადი შემოსავალი მოცემულ შემთხვევაში წარმოადგენს მოხმარებული საქონლისა და მომსახურების სახომს. ამასთან, სარგებელიანობის ფუნქციის ეს ორივე კომპონენტი იმყოფება ურთიერთ წინააღმდეგობაში: რაც მეტს მუშაობს ოჯახი, მით ნაკლები თავისუფალი დრო რჩება მას სხვა თანაბარ პირობებში – მეტია მისი შემოსავალი, და პირიქით. კეთილდღეობის ყოველი დონე შეიძლება მიღწეულ იქნეს თავისუფალი დროისა და შემოსავლის სხვადასხვა თანაფარდობის შემთხვევაში.

ზემოთ მოყვანილი ანალიზით ირკვევა, რომ ოჯახური ფერმის საზრუნავია პირადი კეთილდღეობის წარმოება და არა საზოგადოების კვების პროდუქტებით უზრუნველყოფა, სურსათის ბაზრის გაჯერება. სწორედ ამით არის გამოწვეული ის ფაქტი, რომ მიუხედავად ოჯახური ფერმების სიჭარბისა, ყველა განვითარებულ ქვეყანაში მათი ხვედრითი წილი სასაქონლო სურსათის წარმოებაში არ აღემატება 20-30% და ხასიათდება კლებადი ტენდენციით.

კოლექტიური სასოფლო-სამეურნეო საწარმო

კოლექტიური საწარმო წარმოადგენს სპეციფიკურ, ორგანიზაციულ-საწარმოო ტიპს. წმინდა სახით ეს არის საწარმო, რომელიც მთლიანად მიეკუთვნება მის მუშაკებს. სამეურნეო საქმიანობის მართვა ხორციელდება კონკრეტული საწარმოს მიერ შემუშავებული დებულებების საფუძველზე არჩევითი ორგანოების მიერ. ძირითადი საკითხების გადაწყვეტის ხმის უფლება გააჩნია მის ყველა წევრს ტოლუფლებიანობის უზრუნველყოფით, მიუხედავად მათ მიერ ოდესღაც საწარმოში შეტანილი წილის სიდიდისა, მუშაობის სტაჟისა და სხვა პირობებისა. ასეთ საწარმოში მიღებული შემოსავალი ევლინება შრომის ანაზღაურებისა და საწარმოს მოგების სახით. შესაბამისად, კოლექტიური საწარმოს ყოველი მუშაკი ერთდროულად არის ფერმის თანამესაკუთრე და ამავდროულად ამ ფერმის დაქირავებული მუშაკი. ამრიგად, საოჯახო მეურნეობის ანალოგიურ კოლექტიური ფერმა ატარებს ორი სახის ფუნქციას: როგორც სამეწარმეო ფერმა, რომელიც ქირაობს

მუშაკს და როგორც შრომითი კოლექტივი, რომელიც ცხოვრობს საკუთარი სამუშაო ძალის გაყიდვის გზით. მეურნეობრიობის მოცემული ტიპის ეს განსაკუთრებულობა განსაზღვრავს აგრეთვე მისი ეკონომიკური ქცევის სპეციფიკურობას.

ერთი შეხედვით კოლექტიური მეურნეობრიობის სარგებელიანობის ფუნქცია საოჯახო მეურნეობრიობის ფუნქციის ანალოგიურია და შედგება ფულადი შემოსავლებისა და შრომითი კოლექტივის ერთობლივი თავისუფალი დროისაგან. სინამდვილეში ასეთი მეურნეობის კოლექტიური მუშაკი დაინტერესებულია საერთო ფულადი შემოსავლის ზრდაში, რადგან ეს სიტუაცია პირდაპირ აისახება მისი ინდივიდუალურად მოხმარებული საქონლისა და მომსახურების ზრდაზე. ამასთან, როცა იგი მეურნეობაში მუშაობს, დაინტერესებულია თავისუფალი დროის რაოდენობის ზრდაში, რაც გარკვეული ხარისხით უპირისპირდება მის სურვილს, რომ გაზარდოს საკუთარი მატერიალური კეთილდღეობა.

როდესაც ჩვენ ვიხილავდით ოჯახურ მეურნეობას, ვგულისხმობდით, რომ ოჯახის ყველა წევრის ინტერესი ერთმანეთშია და მათი ქცევა ნაკარნახევა ერთობლივი ინტერესებით. შრომით კოლექტივში ასეთი ვარაუდი უკვე შეუძლებელია (ცალკეული შემთხვევების გამონაკლისით). კოლექტივის ყოველი წევრი ერთდროულად არის მესაკუთრე და დაქირავებული მუშაკი. მისი ინტერესების მატერიალურ გამოხატულებას წარმოადგენს საწარმოს შემოსავლის ის ნაწილი, რომელსაც იგი ღებულობს შრომის ანაზღაურების სახით, ანუ მისი ინტერესია იმაში, რომ გაიზარდოს შემოსავლის ის ნაწილი, რომელიც ნაწილდება კოლექტივის წევრების მიერ ბიზნესში ჩადებული შრომის პროპორციულად. აქ ადგილი აქვს ურთიერთ გამომრიცხავ ინტერესს – რაც მეტს უხდის საწარმო მუშაკს შრომის მიხედვით მით ნაკლები შემოსავლის ნაწილი რჩება ბიზნესის გასაფართოებლად, ინვესტიციებისათვის და პირიქით.

კოლექტიურ მეურნეობაში წარმოიქმნება კიდევ ერთი პრობლემა, რაც არ დგას ოჯახური მეურნეობის წინაშე: კოლექტივის წევრებს შორის შემოსავლების დიფერენციაცია. ოჯახურ მეურნეობაში, როცა გამოიყენება გათანაბრებითი განაწილების პრინციპი ეს პრობლემა საერთოდ არ დგას. მიუხედავად ამისა, პრაქტიკაში გათანაბრებითი განაწილება გამოიყენება ძალიან იშვიათად, რადგანაც სხვა

ახალი პირობისა

თანაბარ პირობებში, ის იწვევს შრომითი მოტივაციის შემცირებას და წარმოების ეფექტიანობის დაცემას. კოლექტიური მუშაობისთვის (ფრმბ) დამახასიათებელია შემდეგი თვისებები [3].

როგორც ცნობილია, სოფლის მეურნეობაში, სხვა დარგებისაგან განსხვავებით, შრომის განსაზოგადოების პროცესი მიმდინარეობდა განსხვავებულ ფორმებში. სოფლის მეურნეობა ნახევრად ნატურალური ყოფიდან გამოსვლის პროცესში ერწყმოდა კაპიტალისტურ სამყაროს. იგი პირველ რიგში ექცეოდა სავაჭრო კაპიტალის ბატონობის ქვეშ, შემდეგ კი ფინანსურ და სამრეწველო კაპიტალის დაქვემდებარებაში. ამ პროცესის პირველადი ფორმები წარმოადგენდა პროდუქციის შესყიდვებს. შემსყიდველი ერთდროულად იმყოფებოდა მყიდველთან უშუალო კონტაქტში, რომლის დროსაც იგი ერთდროულად გადაცემდა უშუალო მწარმოებელს მზა პროდუქციის მომხმარებლების სურვილებს (ხარისხი, რაოდენობა, დრო და ა.შ.). სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელსა და მათ საბოლოო მომხმარებლებს შორის დროთა განმავლობაში ჩნდება უამრავი შუამავალი, რაც იწვევს ეკრეთოვადებულ ფასისმიერი ჯაჭვის წარმოქმნას და ამ ჯაჭვში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლის ფასის ხვედრითი წილის შემცირებას მოხმარების საბოლოო ფასის სტრუქტურაში. ეს ტენდენცია მუდმივ განვითარებაშია, რაც უფრო მეტად იზრდება შუამავალთა რაოდენობა “მინდორი – მაღაზია”, მით უფრო მცირდება ფერმერის ფასის ხვედრითი წილი საბოლოო პროდუქციის ღირებულებაში.

მოცემულ შემთხვევაში გლეხური მეურნეობა რჩება იურიდიულად და მეურნეობრივად დამოუკიდებელი, მაგრამ ამავედროულად ერთვება ინტეგრაციულ პროცესებში, აგრეთვე ხდება ამ პროცესებზე ეკონომიკურად სრულად დამოკიდებული რესურსების მოხმარებისა და პროდუქციის გასაღების საკითხებში, ტენდენციების, სექტორების, ინფორმაციის და ა.შ. სამეურნეო საქმიანობაზე გავლენის მრავალ მიმართულებაზე.

ამრიგად, ისტორიულად და ლოგიკურად აგრარული სექტორის განსაზოგადოების პირველ ფორმად მოგვევლინა სოფლის მეურნეობის ინტეგრაცია მონათესავე დარგებთან.

რადგან კაპიტალის მთავარი მიზანი არის მოგება, ხოლო ამ მიზნის მსხვერპლი ხდება

პირველ რიგში გლეხობის ინტეგრაცია, ინტეგრაციული პროცესების განვითარების პირობებში წერილ გლეხურ მეურნეობას არ შეეძლო და არც ახლა შეუძლია კონკურენცია გაუწიოს მსხვილ საწარმოებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამუშავებისა და გასაღების სფეროში და ამიტომ იგი იძულებულია დაეთანხმოს ამ პროცესში მონაწილე სხვა ჯგუფების პირობებს და მათთან ინტეგრირების მეშვეობით მიიღოს მისი სასურველი შედეგები.

#### სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია

სასოფლო-სამეურნეო წარმოების განსაზოგადოების მეორე ფორმას, რომელიც წარმოიშვა მსხვილი კაპიტალისტური საწარმოების ზეწოლის საწინააღმდეგოდ, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია წარმოადგენს.


გლეხობა თავისი საქმიანობის კოოპერირების პროცესში და ამავდროულად თავისი ოჯახური მეურნეობის შენარჩუნებით ქმნის საწარმოს, რომელსაც თავისი ზომის მიხედვით საესპეობით შეუძლია იყოს კონკურენტუნარიანი.

აგრარული წარმოების ვერტიკალური ინტეგრაციის ზემოთ განხილული ფორმები ერთიადივივე შედეგს იძლევა. გლეხური მეურნეობიდან გამოიყოფა ცალკეული ფუნქციები და ყალიბდება მოცემული მომენტისთვის ოპტიმალური მასშტაბის წარმოება. ამასთან, გლეხური ოჯახური მეურნეობა ინარჩუნებს საწარმოო ერთეულის უფუქციას, თუმცა ამოღებული ფუნქციები სახით.

მიუხედავად ამისა, სოფლის მეურნეობისათვის დამახასიათებელია წარმოების განსაზოგადების სამრეწველო ფორმა და ამ გზით იქმნება თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო საწარმოები, რომლებშიც დასაქმებულია მომუშავეთა შედარებით დიდი რაოდენობა, იწარმოება პროდუქციის დიდი მოცულობა. ასეთი სახის საწარმოები მიეკუთვნებიან ანტრეპრენერულს (სამწარმოებს), ანუ კოლექტიური ტიპის საწარმოს.

#### აგროსამრეწველო ინტეგრაცია

როგორც უკვე ითქვა, მწარმოებელსა და ბაზარს შორის თანამედროვე სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოძრაობის პროცესში მონაწილეობს სპეციალიზებული ფორმების მთელი ინდუსტრია (სპეციალიზებული სტრუქტურები, პროდუქციის შეგროვება, გადამუშავება, დახარისხება, შეფუთვა და შენახვა, ტრანსპორტირება, სურსათით ვაჭრობა). მოცემულ სიტუაციაში კვების პროდუქტების უშუალო მწარმოებელს (ფერმერს) არანაირი კონტაქტი არ აქვს მის საბოლოო მომხმარებელთან, რაც აძლიერებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის



უშუალო მწარმოებელზე, ფერმერზე, გარედან სემოქმედებას. რადგანაც ეს პროცესი არის ობიექტური და თბოსის ამ პროცესების მართვის პერმანენტულ სრულ-ყოფას, იქმნება ინტეგრირებული ფირმები, რომლებიც თავის თავზე იღებენ სოფლის მეურნეობაში წარმოებული პროდუქციის მოძრაობის მიუღ ჯაჭვზე კონტროლის პასუხისმგებლობას. ანუ, სოფლის მეურნეობაში წარმოებული პროდუქციის მინდვრიდან საბოლოო მომხმარებელამდე მიტანის პროცესის უსრულებელიყოფას. ასეთი კონტროლი შეიძლება განხორციელდეს რამდენიმე ფორმით და ატარებდეს ევრტიკალური ინტეგრაციის საერთო მახასიათებლებს.

ამრიგად, ევრტიკალური ინტეგრაცია სხვა არაფერია თუ არა ერთი ფირმის (ინტეგრატორის) კონტროლი წარმოებისა და გასაღების ორი ან რამდენიმე თანმიმდევრულ სტადიაზე. წარმოებასა და გასაღებაში იგულისხმება ყოველგვარი პროცესი, რომლის მიმდინარეობის დროს პროდუქციის თავდაპირველი დანახარჯები იზრდება მის წინაწევზე გაწეული დანახარჯების პროპორციულად.

აგროსამრეწველო სექტორში ასეთი ინტეგრატორების როლში ჩვეულებრივად გამოიან გადაამუშავებული ან სავაჭრო ფირმები, რომლებიც ბაზრის მოთხოვნებისადმი სრული შესაბამისობის მიხნით საკუთარ კონტროლს უქვემდებარებენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელ ფირმებს. ინტეგრატორი ფირმა აფორმებს გრძელვადიან ხელშეკრულებას სოფლის მეურნეობის პროდუქციის უშუალო მწარმოებელთან, ან პირველად დიდერებთან. კონტრაქტში მკაცრად ხდება პროდუქციაზე მოთხოვნების პარამეტრების გაწერა, მისი წარმოების ტექნოლოგია, მიწოდების ვადები და ფასები. ზოგ შემთხვევაში კონტრაქტებში აისახება მწარმოებლისათვის რესურსების მიწოდების პირობები. მოცემულ სიტუაციაში ფერმერი კარგავს კონტროლს საკუთარ პროდუქციაზე, ან მისი წარმოებისა და გასაღების პროცესებზე. მას არ შეუძლია შეცვალოს ტექნოლოგია, წარმოების საშუალებების შექმნის წყაროები და მყიდველები.

საწარმოო კონცენტრაცია ყველაზე უფრო გავრცელებულია ახალი და დაკონსერვებული ხილის, კარტოფილის, თესვებისა და ხორციის წარმოებაში. მხელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ განხილული ტიპის ინტეგრაცია დამახასიათებელია იმ სასოფლო-სამეურნეო სექტორებისათვის, რომლთა პროდუქტულობასა და პროდუქციის ხარისხში დიდი მნიშვნელობა აქვს სელექციას [2].

ევრტიკალური ინტეგრაციის მეორე სახე უწოდებენ კოოპერაციულ ინტეგრაციას. საკუთრების ინტეგრაცია ნიშნავს მესაკუთრეობის სამართლის გავრცელებას წარმოებისა და გასაღების ორ ან უფრო მეტ სტადიაზე. ეს სახე არის ინტეგრაციის უფრო ღრმა ვარიანტი, რომლის დროსაც ინტეგრატორი ფირმა ინტეგრირებთ აქტივების დიდ ნაწილს ღებულობს საკუთრებაში. ამასთან, ინტეგრატორი ფირმა ფერმასთან ერთად შეიძლება ფლობდეს სასოფლო-სამეურნეო ჯაჭვის სხვა საწარმოებს: მაგალითად, კომბინირებული საკვების წარმოების ქარხანასთან ერთად, გადაამუშავებულ ან სატრანსპორტო საწარმოს. განვითარებულ ქვეყნებში ინტეგრაციის ორივე დახაზული ტიპის გავრცელება ანაბრთვაროვანია ქვეყნებისა და დარგების მიხედვით. მაგალითად, აშშ-ში მებოსტნეობაში წარმოების კოოპერაციულ გავრთიანებებში მოქცეულია 25%, საკუთრების ინტეგრაციის მიხედვით - 40%, კარტოფილი შესაბამისად, 55-40%, მეცხოველეობაში-11-30%, კვერცხის წარმოებაში-45-70%, ქათმის ხორციის წარმოებაში-80% (2).

ჩამოთვლილი და სხვა ტიპის სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ჩამოყალიბება ხელს უწყობს ახალი ხელექიკური ჯიშების, ტექნიკისა და ტექნოლოგიების დანერგვას წარმოებაში. საბოლოოდ ამ მიმართულებით სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარება იქვევს შრომის ეფექტიანობის ამაღლებას და სხვა პროგრესულ მოვლენებს ქვეყნის აგრარულ სექტორში. კორპორატიული და საწარმოო კონცენტრაცია საშუალებას იძლევა განხორციელდეს ფერმერების დაინტერესების ამაღლება ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვაში.

არსებობს კარგად ცნობილი მეორე ჯგუფის ფაქტორები, რომლებიც განაპირობებენ აგრარულ სექტორში ევრტიკალური ინტეგრაციის განვითარებას. ეს პროცესი დაკავშირებულია აგრარული წარმოების სპეციფიკასთან: წარმოების გრძელვადიანი ციკლი, ბუნებრივი პირობები, მოთხოვნისა და მიწოდების დაბალი ელასტიკურობა, დაბანდებული კანკტალის შედარებით დაბალი რენტაბელობა და გამოსყიდვის ხანგრძლივი პერიოდი, წარმოებული პროდუქციის გრძელვადიანი შენახვის შედარებითი შეუძლებლობა, გამყიდველების დიდი რაოდენობა ტექნიკურ-ტექნოლოგიური,

ახალი ეკონომისტი



ორგანიზაციულ-მართველობითი სიახლეებისადმი დაბალი რეაქცია და ა.შ. ყველაფერი ეს ხდის სოფლის მეურნეობის პროდუქტის წარმოებას სასოფლო-სამეურნეო და არაპროგნოზირებადს. ვერტიკალური ინტეგრაცია, როგორც ორგანიზაციული ფორმა, განსაკუთრებით საწარმოო პროცესების კონტრაქტირების სახე, საშუალებას იძლევა სასოფლო-სამეურნეო წარმოების რისკების ნაწილის გადატანას ფერმერებიდან ინტეგრატორ ფირმებზე. რადგან ამ შემთხვევაში იზრდება გასაღების გარანტია წინასწარ დადგენილ ფასებით. ამრიგად, ვერტიკალური ინტეგრაცია განსაზღვრული მოცულობით ხელსაყრელია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლებისათვის.

ამასთან, ვერტიკალური ინტეგრაცია აგროსაწარმოო სექტორში იწვევს დადებით სოციალურ მოვლენებს. მისი განვითარებით ტრადიციული ფერმერული მეურნეობა რადიკალურად იცვლება. ფერმები თანდათანობით კარგავენ კონტროლს საკუთარი პროდუქციის წარმოებაზე, რადგან ინტეგრატორი ფირმები მნიშვნელოვან ხარისხით იღებენ საკუთარ თავზე პროდუქციის ფასის ცვლილების რისკს. მაშასადამე, ფერმერი ეღებულაბს მის მიერ მოწეული პროდუქციის ღირებულებას. ინტეგრაციის პროცესში მყოფი ფერმერის ოჯახის ტრადიციულად შესასრულებელი მრავალი ფუნქცია გადადის კოორდინატორზე. ამავდროულად ფერმერი ნელ-ნელა კარგავს მცირე მეწარმის თვისებას და სულ უფრო იძენს დაქირავებული მუშაკის ფორმას. ზემოთ ჩამოყალიბებული პროცესის შედეგი არის ის, რომ იზრდება სასოფლო-სამეურნეო წარმოების კონტენტრაცია და შესაბამისად ქვეყანაში მცირდება ფერმერული მეურნეობის რაოდენობა (ამავდროულად შენარჩუნებულია ოჯახური მეურნეობები). ფერმერი, რომელიც კუთვინის მსხვილ ინტეგრირებულ ერთეულს მნიშვნელოვანი ნაკლები ხარისხით ხდება დამოკიდებული ინტეგრატორზე თვითმართველობაზე, რაც იწვევს ტრადიციული სოფლის მეურნეობის წყობის რღვევას და სოფლად თვითმართველობის გაუქმების შემცირებას ფერმერულ მეურნეობების საქმიანობის ჩარევის თვალსაზრისით.

კაკობრობის განვითარების ისტორიის მთელ პერიოდში გლეხურმა მეურნეობამ უჩვენა თავისი სტრუქტურის გამოყოფის შესაძლებლობა უფრო მსხვილი მაშტაბებით სხვა გლეხურ მეურნეობებთან გაერთიანებისათვის. ამის შედეგად ისტორიულად ჩამოყალიბდა გლეხური

კოოპერატივები. ამავდროულად თვით გლეხური მეურნეობა პრაქტიკულად რჩება დამოუკიდებელ ეკონომიკურ ერთეულად, ყველა ამ ფორმისათვის დამახასიათებელი თვისებებით. კოოპერატიული საწარმო კი ინარჩუნებს კავშირს გლეხურ მეურნეობებთან და ინარჩუნებს გლეხური საოჯახო წარმოების ყველა თავისებურებას, მათ შორის მდგრადობას. როგორც უკვე აღვნიშნეთ, კოოპერატივის მიზანი არ არის გამოყენებულ კაპიტალზე მოგების მიღება, არამედ კოოპერატივში შესული გლეხური მეურნეობის სამეურნეო ინტეგრაციის მომსახურება. კოოპერატიული საწარმოს სიდიდე ასევე განისაზღვრება არა საბაზრო კონიუნქტურით, არამედ მისი წევრების მოთხოვნილებებით. სხვა სიტყვებით, გლეხური კოოპერაცია წარმოადგენს გლეხური ფერმერული მეურნეობის განვითარებულ ფორმას, ან საოჯახო მეურნეობის კოლექტიურად ორგანიზებულ ნაწილს.

#### კოოპერატივის სახეები

მუხედამად იმისა, რომ საწარმოო კოოპერატივი არის წარმოების ორგანიზაციის ნაკლებად მოძრავი ფორმა (ხასიათდება ცვალებადი ბაზრის მიმართ დაბალი რეაქციით), ის საშუალებას აძლევს ფერმერებს (რომლებიც თავიდან წარმოადგენდნენ ბაზრის იზოლირებულ ცალკეულ ერთეულებს), რომ ჩაერთონ საერთო ეკონომიკურ სისტემაში.

დროთა განმავლობაში სხვადასხვა ქვეყნებში იქმნებოდა კოოპერატივები, რომლებიც ასრულებდნენ ფერმერებისათვის სხვადასხვა სახის მომსახურებას. ისტორიულად პირველი დღეს ყველაზე გავრცელებული კოოპერატივის ფორმას წარმოადგენს გასაღების კოოპერატივი, რომელიც უზრუნველყოფს ფერმერული პროდუქციის კოლექტიურ გასაღებას. მსხვილ საბითუმო გამყიდველს დღეს ბაზარზე გააჩნია აშკარა უპირატესობა, რადგან იგი ქმნის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მსხვილ და დახარისხებულ პარტიას, აწარმოებს დაფასოებას და შეუფერავს, შენახავს, იყენებს სავაჭრო მარკას, რეკლამას და ა.შ. ამ შემთხვევაში ოჯახურ მეურნეობებს კოოპერატივებში გაერთიანების შემთხვევაში ეძლევა შესაძლებლობა კონკურენცია გაუწიონ მსხვილ შუამავლებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ბაზრებზე.

კოოპერაციის მეორე ფორმა, რომელიც სპეციალიზებულია ფერმერების რესურსებით მომარაგებაზე, ეწოდებათ მომმარაგებელი კოოპერატივები. ასეთი ფორმის კოოპერატივის ძირითადი ფუნქციაა მიაწოდოს ფერმერებს წარმოების საშუალებები.



მესამე სახის კოოპერაციებს ეწოდებათ მომსახურების (სერვისული) კოოპერატივი, რომელიც აწვეის ფერმერულ მეურნეობას სხვადასხვა სახის მომსახურებას. მაგალითად, ირიგაცია, ზოოვეტერინალური და აგრონომიული მომსახურება, ენერგორესურსების მიწოდება, კავშირები და ა.შ.

კოოპერატივები, რომლებიც უშუალოდ აერთიანებენ ფერმერებს, ატარებენ პირველადი ან ლოკალური ადგილობრივი ფერმების სახელს. ისინი ძირითადად განლაგდებიან შედარებით პატარა ტერიტორიებზე და აერთიანებენ ერთ ან რამდენიმე სოფლის მოსახლეს.

მთლიანად ქვეყნის მასშტაბით ყალიბდება კოოპერატივების ერთიანი სისტემა, რომელიც მოიცავს პირველად კოოპერატივებს. პირველადი კოოპერატივები ერთიანდებიან ზონალურში. ზონალურები რეგიონულ გაერთიანებებში, ასოციაციებში, ხოლო რეგიონული ასოციაციები ქმნიან ნაციონალურ კოოპერატიულ კავშირებს, რომლებიც შეიძლება იყოს დარგობრივი (ხორცის წარმოება, რძის წარმოება, ხილის წარმოება, ყურძნისა და ღვინის წარმოება და ა.შ). დარგობრივი კავშირები, როგორც წესი იღებენ უფლებამოსილებას პირველადი კოოპერატივებისაგან, რომ შეასრულონ მათი კომერციული ფუნქციები, მათ შორის საექსპორტო საქმიანობაშიც. განსაკუთრებით, რაც მნიშვნელოვანია ასეთნაირად ჩამოყალიბებული ორგანიზაციული სტრუქტურები უფრო სწრაფად ერკვევიან ფერმერულ და სასოფლო-სამეურნეო საწარმოების პრობლემებში და

კოოპერატიულად ღებულობენ შესაბამის ღონისძიებებს, ლობირებენ ფერმერების ინტერესებს ქვეყნის პარლამენტში, მთავრობასთან და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან. შესაბამისად სოფლის მეურნეობის სამინისტრო თავისუფლდება მისთვის არდამახასიათებელი ფუნქციების შესრულებიდან, რაც აძლევს საშუალებას ამ უკანასკნელს თავისი საქმიანობის მთელი სიმძიმის ცენტრი გადაიტანოს დარგის განვითარების სტრატეგიულ პრობლემებზე.

ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და მთლიანად სოფლის სწრაფ განვითარებაზე დიდი გავლენა შეიძლება მოახდინოს საკრედიტო კოოპერატივების ჩამოყალიბებამ. ასეთი სახის კოოპერატივებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ფერმერული მეურნეობების მოთხოვნილებების ფინანსური სახსრებით უზრუნველყოფაში. ფერმერული მეურნეობების დაკრედიტების ამ ფორმას არ სჭირდება დიდი რეკლამა, რადგან მან პრაქტიკაში დაამტკიცა თავისი ეფექტიანობა. ამიტომაც, რომ იგი სწრაფად ვრცელდება რუსეთში, უკრაინაში და სხვა პოსტსოციალისტურ ქვეყნებში. მაგრამ, ეს ცალკე თემაა და ის საჭიროებს უფრო ღრმა ანალიზს, შესწავლას, განზოგადებას იმი-სათვის, რომ საკრედიტო კოოპერატივების გამოყენება გაითავისოს არამარტო გლეხობამ, არამედ ქვეყნის აგრარული სექტორის მართვის შესაბამისმა ორგანოებმა და იზრუნონ მისი პრაქტიკაში დანერგვაზე, რადგან კრედიტის მიწოდების ასეთი ფორმა მნიშვნელოვნად ამცირებს საბიუჯეტო რესურსების გამოყენების აუცილებლობას.

ახალი ეკონომისტი

გამომყენებელი ლიტერატურა:

1. *Назаренко В.* Рынок продовольствия на западе. М.: 2008
2. *Сельскохозяйственная кооперация: Теория, методология, мировой опыт.* Минск, 2000
3. *Трейси М.* Сельское хозяйство и продовольствие в экономически развитых странах. Пер. с англ. СПб, 1999.
4. *Харебава Р.* Становление рыночных отношений в аграрном секторе. Волгоград, изд. Станица, 2002.



**ემზარ ჯულაჩიძე**  
ეკონომიკის აკად. დოქტორი,  
აკაკი წერეთლის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის  
ასოცირებული პროფესორი,

ნებისმიერი ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირება სწორედ იმას ემსახურება, რომ განახორციელოს რესურსების ისეთ პროდუქტებად გარდაქმნა, რომელიც კონკრეტული ინდივიდებისა და ამით საზოგადოების მოთხოვნილებები დააკმაყოფილოს. როგორც ცნობილია, ეკონომიკური სისტემის ყველა რესურსის საერთო თავისებურებაა მისი შესაძლებელი რაოდენობით არსებობა და რომ პრაქტიკულად ყველა რესურსი იცვლება, რაც შესაბამის სახსრებს საჭიროებს შეკეთებისა და განახლებისათვის. მაგრამ აღნიშნულ საერთო თავისებურებებთან ერთად, ადამიანური რესურსები გამოირჩევა მთელი რიგი მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური თავისებურებებით, რითაც ფაქტურად გამოიხატება მისი განსაკუთრებული ადგილი და როლი ეკონომიკურ სისტემაში. მანქანებისა და ნედლეულისაგან განსხვავებით ადამიანი არის პიროვნება, რომელსაც ინტელექტი და ემოცია ახასიათებთ. ამ სახის რესურსის პროდუქტიულობას საზღვარი არ აქვს, ამიტომ სწორედ მასშია ყველაზე დიდი რეზერვი ორგანიზაციის ფუნქტიონირების ამაღლებისა და მისი განვითარებისათვის. ამ სპეციფიკური თავისებურებებიდან აღსანიშნავია შემდეგი:

- თანამედროვე პირობებში, ყველა რესურსი სწრაფად ძველდება. ადამიანები კი მათი პირადი მოტივაციიდან გამომდინარე მუდმივი სრულყოფისა და განვითარების ძიებაში არიან. ისინი იძენენ ცოდნასა და გამოცდილებას. ამიტომ ეს რესურსი კი არ ძველდება, არამედ უფრო მდიდრდება. ისინი სრულყოფენ თავიანთ უნარ-



**შალვა ჯულაჩიძე**  
ეკონომიკის აკად. დოქტორი,  
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჩვევებსა და საკუთარ პროფესიონალიზმს და ამაში ორგანიზაციის თანადგომას ითხოვენ;


- ადამიანში ცოდნა და კვალიფიკაცია არათანაბრადაა გადანაწილებული. მათ სხვადასხვა უნარები, შესაძლებლობები და მონაცემები გააჩნიათ, რაც კადრების შერჩევის საფუძველს წარმოადგენს. თუმცა ყველა მათგანს სჭირდება სწავლება და პერიოდული გადამზადება;

- განსხვავებით სხვა რესურსებისაგან, პიროვნება მოქმედებს არა მხოლოდ მისი საკუთარი მიდრეკილებებიდან გამომდინარე, არამედ გარემო პირობების გათვალისწინებითაც. მათი შრომითი ხელშეკრულების მოტივებიც განსხვავებულია, ამიტომ პერსონალის მოტივაციის მართვა მენეჯმენტის საკენძო ამოცანაა;

- თანამედროვე ადამიანის შრომითი მოდერნიზაცია ხანგრძლივია (40-50 წელი) და შესაბამისად, ადამიანური რესურსების კვლავწარმოებას გრძელვადიანობა ახასიათებს.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე საწარმოო რესურსების ტრიადაში: “ადამიანური რესურსები – მატერიალური რესურსები – ფინანსური რესურსები”, ეკონომიკური განვითარების მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად იცვლებოდა თითოეული მათგანის სტრატეგიული მნიშვნელობა. დღეს კი თამამად შეიძლება ითქვას, რომ შრომის ნაყოფიერებისა და ორგანიზაციის წარმატების ძირითად წაროდ სწორედ ადამიანური რესურსებია მიჩნეული.

პერსონალის მენეჯმენტი ურთი-ერთდაკავშირებული, ორგანიზებული, ეკონომიკური



ახალი პერიოდიტი

და სოციალური ღონისძიებების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სამუშაო ძალის სწორ შერჩევას, მისი პოტენციალის განვითარებასა და მის ეფექტურ გამოყენებას. ეს არის უწყვეტი პროცესი, რომელიც პერსონალის შერჩევას, ადაპტირებას, მოტივირებას, განვითარებას, კვალიფიკაციასა და პასუხისმგებლობის ზრდას და საბოლოო ჯამში მალადი შრომითი შედეგების მიღწევას ემსახურება.

ამრიგად, შეიძლება გავაკეთოთ ასეთი დასკვნა, რომ ადამიანური რესურსის წარმატებულ მართვაზე დამოკიდებული ნებისმიერი ორგანიზაციის წინსვლა და განვითარება. ტექნოლოგიური და ორგანიზაციული სიახლეების დანერგვას მხოლოდ ამ შემთხვევაში მოაქვს სასურველი შედეგი, თუ არ სხებულნი სიახლე ინტეგრირებული და კოორდინირებული იქნება საკადრო პოლიტიკასთან. წარსულში დარჩა ტექნოკრატული მიდგომის უპირატესობა, დაფუძნებული რობოტიზაციაზე, კომპიუტერიზაციაზე, სადაც ადამიანის ინტელექტის ჩანაცვლების მრავალი მცდელობის შემდეგ დადასტურდა, რომ ეფექტური ორგანიზაციისათვის აუცილებელია ტექნოკრატული და ჰუმანიტარული (ადამიანური) მიდგომების დაბალანსება. საბოლოოდ კი, აქცენტმა გლობალურ მიდგომაზე გადაინაცვლა, რომელიც დაფუძნებულია ადამიანების ინტელექტუალური და შრომითი პოტენციალის მაქსიმალურ გამოყენებაზე.

სწორედ ადამიანური რესურსები, და არა ფიზიკური კაპიტალი და ბუნებრივი სიმდიდრეები განსაზღვრავენ მოლიანობაში ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხასიათს და ეტაპებს. კაპიტალი და ბუნებრივი რესურსები წარმოების პასუხი ფაქტორებია, ხოლო ადამიანი მისი აქტიური ნაწილია, რომელიც ახდენს კაპიტალის დაგროვებას, იყენებს ბუნებრივ რესურსებს, ქმნის სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ ორგანიზაციებს და მათი განვითარების წინაპირობას. ქვეყანა, რომელსაც არ ძალუძს ადამიანების ცოდნისა და უნარის ეფექტური გამოყენება ეკონომიკაში, დასაღუპადაა განწირული. ამას ადასტურებს მსოფლიო ბანკის უახლესი დასკვნებიც, რომლის მიხედვითაც წარმატებული ქვეყნების ეკონომიკური ზრდის 64% განპირობებულია ადამიანური კაპიტალის განვითარებით.

ცნობილია, რომ მენეჯმენტის ძირითადი ამოცანა საქონლისა და მომსახურების წარმოების მაქსიმალური ეფექტურობის უზრუნველყოფაა. ამ ამოცანის შესრულება შეუძლებელია ადამიანური რესურსის სწორი სტრატეგიული მართვის გარეშე. ყოველი ორგანიზაციის მართვისას მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ "ორგანიზაციის შიგნით, მთავარია

მიუშუავე ადამიანები, ხოლო ორგანიზაციის გარეშე – პროდუქციის მომხმარებლები". ასეთი მიდგომის თანახმად, ორივე სამიზნე ჯგუფი ის ადამიანებია, ვისი ინტერესების გათვალისწინებაც წარმატებას მოუტანს ორგანიზაციას.

ორგანიზაციის პერსონალის მართვისას ყველას და განსაკუთრებით კი მენეჯერებს მუდამ უნდა ახსოვდეთ, რომ ადამიანების მართვა შეუძლებელია განხორციელდეს სტანდარტული მეთოდებით, რეცეპტებით, რომ ეს თუ ის საქმე "მხოლოდ ასე უნდა გაკეთდეს". შესაბამისად, არ შეიძლება არსებობდეს "სტანდარტული ადამიანი", სწორედ ამიტომ ადამიანთა მართვა ხელოვნებაა, რომელიც არა მხოლოდ მათ ფუნქციურ ვალდებულებებსა და უფლებამოსილებებს, არამედ მათ გრძნობებს, ჯანწყობას, სულიერებას და სხვა პიროვნულ მახასიათებლებსაც უკავშირდება. ეს თავისებურებები აუცილებელია სათანადოდ იქნეს გათვალისწინებული პერსონალის მართვის სტრატეგიის შემუშავებისას და გამოყენებულ იქნას მისი რეალიზების პროცესში.

ორგანიზაციის სტრატეგიის განსაზღვრა უშუალოდ ამ ორგანიზაციის მიხიდან და მიზნებიდან გამომდინარეობს. შესაბამისად, პერსონალის მართვის სტრატეგია ორგანიზაციის მისიისა და მიზნების მიღწევის ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფას უკავშირდება. ეს ორგანიზაციის სტრატეგიის ყველაზე მნიშვნელოვანი და პრიორიტეტული კომპონენტია, რადგან ადამიანური კაპიტალის, ადამიანური ფაქტორის გარეშე ორგანიზაციის ვერც ერთი მიზანი და ამოცანა ვერ გადაწყდება. შესაბამისად, ადამიანური რესურსების მართვა ნებისმიერი ორგანიზაციის სტრატეგიული ფუნქციაა.

ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგია ესაა კონცეფცია, ძირითადი გზა, თუ როგორ უნდა იქნეს მიღწეული პერსონალის მართვის ძირითადი მიზნები და ამოცანები, რასაკვირველია, თვით ორგანიზაციის მისიის, მისი განვითარების სტრატეგიის, ორგანიზაციული და საკადრო პოტენციალისა და საკადრო პოლიტიკის გათვალისწინებით. ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიის შესაბამისად უნდა შემუშავდეს სტრატეგიის რეალიზების სათანადო მიზნობრივი პროგრამები და მათგან გამომდინარე გადასაწყვეტი ამოცანები. მათში დაკონკრეტებული უნდა იყოს სტრატეგიის პრაქტიკული რეალიზების მიმართულებები, ღონისძიებები, მოქმედებები, მათი შესრულების ვადები, პასუხისმგებლები და საჭირო ფინანსური თუ ორგანიზაციულ-ტექნიკური რესურსები.

იმისათვის, რომ სრულყოფილად გაეცნოს ამ ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგია, პერსონალის შერჩევის, მისი ადაპტირებისა და მოტივირების საკითხები, საჭიროა ამ კომპონენტების დანახვა ადამიანური რესურსების (პერსონალის) მართვის მილიან კონტექსტში, რომელიც მოიცავს:

- პერსონალის დაგეგმვას. იმისათვის, რომ პერსონალის დაგეგმვა ეფექტური იყოს, იგი ორგანიზაციის სტრატეგიული დაგეგმვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს უნდა წარმოადგენდეს. ანუ, ინტეგრირებული იყოს მასთან;

- პერსონალის მარკეტინგს. აქ პასუხი უნდა გაეცეს ისეთ კითხვებს, როგორცაა: სად მოვიპოვოთ საჭირო კადრები? როგორ უნდა მოიხილო ისინი? რამდენი ადამიანი გჭირდება და ა.შ.;

- პერსონალის შერჩევას. ეს სისტემა მოიცავს: ინტერვიუს, სპეციალურ ტესტებს, სამედიცინო შემოწმებას და ა.შ. იგი გულისხმობს აგრეთვე პოტენციური კადრების რესურსების (პერსონალის) კადრების პერმანენტულ ძიებას. უნდა აღინიშნოს, რომ კადრების შერჩევის თანამედროვე პროცესში გამოიყენება მულტისისტემური მიდგომა, რაც კანდიდატის პიროვნული, ფსიქოლოგიური, პროფესიული თავისებურებების გამოვლენის საშუალებას იძლევა;

- კადრების გადარჩევას. იგი გულისხმობს კადრების შეფასებას ადგილებზე და პოტენციური რეზერვიდან საუკეთესო კადრების გადარჩევას;

- შრომის ანახლავურებას და სტიმულირებას. იგი გულისხმობს ხელფასისა და წახალისების ისეთი სისტემის შემუშავებას, რომელიც სრულად უზრუნველყოფს პერსონალის მოზიდვასა და მის შენარჩუნებას;

- სოციალურ და პროფესიულ ადაპტიაციას. ეს არის პროცესი, რომელიც თანამშრომლებს ორგანიზაციის გარემოსა და სამსახურეობრივი მოვალეობების მიმართ ინტეგრირებაში ეხმარება; უნეთარებს ერთიანობის, გუნდურობისა და ორგანიზაციისადმი მიკუთვნებულობის განცდას;

- კონფლიქტების მართვას. კონფლიქტური სიტუაციების პრევენცია და შექმნილი პრობლემური სიტუაციების კონსტრუქტიულად გადაჭრა;

- პერსონალის დანახარჯების მართვას. ანუ, ყველა იმ დანახარჯების გაანგარიშება, რაც პერსონალის შერჩევას, მიღებასა და სწავლებას უკავშირდება;

- კადრების სწავლებასა და განვითარებას. იგი გულისხმობს ახალი თანამშრომლების

პროფესიულ ტრენინგს და არსებულ სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლებას;

- შრომითი საქმიანობის შეფასებას. რაც გულისხმობს საქმიანობის შედეგების ხარისხობრივი და რაოდენობრივი შეფასების სისტემის შექმნას. არსებობს შრომის შედეგების შეფასების ბევრი ტრადიციული და არატრადიციული გზა. აქ მნიშვნელოვანია შრომითი საქმიანობის ისეთი კონკრეტული მეთოდის ჩამოყალიბება, რომელიც სრულად უზრუნველყოფს ინდივიდის მოთხოვნებისა და კონკრეტული სამუშაოს და მთლიანად ორგანიზაციის მოთხოვნებს;

- კარიერული წინსვლის შესაძლებლობას. იგი მოიცავს დაწინაურების სტრუქტურის შექმნას, საქმიანობის შეფასებას ატესტირების გზით, დაწინაურება/დაქვეითება/გადაყენება/დათხოვნის მეთოდის შემუშავებასა და მის გამოყენებას.

დასავლეთში საკმაოდ გავრცელებულია, ე.წ. “ადამიანური კაპიტალის თეორია”. ამ თეორიის მიხედვით, მომუშავეთა ცოდნა და კვალიფიკაცია მიჩნეულია მათი ორგანიზაციის კუთვნილებად, რომელსაც მოაქვს შემოსავალი. ამ ცოდნის მიღებაზე გაწეული დრო, ფინანსები და სხვა დანახარჯები კი მიჩნეულია ინვესტიციებად. ორგანიზაციის მიერ ადამიანურ რესურსებში ინვესტირებაზე გაწეული ხარჯებიდან უპირველესად უნდა გავიანგარიშოთ:

- პერსონალის მოზიდვისა და შერჩევის ხარჯები;


- ახალმიღებულთა ადაპტირებაზე და სავარაუდო პერსონალის ტრენინგებზე გაწეული ხარჯები;

- ხელფასი, პრემიები და სხვა სახის დანარიცხები და დახმარებები;

- მომუშავეთა ატესტირებაზე გაწეული ხარჯები;

- შრომის პირობების გაუმჯობესებაზე, სამუშაო ადგილის დაგეგმარების, შექმნისა და აღჭურვის ხარჯები.

როგორც ვხედავთ, ადამიანური რესურსების განვითარებაში დაბანდებული კაპიტალი ერთ-ერთი ძვირად ღირებული ინვესტიციაა, მაგრამ, როგორც მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების გამოცდილება ადასტურებს, ეს ამავდროულად, ყველაზე ეფექტური და მომგებიანი ინვესტიციებია. ამერიკელმა სოციოლოგმა და ეკონომისტმა ართურ მედისონმა, რომელმაც გამოიკვლია სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების უკანასკნელი 200 წლის მანქანებლები, დაადგინა, რომ განათლებაში ჩადებული ინვესტიციების 1%-



ით ზრდა იწვევს ამ ქვეყანაში მილიანი შიდა პროდუქტის 0.35%-ით ზრდას.

თუ ადამიანური რესურსების განვითარებაში დაბანდებული ინვესტიციების გათვლა მეტ-ნაკლები სიზუსტით მინც შესაძლებელია, ამ ინვესტიციების მოსალოდნელი ეფექტის გათვლა კიდევ უფრო რთულია. ადამიანური რესურსების განვითარებაში დაბანდებული კაპიტალის ეფექტიანობის გაანგარიშება შედარებით ადვილად შეიძლება შეფასდეს საქმიანობის ისეთ სფეროებში, სადაც შრომის ეფექტიანობა კონკრეტული რაოდენობრივი და ხარისხობრივი პარამეტრებით განისაზღვრება. ხოლო შედარებით რთულია, მენეჯერთა შრომითი საქმიანობის შეფასება და შესაბამისად, მათზე

გაწეული ინვესტიციის ეფექტიანობა. თუმცა, ამ შემთხვევაში, ყურადღება უნდა გაეამახვილოთ ორგანიზაციაში ახლადგამოქმედებულ ინვესტიციებზე, როგორცაა: ორგანიზაციის მიერ არჩეული სტრატეგიის რეალიზების, დასახული მიზნებისა და ამოცანების გადაწყვეტის ოპერატიულობის ზრდას; მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესის გაუმჯობესებას; ორგანიზაციის მართვისა და ბიზნესის ადმინისტრირების პროცედურების გამარტივებას; დროის მენეჯმენტსა და რესურსების ეკონომიას; შრომის ნაყოფიერების გაზრდასა და ხარისხის გაუმჯობესებას; ორგანიზაციული კულტურის განვითარებასა და ა.შ.

**ბაგოყენებული ლიტერატურა:**

1. ჯულაყიძე ე., ჯულაყიძე შ. ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, ქუთაისი, აწსუ, 2011 წ.
2. ჯულაყიძე ე. სტრატეგიული მენეჯმენტი, ქუთაისი, აწსუ, 2011 წ.
3. ჯულაყიძე შ. პერსონალის შერჩევის, გარემოში ადაპტაციის და მოტივაციის ორგანიზაცია და მეთოდთა (დისერტაცია ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად), თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2009წ.
4. Маслоу А. Мотивация и личность, 3-е изд., 2008 г
5. <http://www.worldbank.org/reference/>
6. <http://www.washprofile.org/?q=en/node/1007>

ახალი ამონაბეჭდი

**ბაგოყენებული ლიტერატურა:**

1. ჯულაყიძე ე., ჯულაყიძე შ. ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, ქუთაისი, აწსუ, 2011 წ.
2. ჯულაყიძე ე. სტრატეგიული მენეჯმენტი, ქუთაისი, აწსუ, 2011 წ.
3. ჯულაყიძე შ. პერსონალის შერჩევის, გარემოში ადაპტაციის და მოტივაციის ორგანიზაცია და მეთოდთა (დისერტაცია ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად), თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2009წ.
4. Маслоу А. Мотивация и личность, 3-е изд., 2008 г
5. <http://www.worldbank.org/reference/>
6. <http://www.washprofile.org/?q=en/node/1007>



გიორგი ლორთქიფანიძე  
ეკონომიკურ მეცნიერებათა  
დოქტორი

საქართველოს ეკონომიკამ მრავალი ურთულესი გამოცდა ჩააბარა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში, მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია შენიღბულ საგარეო მონოპოლიათა ეკონომიკური დივერსიები და სამხედრო აგრესიები, დამოუკიდებელი ეკონომიკის მართვის გამოუცდელი გამოწვეული არნახული პიკერინფლაცია და ბუნებრივი სტიქიური უბედურებანი. თუმცა, როგორც ხანგრძლივი სახელმწიფოებრიობის ისტორიაში ყოველთვის, ქვეყანამ საბოლოოდ გაუტლო უმძიმეს კრიზისულ ვითარლებებს და სტაბილური განვითარების ნიშნებსაც აუღწიეს.

დროის გამოცდებს გაუტლო ეკონომიკური პოლიტიკის განმსაზღვრელმა ანტიმონოპოლიურმა ფორნტმა, რომელსაც, ბუნებრივია, სხვადასხვა შენიღბული ძალები პერიოდულად ყოველმხრივ აკინებდნენ, მაგრამ ამ სფეროში შემორჩენილი იშვიათი ნიჭიერების მოღვაწეთა და ახალგაზრდა ნოვატორთა ძალისხმევით ამ საქმეშიც შენარჩუნდა და დევიდებამ მომავლის რწმენის აუცილებელი ნაპერწკალი.

სასიხარულოა, რომ აღნიშნული ნაპერწკლის გაღვივებას ახლადგამოცხვარი სამთავრობო განკარგულება უწყობს ხელს [1], რასაც ძალზე საფუძვლიანი ზოგადეთორიული და შესაბამისი პრაქტიკული წინაპირობები გააჩნია საქართველოში [2].

როცა კონკურენტულობის ხარისხის შეფასების სხვადასხვა მაჩვენებელი არასასურველ დონეებზე ფიქსირდება, ზოგიერთ განვითარებულ ქვეყანაში ანტიმონოპოლიური განგაშიც ტყდება. ერთ-ერთი ასეთი მაჩვენებელი (პერფინდალ-პირშმანის ბაზრის კონცენტრაციის ინდექსი HHI, [3, გვ. 13-14] შემთავაზებულია განისაზღვროს, როგორც კვარტზე ყველა მოქმედი მიმწოდებლის წილთა კვადრატების ჯამი, რამაც, საუკეთესო შემთხვევაში, 1000-ს არ უნდა გადააჭარბოს.


ელემენტარული განგარიშებით, ასეთი სიტუაცია შეიძლება მაშინ შეიქმნას, როცა ერთ-ერთი ფირმის წილი 31 პროცენტს გადაამეტებს.

ანტიმონოპოლიური რეგულირების საკითხებზე უკანასკნელ ხანებში საკმაოდ გამწვავდა დისკუსიები როგორც უცხოელ, ასევე ქართველ სწავლულ ეკონომისტებს შორის. სამწუხაროდ, ზოგი საკმაოდ ნიჭიერი ოპონენტი თელის, რომ ანტიმონოპოლიური ორგანო საერთოდ არ უნდა არსებობდეს, ვინაიდან, ის კორუფციის ბუდე გახდება და ხელს შეუშლის წარმატებულ მეწარმეებს. საინტერესოა დირსეულ ოპონენტებთან კამათი და შესაბამისად საჯირო კომპრომიზების მიღწევა, მაგრამ, ამ შემთხვევაში, ჩვენს ოპონენტებს ვერაზგზით დავეთანხმები. კორუპირებულულ სუბიექტებს, რა თქმა უნდა, საჭიროა კანონის ძალით ევბრძოლა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ამისათვის ანტიმონოპოლიური ორგანო უნდა გავანადგუროთ.

ასე და ამგვარად, გასაუქმებელი იქნებოდა გარკვეულ პერიოდებში კორუპირებულობით ცნობილი საბაჟო თუ საგადასახადო სამსახურებიც, მაგრამ ესეც შეუძლებელი და დაუსებელია.

ეკონომიკური აგრესია სამხედროზე არანაკლებ რთული მოსაგერიებელია, მითუმეტეს, რომ ეკონომიკის მცირე მასშტაბებიდან გამომდინარე, მცირე ქვეყანა მეტად მძღრეკილებადა ნათესაურ-კლანური მონოპოლიებით მართვისაქენ და მას ყოველთვის განსაკუთრებით უჭირს დიდ საერთაშორისო მონოპოლიებითან გამკლავება, რომლებიც, სწორ შემთხვევაში, მინიმალური დემპინგური ფასებით აკორტებენ ადვილობრივი ბაზრის სუბიექტებს, მათ შორის მცირე ქვეყნისათვის უზვეულოდ დიდი პოტენციური ტყეადობისა და საუკეთესო ხარისხობრივი მაჩვენებლების სასურსათო ბაზრის სამაშულ მეწარმეებს.

თუ კეთილსინდისიერი მეწარმე თავისი ნიჭიერებით (უნარი) ხდება მონოპოლისტი



ბაზარზე, ანტიმონოპოლიური ორგანო, მართალია, არ უნდა უშლიდეს მეწარმეს შემდგომშიც გამოავლინოს თავისი წარმატებული უპირატესობა, მაგრამ, ის ამ შემთხვევაშიც სიფრთხილით უნდა აკვირდებოდეს ყოველ მონოპოლისტს, რომ მონოპოლიურმა უპირატესობამ არ დააზინოს ბაზარი და არ გამოიწვიოს შესაბამისი პროდუქციისა და მომსახურების ზედმიწევნით გაძვირება.

ეკონომიკურ კონკურენციას (მეჯობრება ეკონომიკურ სუბიექტებს შორის) ეკონომიკური ზრდისათვის განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს. თუ ბაზარი მაღალკონკურენტულია, ანუ კონკურენცია იმდენად სრულყოფილია, რომ ცალკეული მყიდველი და გამყიდველი საბაზრო ფასზე გაველენას ფაქტიურად ვერ ახდენს (რეალურად, გაველენას ახდენს ძალზე უშინშენილოდ), მაშინ მოთხოვნა-მიწოდების წონასწორობის ყველაზე ხელსაყრელი პირობები იქმნება. ასეთი შემთხვევა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ერთგვაროვანი პროდუქციის მყიდველებისა და გამყიდველების რაოდენობა ბაზარზე ძალიან დიდია [4, გვ. 85].

საორტული შეჯიბრებისგან განსხვავებით, როცა ერთი იგებს, ხოლო მეორე მარცხდება, სრულყოფილ ეკონომიკურ კონკურენციაში ორივე მხარე მოგებულია. ბაზარს იმდენი მიეწოდება პროდუქცია, რამდენიც მოხონენელს რეალურად უნდა და მიმწოდებელიც მაქსიმალურად შესაძლო შემოსავალს იღებს, ხოლო მყიდველი ნაკლებს იხდის იმისთან შედარებით, რაც ვის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად სხვა გზით მოუწევდა.

კონკურენციის საკითხებით დაინტერესებულ მრავალრიცხოვან არაპროფესიონალ მკითხველს მივანიშნებ, რომ ტექნიკური დონის თვალსაზრისითაც კი, რაც არ უნდა განვითარებული იყოს ბაზარი, თუ კონკურენცია არ არის სრულყოფილებასთან მიხედვით, ეკონომიკური ეფექტიანობის ნაცვლად, შესაძლოა, დიდ დანაკარგებთან გექონდეს საქმე. განსაკუთრებით სავალალოა შედეგი, როცა ბაზარს თავის სასარგებლოდ "ერთმმართველი" აკონტროლებს (მონოპოლია, როცა გამყიდველი ერთი და მონოფონია, როცა მყიდველია ერთი და ეკონომიკური სუბიექტების რიცხვი შეზღუდულია (ოლიგოპოლია ანუ ჯგუფური მონოპოლია, მათ შორის დუოპოლია, როცა ორი მიმწოდებელია ბაზარზე) და სხვებულ სუბიექტებს შესაძლებლობა ეძლევათ ფარულ შეთანხმებაში შევიდნენ. კონკურენციის ხარისხისა და ეფექტიანობის მიხედვით, შესაბამისად, განასხვავებენ, თავისუფალ ბაზარს სრულყოფილი კონკურენციათ,

ოლიგოპოლიურ კონკურენციას (როცა რამდენიმე გამყიდველი ყიდის მსგავს, მაგრამ არაიდენტურ პროდუქციას). მონოპოლისტურ კონკურენციას (როცა მრავალი გამყიდველი ყიდის მსგავს, მაგრამ არაიდენტურ პროდუქციას) და აბსოლუტურად მონოპოლიზებულ ბაზარს.

ბუნებრივია, რაც უფრო მეტია კონკურენტთა (მეწარმეთა) რაოდენობა ეკონომიკურ გარემოში და მეტია მათ უფრო გამოშვებული პროდუქციის მოცულობა, მით უფრო ქმედითა (ძლიერია) კონკურენცია და თავისუფალია კონკრეტული პროდუქციის (მომსახურების) წარმოების მიკრობაზარი. შესაბამისად, გარკვეული მიკროსეგმენტების მომჭაფვრებასთან ერთად, მთ უფრო ეფექტიანი ხდება (მ.შ. ხარისხობრივი თვალსაზრისითაც) სულ უფრო კონკურენტული მაკროგარემოც. ყველაფერს ზომიერება უნდა და არც სასულმწიფო და კერძო სექტორების თანაფარდობაში უნდა დაირღვეს კონკურენციისთვის სასურველი წონასწორობა.

კონკურენციის საკითხების გენიალურ ცოდნაზე არ გამაჩნია არავითარი პრეტენზია, უბრალოდ ჩემს გამოცემულ წიგნშიც [4, გვ. 27-32] გარკვეული ნაწილი დავეთმე კონკურენციის კანონის ჩემს შემოთავაზებას და ბაზრის ეფექტიანობის სასარგებლოდ მიმანიჩა, რომ რაც უფრო მეტი იქნება კონკურენციის ძალა და თავისუფალი იქნება კონკურენცია სხვადასხვა მიკრო დონეზე, მთ უფრო ძლიერი და სასარგებლო იქნება ბაზრის ნათებაც (ეფექტიანობა). შესაბამისად, სრულყოფილ დარგთაშორის კონკურენციაში მონაწილეობა აძილებს ფირმებს უფრო რაციონალურად გადაანაწილონ რესურსები, ხოლო საერთაშორისო კონკურენციაში მონაწილეობა ქვეყნის მთავრობებს სტიმულს აძლევს სრულყოფილ საკანონმდებლო ბაზა. ეკონომიკური გარემოს კონკურენტულობის შეფასებამ საშუალება უნდა მოგვცეს შესაბამისად ესრულყოფილ საკანონმდებლო ბაზა, რაც, თავის მხრივ, ბაზრის ეფექტიანობის შემდგომი ამაღლებისა და წარმოების ოპტიმიზების წინაპირობაა.

ფიზიკის ცნობილ ომის კანონში (I = U/R) დენის ძალის განსაზღვრის მსგავსად, შესაძლებელია შევაფასოთ კონკურენციის ძალა, რომელიც, ბუნებრივია, უფრო ძლიერია, თუ გამოშვებულ პროდუქციაში (მომსახურებაში) ნაკლებია ყველაზე მსხვილი მწარმოებლის (შესაძლოა, მონოპოლისტის) პროდუქციის წილი. ასევე, უფრო ძლიერი და შედეგაანა კონკურენცია, თუ იზრდება წარმოებული პროდუქცია (ოპტიმალურ დონემდე), ხოლო მისი

ახალი პერიოდისტი



არარეალიზებული ნაწილი, საპირისპიროდ, კლებულობს. აღნიშნულ მიდგომაში, მსხვილი მწარმოებლის (შესაძლოა, მონოპოლისტის) პროდუქცია და საერთო გამოშვების არარეალიზებული ნაწილი ომის კანონის ერთგვარი წინაღობების როლს ასრულებენ, ხოლო მთლიანი პროდუქცია (მომსახურება) – მბუხისა.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, დენის ძალის ცნობილი ომის კანონის მსგავსად, ვსაზღვრავ ეკონომიკური კონკურენციის ძალას და ეკონომიკური კონკურენციის ძალის შეფასებისათვის შემომაქვს ორი ინდექსი:  $I_1 = U/R_1$ , სადაც  $I_1$  – კონკურენციის პირველი ინდექსია,  $U$  – ერთგვაროვანი პროდუქციის მთლიანი გამოშვება, ხოლო  $R_1$  – ერთგვაროვანი პროდუქციის ყველაზე მსხვილი მწარმოებლის გამოშვება;  $I_2 = U/R_2$ , სადაც  $R_2$  – შესაბამისად, არარეალიზებული პროდუქციაა. ანალიზისათვის, ასევე, სასურველია შემოვიტანოთ კონკურენციის ინტეგრალური კოეფიციენტი  $K = N \times I_1 \times I_2$ , სადაც  $N$  – ერთგვაროვანი პროდუქციის მწარმოებელ ფირმათა რიცხვია ბაზარზე.  $I_1$  საგვარაუდოდ, სასურველია, რომ 3-ზე ნაკლები არ იყოს,  $I_2$  – შესაბამისად, 5-ზე ნაკლები არ უნდა იყოს, ხოლო  $N$  კარგია, რომ არ იყოს 10-ზე ნაკლები, მაშასადამე, ინტეგრალურ ნამრავლში, სასურველია, რომ  $K$  150-ზე ნაკლები არ იყოს.

კონკურენციის შეფასების შემოთავაზებული ჩვენი მიდგომით, შესაძლებელია ეკონომიკურად მაღალგანვითარებული ქვეყნების ბაზრების თავისუფლების ხარისხი შეფასდეს. ბუნებრივია, მსოფლიოში კონკურენციის (შესაბამისად, მონოპოლიზმის) შეფასების მრავალი საინტერესო მეთოდი არსებობს, თუმცა იხინი სრულად ვერ გაითვალისწინებენ როგორც საკუთარ, ასევე, ჩვენს სპეციფიკას. კონკურენციის ძალის განსაზღვრის წარმოდგენილი ჩვენი მიდგომა ე.წ. “პოლიტიკური მონოპოლიების” აღმომჩენი მონიტორინგის


საშუალებას იძლევა (ასე იმ მსხველ “არაბუნებრივ” ფირმებს ეუწოდებ, რომელთა გამო კონკურენციის ძალის 1-ლი ინდექსი 3-ზე ნაკლებია, ხოლო სასურველია 5-ზე მეტი იყოს), ასევე, მტაცებლური იმპორტდემპინგისა და მყიდველის ჯერ კიდევ დაბალი მსყიდველობითუნარიანობის გამო არარეალიზებული ნამატის (გადამტებელი სიჭარბე ხომ არც წარმოებაში ვარგა) არსებობასაც ავლენს და ა.შ.

ეკონომიკაში პოლიტიკის უხეში ჩარევისა და კონკურენციის არასასურველად შეზღუდვის პრობლემა განსაკუთრებით მწვევე ხასიათს პოსტსაბჭოთა სიერცეში ავლენს [6],[7]. არასასურველი კომუნისტური გადმონაშთების რევოლუციური რეფორმების პოლიტიკა სწორედ “პოლიტიკური მონოპოლიების” გაგლეჩის საწინააღმდეგოდაა მიმართული, რომლებიც, თავის მხრივ, დაწყებული ბრძოლის პარალელურად, მაფიურ კლანებთან სახიფათო შეზრდის მცდელობებსაც ავლენენ.

ნიშანდობლივია, რომ მეწარმეთა პაექრობა განსაკუთრებით საგანგაშო ხდება მაშინ, როცა საზოგადოების სულიერება (ადამიანთა ჭეშმარიტი ხედვა) სუსტდება. ამდენად, პაექრობა მხოლოდ და მხოლოდ სიკეთის ქმნაში შეჯიბრად უნდა მოვიხაროთ უკეთესი პროდუქციის საწარმოებლად, ღვთის ნების ხედვით, ეკონომიკური განვითარების მთავარ მამოძრავებელს სიკეთის ქმნაში შეჯიბრი (კონკურენცია) წარმოადგენდეს და, შესაბამისად, ბუნებრივი (ოპტიმალური, მისაღები) და ელემენტარულია, რომ ბაზრის ოპტიმალური სამეწარმეო სუბიექტების (საჭირო ტექნოლოგიური დონითა და უძრავი ქონების ზომიერი ფართით) სიმრავლე, რა თქმა უნდა, მხოლოდ თავისუფალი კონკურენციის პირობებში შეიძლება ჩამოყალიბდეს.

### ბამოყმენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 დეკემბრის №1551 განკარგულება “კონკურენციის პოლიტიკის ყოველსომეცველი სტრატეგიის დამტკიცების შესახებ”.
2. ფეტილავა სლავა, კონკურენციის თეორია და ანტიმონოპოლიური რეგულირება საქართველოში. – თბილისი, 2007.
3. სასაქონლო ბაზრებზე კონკურენტული გარემოს შეფასების მეთოდური რეკომენდაციები. – თბილისი, საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური, 1998, 3 დეკემბერი.
4. მენქიუ გრეგორი, ეკონომიკის პრინციპები. – თბილისი, 2000.
5. ლორთქიფანიძე რევაზ, ეკონომიკური ზრდის ქრისტიანული, პოლიტიკური და თეორიული საფუძვლების შესახებ. – თბილისი, ქაშუეთის ტაძარში მოღვაწე მამა ღვთისის კურთხევით, 2005.
6. მსოფლიო ციფრები. – თბილისი, სიახლე, 2000.
7. Political Science Quarterly. --New York, Vol. 124, Number 2, 2009.



შოთა ვეშაპიძე  
ე.მ.დ. საქართველოს ტექნიკური  
უნივერსიტეტის ასოცირებული  
პროფესორი

მანანა ნანოტაშვილი  
ე.მ.დ. გორის სასწავლო  
უნივერსიტეტის სრული პროფესორი



მარიამ მათიაშვილი  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და  
ბიზნესის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი

ახალი ამონაბეჭდი

დავით სარაჯიშვილი ქართული ეკონომიკისა და ბიზნესის სინამდვილეში გრანდიოზული ფიგურაა. ამიტომაც, ერთ სტატიაში და მრავალ სტატიაშიც, მისი მოღვაწეობის ყოველმხრივ შესწავლა და შეფასება შეუძლებელიც არის და მიზანშეუწონელიც. ჩვენი სტატია ამ დიდი პიროვნების მხოლოდ გარკვეული პროფესიონალური თვალსაზრისით, მისი გარკვეული კუთხით დანახვის მცდელობაა სამარადჟამო სასუფეველში მისი დამკვიდრების 100 წლისთავის გადასახედიდან, რომელიც 2011 წლის 20 ივნისს შესრულდა. დავით ზაქარაის ძე სარაჯიშვილი ძველი სტილით 1948 წლის 28 ოქტომბერს დაიბადა. ილია ჭავჭავაძეც ამ თვეში, 1837 წლის 27 ოქტომბერს დაიბადა. ეს შედარება მიზნობრივად მოგვეყავს, რათა ხაზი გავეუსვათ, რომ დავით სარაჯიშვილი გარკვეული თვალსაზრისით დიდი ილიას სადარი მამულისშვილი გახლდათ.

წმინდა ილია მართალი გემოდღვრავს, რომ საქართველო ორმა დიდმა საიდუმლომ გადაარჩინა. პირველი ის არის, რომ ჭეშმარიტ პატრიოტიზმს ყოველთვის თან ახლდა ნამდვილი პროფესიონალიზმი; მეორე საიდუმლო კი ძველი

საქართველოს ეკონომიკურ წყობაში დევს. ილია ჭავჭავაძე ასევე მიგვანიშნებს, რომ ჩვენი საზოგადოების ბრძოლის (მისი შრომის, საქმიანობის) უმთავრესი მიმართულება დღეისათვის უნდა იყოს – „ჩვენი დაცემულის ვინაობის აღდგენა, ფეხზე დაყენება და დაცვა ყოველის მოსალოდნელის ფათერაკისაგან“. წარსული ხელახლა უნდა ავაყენოთ საფლავიდან, ყველაფერი უნდა გამოვწვრილოთ, მისხლობით ავწონოთ, გოჯით გავზომოთ ყველაფერი რაც ძველად გვექონდა. ჩვენს ერს უნდა გავეუცოცხლოთ „დიდებულნი სახენი ძველის გმირებისა, ქვეყნისათვის თავდადებულებისა, ძველის ქველობისა, ძველის კაცურ-კაცობისა“. ამ გზით უნდა გამოვარწონოთ და გამოვაცოცხლოთ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა. ჩვენ უნდა მივდეთ იმ გზას, რომელზედაც ერთ სლავ პატრიოტს უთქვამს: „ჯერ მაცოცხლო, მერე მაფიქრებინე როგორ გამემდიდრდო“. ჩვენი ხალხის გაჭირვებიდან, სიღარიბიდან თავის დაღწევისათვის, ქვეყნის ეკონომიკური გაძლიერებისათვის, ყოველი ადამიანის კეთილდღეობის მიღწევისათვის უფრო უკეთესი საგანი ვიდრე ხალხისათვის „სიმდიდრის გზის გასწვრივ“, უფრო უკეთესი მიმართულება არ

არსებობს ვემოციურად ილია ჭავჭავაძე ამ გზას ალტერნატივა არ გააჩნია.

აი, რატომ უნდა ვისწავლოთ, ღრმად გავიგოთ და გაავსოთ ქართული სამამულო მეწარმეობის განვითარების სოლიდური ისტორია. როგორც ვაჟა-ფშაველა ამბობდა, ჩვენი გმირი წინაპრების აზრდღები საფლავებიდან უნდა გამოვიწყოთ, წარსულ დროთა უკუღმართობით მათთვის მიყვარებული ჭრილობები უნდა მოვიშუშოთ, დადღივ ძეგლებზე ვეამბოროთოთ და „თავზე დავადღათ დაფნის გვირგვინი“. ჩვენ მოვალენი ვართ არასოდეს დავივიწყოთ ისინი, ვინც წინაურდებოდნენ თავისი შეუპოვრობის, გამგრიანობის, ხერხიანობის და ათწლეულობით მიძიმე შრომის წყალობით. მათ შრომას შეაღიეს ყველა ძაღლები და მიუღი ცხოვრების წესი. ისინი თავისთვისაც მუშაობდნენ და ერთდროულად ქმნიდნენ ქართულ მრეწველობას, მისდევდნენ ვაჭრობას, აფუძნებდნენ ბანკებს, აშენებდნენ ქალაქებს, გაჰყავდათ რკინიგზა.

XIX საუკუნის ბოლო მეოთხედისა და XX საუკუნის დასაწყისის მეწარმეთა შორის, როგორც ცნობილი ქართველი მოღვაწე აღნიშნავდა „დავით სარაჯიშვილის სახელი მარად სახსოვარი და უკვდავია ქართველებისათვის, ისევე როგორც არა ერთი საქართველოს დიდებული და გვირგვინისანი ხეხნია მისი. შინაურობაში და გულითად მეგობართა შორის დათიკო სახელოვანი მოღვაწეობით დავით დიდი იყო... ის ხომ, როგორც დავით აღმაშენებელი, ქართველთა ახალგაზრდობის განათლებისა და სულიერებრივ აღორძინებისათვის იღვწოდა და აუარებელ ქონებას ჰხარჯავდა“ (პეტრე მირიანაშვილი)[1, გვ. 38-39].

მარტო ის რომ ჩამოეთვალათ, რაც დავით სარაჯიშვილმა ქართველ ხალხს დაუტოვა, ესეც საკმარისი იქნება პეტრე მირიანაშვილის ამ შედარების გამართლებებისათვის. დავით სარაჯიშვილმა აუშენა სოფელი დილომს სკოლის შენობა, მან გადასცა საზოგადოებას მწერალთა კავშირის ახლანდელი შენობა მაჩაბელის ქუჩაზე, მისი თაოსნობითა და ფინანსებით აშენდა ქაშვეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია, რომლის ეზოშიც თავის მეუღლესთან ერთად გადმოასვენეს იგი 1995 წელს, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სამოსწავლო წიგნების გამოსაცემად და სკოლებისათვის უმთავრესად პროფესიული სკოლების დახარხარებლად და შეესანახა გადასცა 100.000 მან., ქალაქ ქუთაისის საზოგადოებას თეატრის ასაგებად 150.000 მან., ქართულ დრამატულ საზოგადოებას 100.000 მან., ქალაქ თბილისის


სადანსტაქარო საავადმყოფოსათვის შენობის ასაგებად მისი და განსვენებული მისი მეუღლის დავით სარაჯიშვილის სახელობაზე 200.000 მან. და რომელი ერთი ჩამოეთვალათ, სულ ასეთი დატოვებული თანხა მილიონს უახლოვდება. თუმცა როგორც ილია ბრძანებს „აქ გამოსაკითხი ის კი არ არის, ბევრი შესწირა თავისს ქვეყანას თუ ცოტა, საქმე იმაშია, რომ რაც შეიძლება, სულ მიუღოდ თავისის ქვეყნის საკურთხეველზე მიიტანა...“.

დავით სარაჯიშვილი ქართული ეროვნული კულტურის მოამაგე და ქველმოქმედთა გენიალური კოორტის გოლიათი წარმომადგენელია. მის სიტოცხლებს არც ერთი ეროვნული საქმე წამოწყებულა, რომლის განხორციელებაში მას თავისი მასშტაბური წვლილი არ შეეკანოს. იგი დიდ ქართველ მოღვაწეებთან ერთად მონაწილეობას იღებდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ და საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებების, სათავადაზნაურო ბანკის, ქართული გალობის აღმადგინებელი კომიტეტის, მუსიკალური სასწავლებლის დაარსებისა, გახუთის, უურნალის, წიგნის გამოცემის, მეცნიერთა, მუსიკოსთა გამოჩენის, ეკლესიის და სკოლის გამშენების, დარბი-უბუღურთა დახმარების, უცხოელ და შინაურ მოღვაწეთა დაახლოებისა და სხვა მრავალ საქმეში.

დავით სარაჯიშვილის ბინა წარმომადგენდა ქართველი ინტელიგენციის შესაკრებ ადგილს, მცენერთა, ეროვნული სუფობოდნენ ცნობილი მწერლები, საზოგადო მოღვაწეები, მხატვრები. მისი ხშირი სტუმრები იყვნენ ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ი. გოგებაშვილი, ი. მეუნარგია, გრ. ყიფშიძე, რ. ერისთავი, პეტრე უშიკაშვილი, ივ. მაჩაბელი, ა. ცხევედაძე, ი. მანსვეტაშვილი, ა. ცვაგარელი, ნ. ლაისტი, მ. გაბაშვილი, ი. ნიკოლაძე, ნ. გაბუნია და სხვანი ხშირად იმართებოდა პოლემიკა ამა თუ იმ მნიშვნელოვან თემაზე, წყდებოდა ბევრი საჭირობოტო საკითხი.

აღსანიშნავია, რომ პირველად დავით სარაჯიშვილის ბინაზე წაუკითხავს ილიას საზოგადოების ცნობილ წარმომადგენელთა წინაშე თავისი ქმნილებები: „განდგეილი“ და „ოთარანთ ქერი“. მისი დიდი დახმარებით დადიოდა ილია ჭავჭავაძე გერმანიაში სამკურნალოდ. ილიას სიკვდილის შემდეგ კი დავით სარაჯიშვილი და მისი კდემამოსილი მეუღლე ეკატერინე ფორაქისვილი პატრონობდნენ ილიას ქვრივს, ნებარსსენებულ ოლდა გურამიშვილს და დაჰყავდათ ის გერმანიაში სამკურნალოდ...

დავით სარაჯიშვილი ნიჭიერ ქართველ ახალგაზრდობას ხელს უწყობდა სწავლა-



ე

განათლების მიღებაში, ნამდვილ პროფესიონალად ჩამოყალიბებაში. ამისთვის აგ საყენიდა მათ როგორც რუსეთში, ასევე საზღვარგარეთ. მისი სტიპენდიანტები იყვნენ ქართველი ერის გამოჩენილი შვილები: კომპოზიტორები – დიმიტრი არაჯიშვილი, მელიტონ ბალანჩივაძე, ია კარგარეთელი, კოტე ფოცხვერაშვილი; მხატვრები – მოსე თოთიძე, ვიგო ვაბაშვილი, გროგოლ მესხი, მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე, მხატვარი შალვა ქიქოძე; მომღერლები – ვანო სარაჯიშვილი, ვლადიმერ ქაშაკაშვილი; პროფესორები – ფილიპე გოგინიაშვილი, სოლომონ ჩოლოყაშვილი, მიხეილ შალამბერიძე, სარგის კაკაბაძე, საქართველოს ყოფილი კათალიკოსი კალისტრატე ცინცაძე და ვინ მოთვლის კიდევ რამდენი სხვა.

მართალია დავით სარაჯიშვილს და ეკატერინე ფორაპოშვილს დამერთა შვილი არ უბოძა, მაგრამ როგორც თვითონ დავითიც იტყოდა ხოლმე, შვილებზე მეტი რა ჰყავდა საქართველოში თავის აღზრდილთა სახით. ეს აღსაზრდელნიც მას შრომად მიიჩნეოდნენ.

დავით სარაჯიშვილის პროფესიონალიზმის დახასიათების საწყაოდ, მის საზომად ი. ჭავჭავაძის მიერ ჩამოყალიბებული პროფესიონალის „კოდექსი“ გამოდგებოდა. დავით სარაჯიშვილი თავისი დიდი ცოდნითა და გამოცდილებით ამ საწყაოს სრულად და ყოველმხრივ შემაჯავებელი პროფესიონალია. თუ ილიასვე სიტყვებით დავახასიათებთ:

- დავით სარაჯიშვილი იყო, „კაცი დარბაისელი, ჭკვიანი, განვითარებული და ძალიან გამოცდილი, ყოველ ამასთან ჭეშმარიტი და თავდადებული ქართველი, მოჭირანაული და მსხვე მამრჯელი“.

- პროფესიონალიზმი ყოველთვის სპეციალურ მომზადებას მოითხოვს და დ. სარაჯიშვილიც მთელი თავისი ცხოვრება ამ პროცესს მისდევდა.

- პროფესიონალიზმი სიმართლის გარეშე არ არსებობს. მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი აღსასრულებლად შესასრულებელი რჩევების ჩამოყალიბება. დავით სარაჯიშვილიც ყოველთვის მართალი კაცი იყო. მისი დამახასიათებელი თვისება იყო „მიუდგომელი პირუთენელი სიმართლე“. მან მიიღო ძალიან მაღალი დონის ევროპული განათლება, შეიძინა. ცოდნა და გამოცდილება, „მოთვის თავისის ერცელი მნიშვნელობით“. დიას, მას ჰქონდა „ცოდნა ყველაფრისა, რისაც კი შეიძლება, ცოდნა და საფუძვლიანი, შემკული განუჭრებელის სიყვარული ბედნიერებისადმი“.

- დავით სარაჯიშვილს როგორც პროფესიონალს ახასიათებდა „თადარიგისა, სიმხნევე, ცოდნა, პატიოსნება, საქმისათვის თავდადებულობა; გულმოდგინება საქმისა, დაუღალავი შრომა... საქმეში სულით და გულით ჩახედა“- დიას, იგი იყო საქმისათვის თავდადებული,

მარტო საქმისათვის და არა მიმჭოდენი ტყუილებრალ ცილობისა, საკუთარისა პირდის სარგებლობისათვის“.

- ყოველივე ამასთან ერთად დავით სარაჯიშვილს ახასიათებდა ქველმოქმედების განუზომელი ნიჭი, თავდაბლობა, „ჩუმი, მშვიდობიანი, დინჯი, არა-მეყივალა და მხსავანა მოღვაწეობა“; მას ახასიათებდა გულშემატკივრობა, კაცობიერობა, სითბო და სიტბო, ერთგულება“; როგორც ნამდვილ პროფესიონალს შეუფერება იგი იყო ფრიად „უშეშარი“ და „დიდბუნებოვანი“.

დავით სარაჯიშვილისთვის როგორც პროფესიონალისთვის დამახასიათებელ ყველა ამ ნიშანსე ცალკე რომ არ შეეჩერდეთ, მისი ევროპული განათლების შესახებ თოიოდ სიტყვის თქმა მაინც აუცილებელი არის.

დავით სარაჯიშვილს ჯერ გიმნაზია დაუშთავრებია, სადაც სწავლობდა ძალიან კარგად. შემდეგ, 1866 წელს იგი შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტში, საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე აქაური სწავლა და გარემოებანი მას არ მოსწონებია და მეორე წელსვე გერმანიაში წახულა. გერმანიის უნივერსიტეტების თავისუფალმა სწავლამ და ცხოვრებმა, დავითი ისე გაიტაცა, რომ ცამეტი წელიწადი გაატარა სტუდენტობაში. იგი გადავიდა ერთი უნივერსიტეტიდან მეორეში, სადაც უკეთესი პროფესორი ეუფლებოდა და ასე მოიარა რამდენიმე უმაღლესი სასწავლებელი გერმანიასა და საფრანგეთში. სწავლობდა ბუნებისმეტყველებას, სოფლის მეურნეობას და პოლიტიკურ ეკონომიას. მას წაითხუელია და შესწავლილი ჰქონდა უმთავრესი თხზულებები გერმანიის ცნობილი ეკონომისტებისა და ისტორიკოსებისა: ზომბარტი, შოლერი, მარქსი, ვაგნერი, კოცკი, ბუხერი, ქაჯალი, ბერშტეინი. დ.ს. სარაჯიშვილმა 1871 წ. დაამთავრა პაიფერბერგის უნივერსიტეტი. იყო ქიმიურ მეცნიერებათა დოქტორი და ფილოსოფიის ბაკალავრი. მიიღო აგრეთვე ეკონომიკური განათლება. შემდეგ 1878 წლამდე სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებას სწავლობდა პოტენამისა და პალენი. 1878-1879 წლებში საფრანგეთის შეისწავლა მევენახეობის დარგები და საფუძვლიანად სასოფლო-სამეურნეო, სამეწარმეო მოღვაწეობისათვის. დამოწვა გამოჩენილ მეცნიერ-ეკონომისტს პროფ. ადოლფ ვაგნერს, რომელმაც, შემდეგში, თავისი წიგნი „agrар-und Industriestaat“ (1902) მიუძღვნა მას... „ვაგნერის 222 გვერდიან მონოგრაფიაში – მიწათმოქმედი და მრწვეელი ქვეყანა“ ქართველი გლეხის ისტორიაა განხილული დ. სარაჯიშვილს თავისი სწავლით დიდი ავტორიტეტი მოუხვეჭია ევროპაში. ამაზე მიუთითებს თუნდაც ადოლფ ვაგნერის

ახალი მკონობილი

დასახელებული ნაშრომი. ამ წიგნის სადებიდატოვო მინაბეჭდი ასე იკითხება: „თავის პატივცემულ ქართველ მეგობარსა და ნამოწაფარს, საყვარელ და მრჩეველ თანამგზავს, სწორედ ძველებურ სტუმართმოყვარეს და აზრ-გონების აღმძვრელ პრაქტიკულ ამხანაგს სპეციალობაში, ბნ-დრ დავით სარაჯიშვილს, თბილისში, მადლობით უძღვნის ავტორი ადოლფ ვაგნერი“. შემდეგ წიგნის წინასიტყვაობის ბოლოს კიდევ დიდი პატივისცემითა და მოწიწებით იხსენებს მას.

აქვე დავხსენებ, რომ თბილისში და კავკასიის სხვადასხვა ადგილას დ. სარაჯიშვილმა ტექნიკის იმდროინდელ უახლეს მიღწევათა საფუძველზე მიაწყო არყისა და კონიაკის წარმოება, რაშიც მალე დიდ წარმატებას მიაღწია კიდევაც. იგი შეიქმნა კავკასიაში და რუსეთშიც ამ დარგის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი მრეწველი. 1901 წ. „წლიური ვაჭრობა დ. სარაჯიშვილის ნაწარმოებისა ორ მილლიონ მან. შეტია“, აღნიშნულია საქართველოს 1903 წლის კალენდრის 468-ე გვერდზე.

მოუხედავად ყოველივე ამისა დ. სარაჯიშვილის სახელი ერთი პერიოდი დავიწყებას მიეცა და დამცირებას ვერ აცდა. როგორც ცნობილია იგი 1911 წელს გარდაცვლილა და დაკრძალული იყო დიდუბის პანთეონში. შემდეგ იძულებული გახდნენ დ. სარაჯიშვილის ნეშტი ვაკის სასაფლაოზე გადაეკვანინებინათ. 1939 წელს, საქართველოს სსრ-ს ხელმძღვანელობის მითითებით, ქალაქის საბჭოს მიერ გაკეცილ დოკუმენტში, რომლის ადრესატები დავითისა და ეკატერინეს ნათესავებია იყვნენ, ეწერა: „პანთეონისათვის გამოყოფილ ნაკვეთზე უნდა დაკრძალული იქნან ის პირნი, რომელთა მოღვაწეობაც დიქტარატურის, მეცნიერების და ხელოვნების დარგშია ცნობილი. დ. სარაჯიშვილი და მისი მეუღლე კი, რადგან არ ეკუთვნიან აღნიშნულ კატეგორიას, პანთეონის ნაკვეთზე დატოვებულთა სიაში არ არიან. ამიტომ გვევლებათ, დ. სარაჯიშვილისა და მისი მეუღლის ნეშტი გადაიტანოთ სხვა სასაფლაოზე 10 დღის ვადაში. პანთეონის დირექტორი ვ. ენიკოლოფაშვილი“ [5, გვ. 24].

#### გამოყენებული ლიტერატურა:


1. დავით სარაჯიშვილი 1911-1998. კრებულის შემდგენელ-რედაქტორი გიზო ნიშინანიძე, თბილისი, 1998.
2. ვეშაბიძე შ., ასლამაზიშვილი ნ., თურნაია ნ. ელემენტარული ეკონომიკა, თბილისი, 1998.
3. ქარნაია ლ., გამოჩენილი ბიზნესმენთა სამეწარმეო ცხოვრებიდან. ბიზნესის გარშემო. წიგნი პირველი, გამოცემულია „ლიო“, თბილისი, 2006, გვ. 210-217.
4. ჭავჭავაძე ი., თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. 5, თბილისი, 1955.
5. ჯაფარიძე დ. ქართული მეცნიერების ისტორიიდან: დავით სარაჯიშვილი. მუდმივი კავშირის სამყარო, 2(18)2003.

1939 წლის 1 სექტემბერს დავით და ეკატერინე სარაჯიშვილების ნეშტები ვაკის სასაფლაოზე გადაასვენეს. 1995 წლის 24 ივნისს სარაჯიშვილის მოწაფეებისა და მისი დედაწლის თაყვანისცემელთა მცდელობით დავით და ეკატერინე სარაჯიშვილების ნეშტები ვაკის სასაფლაოდან გადმოასვენეს და ქაშვეთის ტაძრის ეზოში დაკრძალეს.

ჭეშმარიტება ამგვარაა. თუ ძველად, წარსულ დროთა უკუღმართობის შედეგად დავით სარაჯიშვილის სახელი დაუფასებელი, ტაბუდადებული და ფხვქვეშ გათვლილი იყო, ახლა იგი ირავებოტირებული და სათანადოდ არის წარმოჩენილი. ამიტომ თითოეული ჩვენგანი გულმრთულ მადლობას მადლობას უძღვნის ყველა იმათ, ვინც თავისი ღირსეული წვლილი შეიტანეს ამ საშვილო წიგნში: მეცნიერ-ისტორიკოსებს, ფილოლოგებს, ეკონომისტებს, ორსიტებს, ხელოვნებს, არქიტექტორებს, ბიზნესმენებს და სხვებს, ვინც დავით სარაჯიშვილის სახელი მთელი თავისი დიდებულებით ადავინდა და უკუდაყოფს მას. ასეთი ადამიანების სრული სიის წარმოდგენა ძნელია. ასეთები არიან დავით სარაჯიშვილის დიდი თაყვანისცემელები, შესანიშნავი მოქალაქე ბატონი ელგუჯა ბუბუტეიშვილი, ცნობილი პოეტი და თბილისის კოლორიტი გიზო ნიშინანიძე და ვინ მოსთვლის კიდევ რამდენი.

ყველა ჩვენგანი უნდა მისწრაფოდეს ასეთი საქმეებისაკენ. ჩვენი დიდი წინაპრების სახელი და დიდება არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ. წარსული ხელახლა უნდა ავაყენოთ საფლავიდან, ყველაფერი უნდა გამოვხსრიოთ, მისხლოებით ავწონოთ, გოჯით გავზომოთ, ყველაფერი რაც ძველად გვექონდა და ჩვენი წინსვლისა და წარმატებების მარადიული გზამკვლევადად, ჩვენს ყოველდღიურ სახელმძღვანელო გადავატეოთ. ჩვენს ერს უნდა გაეუცოცხლოს, დიდებულნი სახეიანი ძველის გმირებისა, ქვეყნისათვის თავდადებულებისა, ძველის ქველობისა, ძველის კაცურ-კაცობისა“ [4, გვ.97-98]. ამ გზით უნდა გამოვაბრუნოთ და გამოვაცოცხოთ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა.

საქართველოს ისტორია



კომპანიის ფინანსური მენეჯერი: სტატუსი, უფლებები, მოვალეობები, გლობალიზაციის ბამოწვევები



რუსუდან პაპასკირი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

თანამედროვე საბაზრო ურთიერთობის პირობებში ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური ძლიერება მისი ეკონომიკური სუბიექტების ფინანსურ სიძლიერესა და სიმყარეზეა დამოკიდებული, რაც მათთან ფინანსური მენეჯმენტის მაღალ დონეზე დაყენებით მიიღწევა. სამეურნეო სუბიექტების ფინანსურ მენეჯმენტს ანუ ფინანსური მართვას ახორციელებს, ხშირად ვიცე-პრეზიდენტის რანგში აყვანილი ფინანსური მენეჯერი და მისი გუნდი.

ვინ არის ფინანსური მენეჯერი, რა სტატუსი აქვს, რა როლს ასრულებს ეკონომიკური სუბიექტების, მოცემულ შემთხვევაში, კომპანიის საქმიანობაში, რა უფლებები და მოვალეობები აქვს და რა გამოწვევების წინაშე დააყენა იგი გლობალიზაციის პროცესმა, ამას ქვემოთ მოვახსენებთ.

ფინანსური მენეჯერი, როგორც სახელწოდება გვიჩვენებს, კომპანიის ფინანსურ ურთიერთობებს მართავს. ეს ურთიერთობები ყოველ წუთს წარმოიქმნება კომპანიაში – ნედლეულის, მასალების, მოწყობილობების და ა. შ. შექმნის დროს, მზა პროდუქციის ან მომსახურების გაყიდვის დროს, მომუშავეთა დაქირავების დროს, კრედიტის აღების ან კრედიტის დაბრუნების დროს, დაზღვევის დროს, ქონების (მ. შ. ფასიანი ქაღალდების) ყიდვა-გაყიდვის დროს და ა. შ. ალბათ ძნელად მოიძებნება ფირმაში ისეთი ოპერაცია, რომელიც, საბოლოო ანგარიშით არ უკავშირდებოდეს ფულის მიღებას ან გაცემას, ე. ი. ფულის ბრუნვას. სწორედ ფულის ბრუნვა არის ის ფენომენი, რომელსაც ეფუძნება ფინანსური ურთიერთობები ფირმაში და რომელსაც მართავს ფინანსური მენეჯერი.

თუ არაფერს ვიტყვით საქართველოზე, რომელიც ეხლახანს დაადგა საბაზრო ეკონომიკის გზას, რომლის ეკონომიკა წარსულში როგორც მთლიანად, ისე ცალკეული ეკონომიკური სუბიექტების დონეზე, ცენტრალიზებულად იმართებოდა და არც მენეჯერს იცნობდა და არც

ფინანსურ მენეჯერს, თვით მაღალგანვითარებული ქვეყნების პრაქტიკაშიც კი, ფინანსური მენეჯერის ფიგურამ მხოლოდ უკანასკნელ 20 წელიწადში წამოიწია წინ. ამას ხელი შეუწყო და ეს პროცესი დააჩქარა, ერთი მხრივ, ეკონომიკაში ფინანსების გაბატონებამ, ანუ ისეთი ეკონომიკის ჩამოყალიბებამ, რომელშიც დომინირებს ფინანსები, ფინანსური ურთიერთობები, ფინანსური მექანიზმები და ფინანსური ბაზრები, და, მეორეს მხრივ გლობალიზაციის შეუქცევადმა პროცესმა.

აი, რას წერს ცნობილი ქართველი ფინანსისტი, პროფესორი რ. კაკულია: „თანამედროვე ეკონომიკა არის ფინანსური ეკონომიკა, უფრო სწორად, ფინანსომიკა... სწორედ ასეთია თანამედროვე ეკონომიკური მეურნეობა. ფინანსურ ეკონომიკაზე გადასვლა ეკონომიკაში გადატრიალების ტოლფასია. მისი სახით სრულიად ახალი ეკონომიკა წარმოიშვა. ამ ახალ ეკონომიკაზე წარმოდგენა სულ სხვა უნდა იყოს“ [1, გვ. 11-12]. და იმის მიუხედავად, რომ ამ ახალი ფინანსური ეკონომიკის კონცეფციური საფუძველი და რეალიზაციის მექანიზმი მეცნიერებს ჯერაც არ ჩამოუყალიბებიათ, ერთი რამ ეხლავე ცხადია – ფინანსური ეკონომიკა, იქნება ის ქვეყნის დონეზე, დარგის დონეზე თუ კომპანიის დონეზე, იგი უნდა მართოს ფინანსურმა მენეჯერმა.

თუ ბიზნესის განვითარების ადრეულ წლებში, ფირმებში ფინანსების მართვა „შეთავსებით“ ხდებოდა და მას თვით ბიზნესის მესაკუთრე-მენეჯერები ახდენდნენ, შემდეგ – საკორპორაციო მენეჯმენტის გამოყოფის შემდეგ, იგი, ისე როგორც მთლიანად მართვა, გადავიდა დაქირავებული მენეჯერის ხელში. ამ წლებში, მენეჯერი ბუღალტრის აქტიური მონაწილეობით მართავდა ფირმის საფინანსო საქმიანობასაც. ფაქტიურად, ეს მისთვის, ისე როგორც ბუღალტრისთვის, იყო დამატებითი საქმიანობა და მას შეთავსებოთ

სახელი-გვარი

ასრულებდა. ეკონომიკის თანამედროვე მდგომარეობამ, რომელიც უკავშირდება ბიზნესის გართულებას და კავშირების გამრავალფეროვნებას, გარემოს ცვალებადობას და ა. შ. მოითხოვა საქმის ეკალიფიციური წარმართვა. ამ ვითარებამ წარმოშვა შედარებით ახალი პროფესია – ფინანსური მენეჯერი.

ფინანსური მენეჯერის ფუნქციებზე მეცნიერთა შორის ერთიანი შეხედულება არ არსებობს [2, გვ. 50]. ამის მიუხედავად არსებობს აშშ-ს ნებაყოფლობითი ორგანიზაციის – ფინანსურ ხელმძღვანელთა ინსტიტუტის (Financial Executive Institute) მიერ შემოთავაზებული სამუშაოთა ჩამონათვალი (ცრხრილი 1), რომელთა შესრულება

ფინანსისტის მოვალეობაში შედის. ეს ჩამონათვალი მეტად ფართოდ წარმოგიდგენს ფინანსური მენეჯერის (ფინანსური დირექტორის) ფუნქციებს, თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველა ამ ფუნქციის შესრულება მას აუცილებლად მოუხდება. ფინანსურ მენეჯერზე შესასრულებელ დაავლებათა გადაცემა საწარმოში ინდივიდუალურად, მუშაობის სპეციფიკიდან და საწარმოს სიდიდიდან გამომდინარე ხდება. მაგრამ, ასე თუ ისე, შესასრულებელ დაავლებათა მოცულობაც და 'წონადობაც' იმდენად დიდია, რომ ყოველ კომპანიაში ფინანსური მენეჯერი წამყვან სპეციალისტად იქცა და როგორც ამერიკელი მეცნიერი ჯ. ეან ზორნი წერს, 'უკანასკნელ წლებში ფინანსური მენეჯერის

ცხრილი 1

**ფინანსური მენეჯერის ფუნქციები კორპორაციაში [3, გვ. 54-55]**

<b>I. ლაბორში</b>	
1. ფინანსური ოპერაციების მართვის გეგმის შემუშავება, კ' ორდინაცია და რეალიზაცია	
<ul style="list-style-type: none"> <li>➢ გრძელვადიანი და მოკლევადიანი ფინანსური და კორპორაციული გეგმების შედგენა;</li> <li>➢ კაპიტალდაბანდებათა და მიმდინარე ოპერაციების ხარჯთაღრიცხვების შედგენა;</li> <li>➢ გაყიდვების პროგნოზირება;</li> <li>➢ ფირმის საქმიანობის ეფექტიანობის შეფასება;</li> <li>➢ ფასწარმოქმნის პოლიტიკის შემუშავება;</li> <li>➢ ფირმის ეკონომიკური შეფასება.</li> </ul>	
<b>II. კაპიტალით უზრუნველყოფა</b>	
<ul style="list-style-type: none"> <li>➢ ბიზნესის წარმატებული წარმართვისთვის საჭირო კაპიტალით უზრუნველყოფის პროგრამის შემუშავება და რეალიზაცია.</li> </ul>	
<b>III. ფულადი ფონდის მართვა</b>	
<ul style="list-style-type: none"> <li>➢ ფულადი სახსრების მართვა;</li> <li>➢ კომპანიის ფულადი სახსრების და ფასიანი ქაღალდების მიღება, შენახვა და ხარჯვა;</li> <li>➢ ინვესტიციების მართვა;</li> <li>➢ კრედიტების მართვა.</li> </ul>	
<b>IV. ბუღალტრული აღრიცხვა</b>	
<ul style="list-style-type: none"> <li>➢ სააღრიცხვეო პოლიტიკის შემუშავება;</li> <li>➢ რესურსების ხარჯვის ნორმების შემუშავება;</li> <li>➢ შიდა აუდიტორული შემოწმების ჩატარება;</li> <li>➢ სახელმწიფო ორგანოებთან ანგარიშგება.</li> </ul>	
<b>კორპორაციის ატმოსფეროს მართვა</b>	
<ul style="list-style-type: none"> <li>➢ სადაზღვევეო ხელშეკრულებების გაფორმება;</li> <li>➢ უძრავი ქონების მართვა.</li> </ul>	
<b>ბადასახაზების მართვა</b>	
<ul style="list-style-type: none"> <li>➢ საგადასახადო პოლიტიკის შემუშავება და რეალიზაცია;</li> <li>➢ საგადასახადო ორგანოებთან კავშირი;</li> <li>➢ საგადასახადო დებეჟე.</li> </ul>	
<b>ინვესტიციების უზრუნველყოფა</b>	
<ul style="list-style-type: none"> <li>➢ ინვესტიციებთან კავშირის დამყარება;</li> <li>➢ კორპორაციის აქციონერებზე ინფორმაციის გადაცემა.</li> </ul>	
<b>შეფასება და კონსალტინგი</b>	
<ul style="list-style-type: none"> <li>➢ ფინანსური პოლიტიკის საკითხებზე კორპორაციის სხვა ხელმძღვანელებთან კონსულტირება და მათგან რეკომენდაციების მიღება.</li> </ul>	
<b>მართვის ინფორმაციული სისტემები</b>	
<ul style="list-style-type: none"> <li>➢ მონაცემთა ელექტრონული დამუშავების საშუალებათა შექმნა და გამოყენება;</li> <li>➢ მართვის ინფორმაციული სისტემის შექმნა და გამოყენება.</li> </ul>	

ახალი მკერდისტი



როლი გაფართოვდა და მან მოიცვა მილიანად საწარმო, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ფინანსური მენეჯერი ახლა ეწევა საერთო მართვასაც“ [4, გვ. 10].

ამ მნიშვნელობის გამო, ფინანსური მენეჯერის პროფესია მეტად მოთხოვნადი და დაფასებული გახდა. ეს მოხდა არა მსხვილ ფორმებში, სადაც ფული არაკადვების მოცულობის, სირთულის და ინტენსივობის გამო, ფინანსური ღირებულების და სპეციფიკობა მართლაც დიდია, არამედ საშუალო სიდიდის და, ხშირ შემთხვევებში, მცირე ფორმებშიც კი. საქმე იქამდის მივიდა, რომ მოხდა ფინანსური მენეჯერის ვიწრო სპეციალიზაცია – ფინანსურ ღირებულებად, ფინანსურ მენეჯერად და ფინანსურ კონსულტანტად [4, გვ. 42].

ფინანსური ღირებულებები (GFO – Chief Financial Officer) პასუხს აგებენ კომპანიის საერთო ქონებრივ და ფინანსურ მდგომარეობაზე. ფინანსური რესურსებით მის უზრუნველყოფაზე და აქტივების ეფექტიან მართვაზე.

ფინანსური მენეჯერები მართვის საშუალო დონეზე მუშაობენ. ისინი საფინანსო ქვეგანყოფის (სამმართველო, დეპარტამენტი) მუშაკები არიან. მათ ავტოფუნებს: ფინანსურ ანალიტიკოსებად (GI – quant jocks); ფინანსურ ინოვატორებად (OF – opportunities financiers) და ფინანსურ ინჟინრებად (FI – Financial injiners).

როგორც ვხედავთ, ფინანსური მენეჯერების სპეციალიზაციას საზღვარგარეთ მეტად დიდი ურთქადლება ექცევა. ეს იმის მიმინშეებელია, რომ დასავლეთში ფული დიდ როლს ასრულებს. არსებითად, ფული წარმოადგენს, ერთის მხრივ, სოციალურ ენერგიას, რომელიც პიროვნების წარმატებას გმსახურება და, მეორე მხრით, იგი არის ყველა სიკეთის და ფასეულობის უნივერსალური საზომი. ფულის ასეთი მნიშვნელობის გამო, მას მხოლოდ პროფესიონალები უნდა მართავდნენ და საქართველოში განვითარებული პრაქტიკა, რომ ფირმის მესაკუთრე არის მისი გენერალური მენეჯერიც, ფინანსური მენეჯერიც, წარმოების მენეჯერიც და ა. შ., ყოფილად მიუღებელია. უკვე მიუღებელია ისიც, რომ ფირმის ფინანსურ ურთიერთობებს ხელმძღვანელობს მისი გენერალური მენეჯერი ან ბუღალტერი (ცალ-ცალკე ან ერთად), რადგან ამ საქმის მართვას მოეთხოვება ფინანსების გლობალური აზროვნება, კერატულობა, რაც არც ბუღალტერს და არც წარმოების მენეჯერს, თავიანთი სპეციალობიდან გამომდინარე, არ გააჩნიათ.

ასეთი ცოდნის და თვისებების მატარებელი არის მხოლოდ ფინანსური მენეჯერი. მაგრამ სამწუხაროდ, ასეთ ცოდნას და ასეთ თვისებებს

ყველა ფინანსური მენეჯერი არ ფლობს. მისეხებით როგორც სასლვარგარეთ, ისე საქართველოს ფორმებში, ადგილი აქვს ფინანსური ღირებულების ხშირ ცვლას. პიროვნებამ, რომელიც ფიქრობს, გასდეს ფინანსური მენეჯერი, უნდა იცოდეს, რომ ეს სფერო საშუალო და მით უფრო, დაბალი დონის მენეჯერს ვერ თმებს. აქ ან რჩეული უნდა იყო, ან რჩეულზე – რჩეული, ანდა უფრო მეტი.

ფინანსური მენეჯერი შუამავლის როლს ასრულებს კორპორაციასა და კაპიტლის ბაზარს შორის, სადაც მიმდინარეობს კორპორაციის ფასიანი ქალაღების ყიდვა-გაყიდვა და ამ გზით კორპორაციისთვის დაფინანსების წყაროს არჩევა [5, გვ. 65]. იმისათვის, რომ მენეჯერმა დაფინანსების წყაროს ასარჩევად ოპტიმალური გადაწყვეტილება მიიღოს, იგი საფუძელიანად უნდა იცნობდეს ფინანსურ ბაზრებს, ცნოდეს მათი კანონზომიერებები და ფლობდეს მათზე სრულ ინფორმაციას. მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყვეტს იგი, თუ რა სჯობს – ობლიგაციების გამოშვება, აქციების გამოშვება თუ სულაც ბანიკიან კრედიტის აღება.

თუ ფირმა სააკციო საზოგადოებაა, მისი ფინანსური მენეჯერის მოვლი საქმიანობა მიმართული უნდა იყოს აქციონერთა საკუთრების (აქციები) ღირებულების მაქსიმიზაციისკენ, ანუ რაც იგივეა, სააკციო საზოგადოების ღირებულების ზრდისკენ. ეს მაშინ მოხდება, თუ გაიზრდება კომპანიის აქციების საბაზრო ფასი. იმ შრავალ გარეგან ფაქტორთა გარდა, რომლებიც ამ მიმართულებით მოქმედებენ, არის ერთი მეტად არსებითი შინაგანი ფაქტორი, რომლის ზეგავლენა აქციების კურსზე ფინანსური მენეჯერის გადაწყვეტილებაზე არის დამოკიდებული. ეს არის დივიდენდური პოლიტიკა.

მეცნიერთა ერთი ნაწილის (მ. გორდონი) აზრით, დივიდენდების ზრდა სხვა თანაბარ პირობებში იწვევს აქციების ფასის ზრდას. მეორე ნაწილი (ჯ. უოლტერი) საწინააღმდეგოს სათანადო არგუმენტაციით ამტკიცებს მესამე ნაწილი (მოდელიან-მილარი) კი თვლის რომ აქციების ფასებს არავითარი კავშირი არა აქვთ დივიდენდურ პოლიტიკასთან.

აი, ასეთ რთულ ვითარებაში მენეჯერს მაინც მოეთხოვება, იმუშაოს ისეთი დივიდენდური პოლიტიკით, რომ შეძლოს კომპანიის ღირებულების ზრდა. როცა იგი ამას ვერ აღწევს, როგორც დაქირავებულს, მას სამსახურიდან ითხოვენ. ამას ემატება გაურკვევლობის რისკი და დროითი შეზღუდვა. ანუ ფინანსური მენეჯერის

ახალი პერიოდისტი



გადაწყვეტილებები მუდმივად რისკის წინაშე დგანან, რის გამოც მათი აბსოლუტურად დადებითი შედეგი ალბათურია. იგივე ეხება დროს. აქციონერები კი მენეჯერის მიერ დაპირებულ სიკეთეს მოკლე დროში ვლიან, რაც ხშირად ვერ ხერხდება.

ასე რომ, ფირმის ფინანსური მენეჯერობა რთულზე რთული საქმეა. მან უნდა გამოიყენოს 'ოქროს შუაღელი' საკუთარ ინტერესებსა და ფირმის შესაკუთრება (მოცემულ შემთხვევაში აქციონერთა) ინტერესებს შორის, არ უნდა გადააჭარბოს თავის უფლებამოსილებებს (მის საქმიანობას აკონტროლებს დირექციათა საბჭო, მომსახურე ბანკი და თვით ფირმის გენერალური დირექტორი), არ დაუშვას არამწარმოებლური ხარჯები და დანაკარგები, მიიღოს მხოლოდ ოპტიმალური გადაწყვეტილებები და ა. შ. ასეთ

ფინანსურ მენეჯერებს სამაგიეროდ შრომის მაღალი ანაზღაურებაც აქვთ – საზღვარგარეთ წელიწადში რამდენიმე მილიონი დოლარი, რუსეთში რამდენიმე ასეული ათასი დოლარი [6, გვ. 35].

ყოველივე ზემონათქვამიდან ჩანს, თუ როგორია ფირმაში ფინანსური მენეჯერის ფიგურა, რა 'წონადობისაა' მის მიერ შესრულებული სამუშაო და რატომ უნდა თქვას მან გადაწყვეტი სიტყვა კომპანიის ფინანსური სტრატეგიის არჩევაში. კომპანია, რომლის გენერალური დირექტორი ამას კარგად იცნობიერებს და პრაქტიკულადც აკეთებს, რათა თქმა უნდა, თუ მისი ფინანსური მენეჯერი რჩეულზე – რჩეული თუ არა, რჩეული მინც არის, ყოველთვის წარმატებულად, ანუ არის კონკურენტუნარიანი ბაზარზე, ლიკვიდური და პერსპექტიული.

#### ბამოყენებული ლიტერატურა:

1. რ. კაკულია, ფინანსური ეკონომიკა, თბ., 2007.
2. В. Ковалев, Финансовый менеджмент, м., ИНФРА, 2007, с. 50.
3. Зви Боди, Роберт Мертон, Финансы, М., Вильямс, 2008, с. 54.
4. ზ. ლუდუშაური, ფინანსური მენეჯმენტი, თბ., 2007. გვ. 41.
5. რ. კაკულია, ლ. ბახტაძე, გ. თუთბერიძე, კორპორაციის ფინანსები, თბ., 2008, გვ. 65.
6. Ромашева И. Финансовый менеджмент, основные темы, М., КНОРУС, 2006. С. 35.



ნიკოლოზ გოგოლაშვილი  
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
დოქტორანტი

ახალი პერიოდიკი

ფინანსური მენეჯმენტი და თვით ფინანსური მენეჯერის ფიგურა შედარებით ახალი ფენომენებია. მათი წარმოშობა დაუკავშირდა ეკონომიკაში ფინანსური ურთიერთობების მასშტაბების ზრდას, გართულებას და გლობალიზაციას. თუ ადრე კომპანიის გენერალური დირექტორი არა მხოლოდ მისი სოფლი ხელმძღვანელობის ფუნქციას ასრულებდა, არამედ ფინანსური ურთიერთობებაც მართავდა, შემდეგში, ზემოთ დასახელებული მიხედვების გამო, ეს შეუძლებელი გახდა. აღარც კომპანიის მთავარი ბუღალტრების ან კომერციული დირექტორის ცოდნა იყო ამისთვის საკმარისი, რადგანაც ფულის ნაკადების მართვას სხვა კვალიფიკაცია, მოვლენების სხვა ხედვა და სხვანაირი ინტუიცია სჭირდებოდა.

როცა ჩნდება მოთხოვნილება, ჩნდება მიწოდებაც. ამ შემთხვევაშიც, თანდათან, ნაბიჯ-ნაბიჯ, ფინანსურ მენეჯმენტზე გაჩენილ მოთხოვნილებას შეცნობრებმა შეცნობრული ფინანსური მენეჯმენტის შემქმნით უპასუხეს, ხოლო სასწავლო დაწესებულებებმა - ფინანსური მენეჯერების მომზადებით.

დღეისთვის, ფინანსური მენეჯერის პროფესია ერთ-ერთი მოთხოვნილი და მძალდინამოტივირებული პროფესიაა, თვით ფინანსური მენეჯმენტი კი - პრესტიჟული, „წონადი“ და პერსპექტიული საქმე. პრესტიჟული იმიტომ, რომ იგი ფინანსისტებისგან ცოდნასთან ერთად მოთხოვნებს გამოცდილებას, ინტუიციას, მოვლენების ობიექტურად შეფასების, განსჯის, შერჩევის, შეპირისპირების, ინტეგრირების და ა.შ. უნარს, „წონადია“ იმიტომ, რომ ერთმა არასწორმა ფინანსურმა გადაწყვეტილებამ შეიძლება ფირმა მთლიანად გააკოტროს და პერსპექტიულია იმიტომ, რომ გასული საუკუნის 70 - იანი წლებიდან ფინანსების როლის კოდოსალურმა გაძლიერებამ თვისობრივი ცვლილებები გამოიწვია ფინანსურ ურთიერთობაში. „წარმოიშვა ეკონომიკის

ვირტუალური სტრუქტურირება: მატერიალური ფასეულობათა შემქმნელი რეალური ეკონომიკიდან აღმოცენდა ეკონომიკა, რომელიც სულ უფრო იქვემდებარებს პირველს თავის შემოსავლებით და ისეთ დონემდე გაძლიერდა, რომ მას საზოგადოებაში მატერიალურ - ნივთობრივი წარმოების სფეროს ეკონომიკაზე დიდი როლი დაეკისრა. . . მსოფლიოში წამოყალიბდა ახალი გაბატონებული ეკონომიკური სისტემა - ფინანსური ეკონომიკა. . . ფინანსურ ეკონომიკას, როგორც მოვლენას, თან ახლავს ფინანსური რეკულუცია. ეს გადატრიალება სინამდვილეში უკვე განხორციელდა. ეკონომიკა სულ სხვა გახდა და მასში მთავარ როლს ასრულებს არა კაპიტალი, როგორც ახეთი, არამედ ფინანსური კაპიტალი. ეკონომიკის ნაცვლად საქმე გვაქვს ფინანსურ ეკონომიკასთან [1, გვ. 5-6]. ამის დასტურია ისიც, რომ კორპორაციების ფინანსების თუ ფინანსური მენეჯმენტის ნებისმიერ უცხოურ სახელმძღვანელოში პირველი თუ არა, მეორე თავე უკვე ეძღვნება არა კორპორაციის ძირითად, საოპერაციო საქმიანობას, მის დანახარჯებს და მოგებას ან მასთან დაკავშირებულ სხვა ფინანსურ ოპერაციებს, არამედ ფასიან ქაღალდებს და კორპორაციის მუშაობას საფონდო ბირჟაზე - ფასიანი ქაღალდების პორტფელის ფორმირებას, პორტფელის შემოსავლიანობის დადგენას, ფასიანი ქაღალდების კურსის პროგნოზირებას და მრავალ სხვას. ეს იმას ნიშნავს, რომ სახლვარგარეთის მსხვილ კომპანიებში დომინირებს არარეალური საქონელი - აქტივები, ობლიგაციები, გარანტიები, ოპციონები და მათთან დაკავშირებული ფინანსური ურთიერთობებიც ყველაფერი იმიტომ აღენიშნეთ, რომ განეთარების ამ უტაპზე, როგორც მთლიანად ქვეყნების, ისე კომპანიების დონეზე, კაპიტალს თანდათან ენაცვლება ფინანსური კაპიტალი, ფინანსური აქტივები. ეს პროცესი თანდათან ღრმავდება და უფრო მასშტაბური ხდება, რაც განაპირობებს კიდევ ფინანსური მენეჯმენტის პერსპექტიულობას.

ფინანსური მენეჯმენტი, როგორც მეცნიერება ეფუძნება რაიმდენიმე ფუნდამენტალურ კონცეფციას (კონცეფცია ლათინური წარმოშობის სიტყვაა - ცონცეპტიო და ნიშნავს სისტემას, გაგებას).

ეს კონცეფციებია [2, გვ.104]:

1. ფულის ნაკადის კონცეფცია (**Cash Flow Concept**). ამ კონცეფციას განაპირობებს საწარმოს (კომპანია) წარმოდგენა ისეთ ერთეულად, რომელშიც ერთმანეთს მუდმივად ენაცვლება ფულადი სახსრების მიღება და გაცემა, რომ ნებისმიერი ფინანსური ოპერაცია ასოცირდება ფულის რაღაც ნაკადთან, რომელიც დროში გადანაწილებულ მის შემოსავალსა და გასავალში გამოიხატება. ფულის ნაკადის ელემენტებია შემოსავალი, მოგება, დანახარჯი და ა.შ.

2. დროითი ღირებულების კონცეფცია (**The Time Value of Money Concept**) იმაში გამოიხატება, რომ ფულს დროში აქვს ღირებულება, რომ დრო მოქმედებს ფულის ღირებულებაზე. დღეს მიღებული ერთი ლარი უფრო მეტი ღირს, ვიდრე გარკვეული დროის გასვლის შემდეგ მიღებული ერთი ლარი. ამას იწვევს სამი ძირითადი მიზეზი:

ა) ინფლაცია (ფულის გაუფასურება);

ბ) რისკი, რომ შეიძლება მომავალში მისაღები ფული ვერ მივიღოთ;

გ) ფულის ბრუნვაობა, ანუ დღევანდელი ფულის საქმეში ჩადებით მისგან დამატებითი შემოსავლის მიღება.

3. შემოსავლიანობასა და რისკს შორის კომპრომისის კონცეფცია (**Risk and Return Tradeoff Concept**) მდგომარეობს იმაში, რომ ბიზნესში რაიმე შემოსავლის მიღება ყოველთვის რისკს უკავშირდება; ამასთან მათ შორის პირდაპირპროპორციული კავშირი არსებობს: რაც მაღალია მოთხოვნილი თუ მოსალოდნელი მოგება (ანუ დაბანდებული კაპიტალის უკუგება), მით მაღალია მისი რისკის ხარისხი.

4. ოპერაციული და ფინანსური რისკების კონცეფცია (**Operating Risk and Financial Risk Concept**) იმ გარემოება განაპირობებს, რომ ნებისმიერ ფორმას ორი ძირითადი რისკი - ოპერაციული (საშეწარმოო, საწარმოო) და ფინანსური რისკი ახასიათებს.

ოპერაციული რისკს აქვს ეიწრო და ფართო გაგება. ფართო გაგებით ოპერაციული რისკი ეხება ბიზნესის დარგობრივ პროფილს. ერთი დარგი განსხვავდება მეორე დარგისგან, არა მხოლოდ საქმიანობის სახით, არამედ აქტივების მოცულობით და სტრუქტურით. ამიტომ ერთ დარგში ჩადებული კაპიტალი ინვესტირებმა შეიძლება უკან ვეღარ დაიბრუნოს მისი არალიკვიდობის გამო. ეიწრო გაგებით ოპერაციული რისკი ეხება საწარმოს,

რომლის ტექნიკური დონის ასამაღლებელი ინვესტიციები დიდი ხნით შეიძლება გაიყნოს და უკუგება დროულად ვერ ვერ მოგებას.

რისკის მეორე სახე - ფინანსური რისკი უკავშირდება ფირმის კაპიტალის სტრუქტურას და იგი ფირმის დაფინანსების წყაროების არჩევისას უნდა იყოს მხედველობაში მიღებული. როგორც წესი, ნებისმიერ ბიზნესს იმანენტურად ახასიათებს დაფინანსების სტრატეგიური წყაროების უკმარისობა. რადგან ხშირად ფირმას საკუთარი კაპიტალი არ ყოფნის, იგი მიმართავს ბანკებს და მსესხებლის როლში გამოდის. როცა ფირმა წარმატებულია მუშაობს. მას არც სესხის დაფარვა უჭირს და არც მისი პროცენტის გადახდა, მაგრამ თუ ფირმას გაუჭირდა და იგი ვეღარ იხდის ბანკის კუთვნილ თანხებს, ბანკი მას სასამართლოს წესით გააკორტებს.

5. კაპიტალის ღირებულების კონცეფცია (**Cost of Capital Concept**). ამ კონცეფციის არსი იმაშია, რომ ნებისმიერ ოპერაციას დაფინანსება სჭირდება. მუქთი დაფინანსება არ არსებობს. ნებისმიერ მათგანს, საკუთარი წყაროდან მოხდება იგი თუ მოზიდული (ნასესხი) წყაროდან, აქვს ფასი, ღირებულება. რაღა თქმა უნდა, რომ დაფინანსების სხვადასხვა წყაროდან მოზიდულ კაპიტალს სხვადასხვა ღირებულება აქვთ. ფაქტიურად ეს ის დანახარჯია რომელსაც კომპანია რეგულარულად იხდის დაფინანსების კონკრეტულ წყაროს გამოყენებისთვის. ამიტომ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ფინანსურმა მენეჯერმა უნდა იანგარიშოს მათი ფასი და ასე შეადაროს ისინი ერთმანეთს. ყოფაში გავრცელებული აზრი, რომ საკუთარი ფული სჯობია მოზიდულს, ღირებულების თვალსაზრისით, ყოველთვის მართალი არ არის.

6. ეფექტური ბაზრის კონცეფცია (**Capital Market Efficiency Concept**). საბაზრო ეკონომიკის პირობებში კომპანიათა უმრავლესობა ამა თუ იმ ხარისხით კაპიტალის ბაზრებთან არიან დაკავშირებული - აქ ისინი მოიპოვებენ დაფინანსების ახალ წყაროებს, აკომპლექტებენ ინვესტიციურ პორტფელს და იღებენ დამატებით სპეკულაციურ კაპიტალს. კაპიტალის ბაზარზე ქცევის წესის არჩევა უკავშირდება ეფექტური ბაზრის კონცეფციას, რომელიც ორ საკვანძო თეზისში გამოიხატება:

1. ბაზარზე ფასწარმოქმნის არსებით ფაქტორს წარმოადგენს მისი გაჯერება რელევანტური ინფორმაციით;

2. კაპიტალის ბაზრები ყოველთვის არ არიან ეფექტურნი.

საბაზრო ეკონომიკის



რბრეილმა და სპაიერსმა [3, გვ. 137] კაპიტალის ბაზრის ეფექტიანობის სამი ფორმა - სუსტი, ზომიერი და ძლიერი - შემოგვთავაზეს. სუსტი ეფექტიანობის დროს ბაზარზე აქციების მიმდინარე ფასები იმეორებს ადრე არსებულის დინამიკას. ზომიერი ეფექტიანობის დროს მიმდინარე ფასები ასახავენ არა მხოლოდ წარსულში მომხდარი ფასების ცვლილებას, არამედ ბაზრის მონაწილეებისთვის თანაბრად ხელმისაწვდომ მთელ ინფორმაციას. ბაზრის ძლიერი ეფექტიანობა ნიშნავს იმას, რომ მიმდინარე ფასები არა მხოლოდ ხელმისაწვდომ ინფორმაციას ასახავენ, არამედ შეზღუდულ ინფორმაციასაც, ე.წ. ინსაიდერულ ინფორმაციას.

ბაზრის ძლიერი ეფექტიანობა ფაქტიურად მიუღწევადია. ამასთან მისკენ არც არავინ ისწრაფის. ბაზრის ყოველ მონაწილეს სჯერა, რომ სხვა მონაწილესთან შედარებით იგი უფრო სსრულყოფილ ინფორმაციას ფლობს, და ამიტომაც ახორციელებს ფინანსური აქტივის ყიდვას ან გაყიდვას.

7. ასიმეტრული ინფორმაციის კონცეფცია (Asymetric Information Concept) მჭიდროდ არის დაკავშირებული ბაზრის ეფექტიანობის კონცეფციასთან. ამ კონცეფციის არსი იმაშია, რომ ბაზრის ზოგიერთი მონაწილე, შეიძლება ფლობდეს ისეთ ინფორმაციას, რაც სხვისთვის ხელმისაწვდომი არ არის. ინფორმაციით უზარუნველყოფაში სრული სიმეტრია ბაზარზე მიუღწევადია.

8. აგენტურ ურთიერთობათა კონცეფცია (Agency Relations Concept). ამ კონცეფციის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ადრე, ანუ მანამ, სანამ წარმოების მასშტაბები გაიზრდებოდა, საწარმოს მესაკუთრე იყო მისი მეპატრონეც და ხელმძღვანელიც. ასეთ საწარმოს მისი მესაკუთრე ხელმძღვანელბოდა საკუთარი და არა საწარმოს კოლექტივის ინტერესებიდან გამომდინარე. დროთა განმავლობაში, ინტერესთა ეს დაპირისპირება სერიოზულ კომფლიქტად იქცა და საწარმოს მესაკუთრეებს მოუწიათ გარკვეულ კომპრომისზე წასვლა. მოხდა მესაკუთრის და ხელმძღვანელის (მმართველი, მენეჯერი) ფუნქციების გაყოფა. საწარმოთა ხელმძღვანელებმა კოლექტივის ზეწოლით დაიწყეს მენეჯერების დაქირავება ( ამ კონცეფციაში მესაკუთრე წარმოდგენილია პრინციპალის, ხოლო დაქირავებული მმართველი აგენტის სახელწოდებით). ამას ხელი შეუწყო იმანაც, რომ მოხდა საწარმოთა გამსხვილება, წარმოიქმნა სააქციო საზოგადოებები, რომელთა მასშტაბების მართვა რთული იყო.

